

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ენისა და ლიტერატურის
სერია

СЕРИЯ

ЯЗЫКА И ЛИТЕРАТУРЫ



თბილისი
ТБИЛИСИ

1. 1978

ჟურნალი გამოდის 3 თვეში ერთხელ
Журнал выходит раз в 3 месяца

ს ა რ ა ე ლ ა ქ ა ტ ი ო რ კ ო ლ ე ზ ი ა : ალ. ბარამიძე (რედაქტორი),
თ. გამყრელიძე, ალ. გვახარია (მდივანი), ქ. ლომთათიძე, ე. მეტრეველი,
ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური (რედაქტორის მოადგილე)

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Барамидзе А. Г. (редактор),
Гамкрелидзе Т. В., Гвахариа А. А. (секретарь), Дзидзигური Ш. В. (зам. редактора),
Ломтатидзе К. В., Метревели Е. П., Цаишвили С. С.

პასუხისმგებელი მდივანი გ. აღონტი
Ответственный секретарь Г. А. Глonti

რ ე ლ ა ქ ა ტ ი ო რ მ ი ს ა მ ა რ თ ი : თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
Адрес редакция: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
ტელეფონი 37-24-07 ტელეფონ

ხელმოწერილია დასაბეჭდად 30.3.1978; შუკვ. 4234; ანაწეობის ზომი: 7×11¹/₂;
ქალაქის ზომა 7×108¹/₁₆; ნაბეჭდი თაბახი 16.80; საარტიტელო-სავაჭრობელო
თაბახი 16.25; უე 01625; ტირაჟი 2000.
ფასი 1 მან.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Издательство «Мეциერება», Тбилиси, 380060, ул. Кутузова 19

საკ. სსრ შუკვ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შ ი ნ ა ა რ ს ი

წ ე რ ი ლ ე ბ ა

ს. ჭ ი ჭ ი ა, თურქული ენებისა და ლიტერატურის შესწავლის მდგომარეობა საქართველოში ოქტომბრის რევოლუციის 60 წლისთავზე	5*
ე. პ ა პ ა ს კ ი რ ი, ძველისა და ახლის კონფლიქტის რამდენიმე ასპექტი კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცებაში“	18
თ. ჭ ა გ ო დ ნ ი შ ვ ი ლ ი, აკაკი წერეთლის „მედიას“ ხალხურობის შესახებ.	30
ბ. დ ა რ ჩ ი ა, ვეფხისტყაოსნის კეზელიანთ ხელნაწერის ტიპის ნუსხები	39
ნ. მ ა ხ ა თ ა ძ ე, ზაქარია ჭიჭინაძე და ძველი ქართული მწერლობის საკითხები	56
მ. ი შ ტ ვ ა ნ ო ვ ი ჩ ი, ქართული-ირანული ხალხური წიგნი და ოსური საგმირო თქმულება	67
ე. დ ა ვ ი თ ა ძ ე, ანტიფონური შესრულების ტრადიციები ზეპირსიტყვიერებასა და ხალხური შემოქმედების მომოქნავე დარგებში	80
ნ. კ ე ნ ტ ო შ ვ ი ლ ი, ალევგორია ბპიშამ საანის ნოველისტიკაში	87
კ. დ ა ნ ე ლ ი ა, უცხო ენათა გავლენის კვალი ძველი ქართული წერილობითი ძეგლების ენაში	91
ნ. კ ო ტ ი ნ ო ვ ი, -მეა ნაწილაკიანი სინტაქსური კონსტრუქციის ევოლუციისათვის ქართულში	105
ლ. პ ა ლ მ ა ი ტ ი, „ემფატიკური -ა“ სახელთა მორფოლოგიის ძირითად საკითხებთან დაკავშირებით	113
მ. ქ ა მ ა დ ა ძ ე, ზემოქართული მიკროტომონიის წარმოების ზოგიერთი საკითხი	126
ნ. ზ ი ზ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, ლ. მ ი ნ ა ე ვ ა. ლინგვისტური კონფრონტაციის თანამედროვე პრობლემები	139

პ უ ბ ლ ი კ ა ც ი ა

ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი, სტეფანე ფერშანგიშვილი	150
---	-----

ც ნ ო ბ ე ბ ი და შე ნ ი შ ვ ე ნ ე ბ ა

ი. ტ ა ბ ა დ უ ა, ქართული კულტურის კერები საფრანგეთში XIX საუკუნის მეორე ნახევარში	160
--	-----

ქ რ ო ნ ი კ ა და ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში	177
ილა ვეკუა	189
ახალი წიგნები	191

წერილები

სერგი ჯიქია

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

თურქული ენებისა და ლიტერატურის შესწავლის მდგომარეობა საქართველოში ოქტომბრის რევოლუციის 60 წლისთავზე¹

თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებლებმა, ჩვენმა სახელოვანმა მეცნიერებმა, იმთავითვე გაითვალისწინეს მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ხალხთა ენების შესწავლის დიდი მნიშვნელობა საქართველოსათვის, რომელსაც ამ უშუალოდ მომიჯნავე და ახლომდებარე ქვეყნებთან ჰქონდა მჭიდრო კულტურულ-ისტორიული თუ პოლიტიკური ურთიერთობა თავისი ისტორიული ცხოვრების თიურქების მთელ მანძილზე, და უნივერსიტეტში მისი დაარსებიდანვე (1918 წ.) შემოიღეს არაბული, სპარსული, სომხური (აგრეთვე ძველი ინდური) ენების სწავლება. თურქულ ენაშიც (ლაპარაკია ძველად ოსმალურად წოდებულ, მეზობელი თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ენაზე, რომელსაც ამჟამად, სხვა მრავალრიცხოვან თურქულ ენათაგან გამოსარჩევად, თურქეთის თურქულს ეძახიან) მოწვეულ იყვნენ სხვადასხვა დროს ლექტორები (მემარნაშვილი, თ. ხიმშიაშვილი), მგარამ ზოგიერთი მიზეზის გამო მათი უნივერსიტეტში მუშაობა ხანმოკლე იყო და ამის გამო თურქული ენის სისტემატური კურსი უნივერსიტეტის სასწავლო გეგმაში მხოლოდ 1936 წლის ბოლოს აისახა. თავდაპირველად თურქეთის თურქული, ისევე როგორც სხვა აღმოსავლური ენები, დამხმარე საგნად იკითხებოდა ფილოლოგიის ფაკულტეტზე ქართველური და კავკასიური ენების სპეციალობის სტუდენტებისათვის. ამავე ხანებში თურქოლოგიაში სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწეოდა ერთპიროვნულად თურქული ენის ლექტორი უნივერსიტეტსა და ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტში (სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი), ხოლო 1941 წლიდან ენათმეცნიერების ინსტიტუტში (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია).

სისტემატური და გეგმაზომიერი მეცნიერული მუშაობა და კადრების მომზადება თურქული ენების, თურქულენოვან ხალხთა ლიტერატურის, ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესასწავლად საქართველოში დაიწყო მხოლოდ 1945 წლიდან, როცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი და აღმოსავლურ ენათა კათედრას გამოეყო თურქოლოგიის კათედრა. განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა მუშაობა მას შემდეგ, რაც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში დაარსდა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი (1960 წ.), სადაც სპეციალური თურქოლოგიის განყოფილებაც არის. თბილისის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული თურქოლოგები სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას ეწევიან აგრეთვე:

¹ თარგმანი რუსული მოხსენებიდან. რომელიც წაკითხული იყო 1977 წლის 26 მაისს თბილისში. საკავშირო სამეცნიერო კონფერენციაზე „დღი ოქტომბერი და თურქეთი“. კონფერენცია მიმდინარეობდა დღი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავს (იხ. „სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, დღი ოქტომბერი და თურქეთი“, თბილისი, 1977., გვ. 6).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხვა ინსტიტუტებშიც — ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში (თურქული მოდგმის ხალხთა ისტორია და ეთნოგრაფია), ზელნაწერთა ინსტიტუტში (თურქულენოვანი წერილობითი ძეგლების შესწავლა და გამოცემა), შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში (ქართულ-აზერბაიჯანული ლიტერატურული ურთიერთობა, აზერბაიჯანული ლიტერატურა).

ჩვენი ქვეყანაში, მეცნიერებისა და კულტურის ესოდენ მძლავრი აღმავლობის ხანაში, ქართველი თურქოლოგები განსაკუთრებული ინტერესით ეკიდებიან საბჭოეთის მძურ ოჯახში შემაჯავლი თურქულენოვანი ხალხების—აზერბაიჯანელების, უზბეკების, თურქმენების, ყირგიზების, ყაზახების, ბაშკირების, აკუტების, ჩუვაშების, ბალყარების, ყარაჩაელებისა და სხვათა ენისა და კულტურის შესწავლას და მეცნიერულ კვლევას საერთოდ. თანდათან ფართოვდება ამ სფეროში ჩვენი თურქოლოგების მეცნიერული ინტერესების არე და ამჟამად, შეიძლება ითქვას, უკვე დიდი ადგილი უჭირავს აზერბაიჯანული, უზბეკური. თურქმენული და, განსაკუთრებით, თურქული ენისა და ლიტერატურის საკითხების შესწავლას.

ქვემოთ შევეცადეთ მოკლედ შეგვეჩამებინა საქართველოში ორმოციან წლებში დაწყებული თურქული ენებისა და ლიტერატურის შესწავლისა და კვლევა-ძიების შედეგები (თურქი ხალხების ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხების შესწავლის მდგომარეობა გამოუქმებულია მ. სვანიძის მოხსენებაში — „თურქეთის ისტორიის შესწავლა საქართველოს რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე“).

საქართველოში ძირითადად მუშავდება თურქული ენების ისტორიის, ფონეტიკის, მორფოლოგიის, ლექსიკისა და დიალექტოლოგიის პრობლემები.

აზერბაიჯანული ენის მეცნიერული შესწავლის საქმეში ყურადღებას იქცევს ვ. ჭანგიძის შრომები; კერძოდ, მაგალითად, დამაჯერებლად შესწავლილია ნატვრითი კილოს მხ. რიცხვის I პირის აფიქსის წარმომავლობა და სემანტიკა². ვ. ჭანგიძემ არსებითი კორექტივი შეიტანა თურქული ენების გვარის კატეგორიის კვალიფიკაციაში. მისი თვალსაზრისით, ზმნის იძულებითი და საურთიერთო ფორმები არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს გვარის კატეგორიად. ლექსიკურ-მორფოლოგიური ნიშნების საფუძველზე მას შესაძლებლად მიაჩნია გამოიყოს გვარის 3 ფორმა — მოქმედებითი, ვნებითი და უქმეცვეითი³. (თურქულ ენებში გვარისა და კონტაქტის კატეგორიების გამოიჯანსა და თურქული ენების გრამატიკებში მათი ერთ გრამატიკულ კატეგორიაში მოქცევის უმართებულობას პირველად ყურადღება მიაქცია აკადემიკოსმა ა. შანიძემ).⁴

ვ. ჭანგიძის შრომები ეხება აგრეთვე აზერბაიჯანული და თურქული ენების ფონეტიკას. მათში დასმულია და გადაჭრალი არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი ამ ენათა ფონეტიკიდან. საინტერესოა, მაგალითად, სალირწუნით გაპოხატული ბგერის განსხვავებული და ფრიალ დამახასიათებელი რეფლექსე-

² ნატვრითი კილოს მხოლოდითი რიცხვის პირველი პირის ორგვარი ფორმის შესახებ თურქულ ენებში. ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია, III, თბილისი, 1960.

³ Категория залого в тюркских языках. Выступления на координационном совещании по проблемам простого предложения и категории залогов в книге «Вопросы составления описательных грамматик языков народов СССР», Уфа, 1958.

⁴ А. Шанидзе, Глагольные категории акта и контакта на примерах грузинского языка: Известия АН СССР, отделение литературы и языка, т. 5, вып. 2, Москва, 1946.

ბი თურქულ და აზერბაიჯანულ ენებში⁹. მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობისაა ე. ჯანგიძის დაკვირვებები არაბული მოკლე ხმოვნების გადმოცემის შესახებ თანამედროვე თურქულსა და აზერბაიჯანულ ენებში. ე. ჯანგიძემ პირველმა დაადგინა შეპირისპირების გზით აღნიშნული არაბული ბგერების რეფლექსები თურქულსა და აზერბაიჯანულში, რაც მეტად მნიშვნელოვანია როგორც არაბული, ისე თურქული ენების ფონეტიკური სინამდვილის თვალსაზრისით¹⁰. ბევრ საინტერესო დაკვირვებას შეიცავს ამავე ავტორის სტატია აზერბაიჯანული ენის დმანური კილვის ფონეტიკურ თავისებურებებზე¹¹.

ე. ჯანგიძის მეცნიერული კვლევის საგანია აგრეთვე თურქული ენების ლექსიკაც. სტატიაში ქართულ ნასესხობათა შესახებ აზერბაიჯანულში¹² და მონოგრაფიაში „აზერბაიჯანული ენის დმანური კილო“¹³ ე. ჯანგიძემ, ქართულ და აზერბაიჯანულ ხალხთა შვიდრო და ხანგრძლივი ისტორიულ-კულტურულ ურთიერთობათა გათვალისწინებით, გამოავლინა მთელი რიგი ქართულიდან ნასესხები ლექსიკისა აზერბაიჯანულში და დამაჩერებლად ახსნა ის სემანტიკური და ფონეტიკური ცვლილებები, რომელიც ქართულმა ლექსიკამ განიცადა აზერბაიჯანულში დამკვიდრებისას. ე. ჯანგიძემ მოამზადა და გამოსაცემად გადასცა შრომა ინგილოურ დიალექტზე. შრომაში შესწავლილია ორ მოძვე აზერბაიჯანულ და ქართველ ხალხთა ენობრივი კონტაქტებით შეპირობებული გრამატიკული და ლექსიკური ინტერფერენციის კონკრეტული და ზოგადი საკითხები.

სტატიების მთელი რიგი მიუძღვნა ნ. ჯანაშიამ ძირითადად თურქული და აზერბაიჯანული ენების სტრუქტურის საკითხებს. მან მოგვცა აღნიშნული ენების რამდენიმე მორფოლოგიური კატეგორიის სრულიად ახლებური ინტერპრეტაცია¹⁴. იგი გვთავაზობს აგრეთვე დროთა და კილოთა საკმაოდ ორიგინალურ სისტემას თურქულში¹⁵. ნ. ჯანაშია ცდილობს გამოავლინოს თურქული ზმნის ყველა ფორმალური დაჯგუფების შედგენილობა და ფუნქცია და იძლევა ზმნის ფორმების ახლებურ კლასიფიკაციას¹⁶. საყურადღებოა ნ. ჯანაშიას ნაშრომი აბსოლუტივების სისტემასა და მათ ფუნქციაზე¹⁷. მეცნიერის კვლევის ობიექტია აგრეთვე პირისა და რიცხვის მაჩვენებელთა ურთიერთ-

⁹ სალო-ნენის განსხვავებული რეფლექსები თურქულ და აზერბაიჯანულ ენებში, თსუ-ის შრომები, 116, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, V, 1965.

¹⁰ არაბული მოკლე ხმოვნების გადმოცემისათვის თანამედროვე აზერბაიჯანულ და თურქულ სალიტერატურო ენებში, აღმოსავლური ფილოლოგია, III, თბ., 1974.

¹¹ გრძელი ხმოვნები, დიფთონგები და დიფთონგოიდები აზერბაიჯანული ენის ყაზახის დიალექტის დმანურ კილოვაეში, თსუ-ის შრომები, 73, თბ., 1959.

¹² ქართული ნასესხობა აზერბაიჯანულ ენაში, თსუ-ის შრომები, 118, თბ., 1967.

¹³ В. Т. Джаншидзе. Дманинский говор казахского диалекта азербайджанского языка, Баку, 1965.

¹⁴ Выражение потенциалов в азербайджанском и турецком языках. თსუ-ის შრომები, 73, თბილისი, 1959; Глагольные имена в турецком языке, თსუ-ის შრომები, 118, თბილისი, 1967 და სხვ.

¹⁵ Система времен и наклонов в турецком языке. сб. «Вопросы тюркских языков и их взаимоотношения с другими языками, Баку, 1972.

¹⁶ О формальных группах турецкого глагола, აღმოსავლური ფილოლოგია, III, თბილისი, 1974.

¹⁷ О деспричастиях в современном турецком языке, თბილისის უნივერსიტეტი - გიორგი ხელვაიას, საუბოლო კრებული დასაბუთიდან 80 წლისათვის. თბილისი, 1969.

მიმართება და მათი განაწილება თანამედროვე თურქულში¹⁴. შრომაში «О дистрибуции продуктивных показателей каузатива в турецком языке»¹⁵ ნ. ჯანაშიამ წარმოადგინა კაუზატივის მორფემათა დისტრიბუციის ახალი წესი. ავტორმა გადასინჯა თურქულ ენაში გვარის კატეგორიის შესახებ არსებული შეხედულებანი და მოგვცა მისი ახლებურად გაშუქების ცდა. იგი გამოყოფს გვარის 3 სახეს — მოქმედებითს, ენებითსა და საშუალოს, აგრეთვე ორ ზმნურ კატეგორიას კაუზატივსა და საურთიერთო მოქმედებისას¹⁶.

მნიშვნელოვანი მუშაობა მიმდინარეობს თანამედროვე თურქეთის თურქული ენის ლექსიკის რეფორმების საკითხებზე. 1970 წელს ამ თემაზე საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა გ. ანთელავამ. მის მიერ გამოქვეყნებულ სტატიებში გაშუქებულია ის დიდი საქმიანობა, რომელსაც თურქეთის საენათმეცნიერო საზოგადოება ეწევა უძველესი ანატოლიური წერილობითი ძეგლებიდან და ცოცხალი ხალხური მეტყველებიდან ოდინდელი თურქული წარმომავლობის სიტყვების გამოსავლინებლად. ყურადღებას იმსახურებს გ. ანთელავას შრომები თანამედროვე თურქულში სიტყვათწარმოქმნელ აფიქსთა შესახებ¹⁷.

თურქული და აზერბაიჯანული ენების ისტორიის საკითხებზე ინტენსიურად მუშაობენ თბილისის უნივერსიტეტში თურქოლოგები მ. ბელთაძე და ე. სარიშვილი. მ. ბელთაძემ გამოაქვეყნა საკმაოდ მოზრდილი ნაშრომი ქართული დამწერლობით შესრულებულ XVIII საუკუნის თურქულენოვან ძეგლებზე. შრომაში ამოწმურავეადაა გაანალიზებული აზერბაიჯანულ-ოსმალურ (ნარვე) ენაზე დაწერილი ოთხთავის წიგნის მონაცემები. ამ ზღუნაწერში დაცული ენობრივი მასალები ძალზე მნიშვნელოვანია და საყურადღებო ამ ორივე ენის ისტორიის შესასწავლად. საინტერესოა აგრეთვე „თურქ“ ფუძისაგან მომდინარე „ნათურქალ“ სიტყვის მ. ბელთაძისეული განმარტება¹⁸.

ე. სარიშვილი ამუშავებს „ქოროლის“ ებოსის ვრცელ ხელნაწერ ძეგლს. იკვლევს მის ენობრივ თავისებურებებს და ავლენს აზერბაიჯანული ენის ისტორიისათვის მეტად ფასეულ მასალას¹⁹.

ნ. გურგენიძემ გამოსცა მონოგრაფია, რომელშიც შესწავლილია ქართული ენის აქარულ და გურულ დიალექტებში დამკვიდრებული არაბულ-სპარ-

¹⁴ Выражение лица и числа в турецком глаголе, თსუ-ის შრომები, 6—7, თბილისი, 1971.

¹⁵ «Советская тюркология», Баку, 1976, №3.

¹⁶ Некоторые вопросы морфологии турецкого глагола, I. О залогах, II. О прошедшем результивном времени. თსუ-ის შრომები, 116, თბილისი, 1965; Залоги в современном азербайджанском языке, «Советская тюркология», 1974, №1.

¹⁷ О некоторых, так называемых, непродуктивных словообразовательных аффиксах турецкого языка. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტ. 56, №1, 1969; Турецкое лингвистическое общество и некоторые вопросы реформы турецкого литературного языка. მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1975, №4, О некоторых словообразовательных аффиксах современного турецкого литературного языка, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტ. 79, №2, 1975.

¹⁸ XVIII საუკუნის თურქულენოვანი ძეგლი ქართული ტრანსკრიფციით, თსუ-ის შრომები, 121, თბილისი, 1967; „ნათურქალის“ გაგებისათვის ეფხისტეოსიანში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1973, №2.

¹⁹ ერთი აზერბაიჯანულენოვანი ძეგლის ბევრითი შედგენილობის შესახებ, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1975, №1; ხმოვანთა პარმონის შესახებ ერთ აზერბაიჯანულენოვან ხელნაწერში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, 1975, №2; აწმყო-მყოფადი დრო და მისი უღლებადი ფორმები ერთი აზერბაიჯანული ხელნაწერის კახელით, თსუ-ის შრომები, 180, აღმოსავლეთმცოდნეობა, თბ., 1975.

სულ-თურქული წარმომავლობის სიტყვები. ნ. გურგენიძე განაგრძობს ამ მიმართულებით მუშაობას. მან საგანგებოდ შეისწავლა ქართული ენის სამხრეთ-დასავლეთ დიალექტებში თურქიზმების შეღწევის საკითხები. საინტერესოა აგრეთვე ნ. გურგენიძის ნაშრომი ქართული ენის მესხურ მეტყველებაში დიალექტურებული წარმონაქმნი ზმნების შესახებ, რომელთა საფუძვლად თურქული ფუძეებია გამოყენებული²⁰.

წარმატებით ამუშავეს თურქული ენის ფრაზეოლოგიის საკითხებს ე. მაჟულია. სტატიებში: „ანტონიმური ფრაზეოლოგიური ერთეულები თანამედროვე სალიტერატურო თურქულ ენაში“, „თურქული და ქართული იდიომატიკის ურთიერთობათა შესახებ“, „ფრაზეოლოგიზმი და სიტყვა (თურქული ენის მასალების მიხედვით)“ და სხვ. იგი ეხება თურქული ფრაზეოლოგიის მრავალ საინტერესო მხარეს²¹.

XIII—XIV საუკუნეების ცნობილი თურქი პოეტის იუნუს ემრეს ნაწარმოებთა ენას იკვლევს შ. გაბესკირია. მან უკვე გამოაქვეყნა რამდენიმე ნაშრომი, რომლებშიც განხილულია იუნუს ემრეს ლექსიკასთან დაკავშირებული საინტერესო საკითხები. გარდა ამისა, შ. გაბესკირია იკვლევს ქართულურ ენებში დაფუძნებულ თურქულენოვან ლექსებებს²².

მ. ჭიქიაშ შეისწავლა თურქული ენის აფიქსალურ მორფემათა რანგობრივი სტრუქტურა. მანვე გამოავლინა ქართულ სინამდვილეში დამკვიდრებული თურქულენოვანი ანთროპონიმები²³.

ქართულ სალიტერატურო ენაში დადასტურებულ თურქულ ლექსიკონასესხობებზე მუშაობს ლ. რუხაძე²⁴.

უზბეკური ენათმეცნიერების საკითხებს ჩვენთან ამუშავენს ა. ცალქალაიანიძე. რომელმაც მეცნიერული მომზადება ტაშკენტში მიიღო. მან უკვე გამოაქვეყნა რამდენიმე ნაშრომი, რომლებშიც შესწავლილია უზბეკური ზმნის სტრუქტურისა და სემანტიკის საკითხები²⁵.

²⁰ აღმოსავლური წარმოშობის ლექსიკური ელემენტები აპარულსა და გერულში. თბილისი, 1973; ზოგიერთი თურქული ლექსიკური კალკის შესახებ ქართული ენის მესხურ დიალექტში. აღმოსავლური ფილოლოგია, III, 1973; ნასესხები სახელების ფუძეთაგან ზმნების წარმოქმნა ქართულის მესხურ დიალექტში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1976. №2.

²¹ მაქერ, ენისა და ლიტერატურის სერია, 1975. №4; მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1969. №6; Труды Самаркандского государственного университета имени Навои, Новая серия. № 249. Вопросы фразеологии. V. ч. 2. Самарканд, 1972.

²² იუნუს ემრეს თურქული წარმომავლობის ლექსიკა. მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1974. №4. უცხო წარმომავლობის ლექსიკა იუნუს ემრეს ნაწარმოებებში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1975. №3; „ბაღანა“ სიტყვის წარმომავლობისათვის, აღმოსავლური ფილოლოგია, III, თბილისი, 1973.

²³ სახელისა და ზმნის რანგობრივი სტრუქტურა თურქულში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1973. №4, მორფემათა კონსტრუირებული მძმდევრობების რანგობრივი სტრუქტურა თურქულში მაცნე ენისა და ლიტერატურის სერია, 1974. № თურქული წარმომავლობის ანთროპონიმები ქართულში. აღმოსავლური ფილოლოგია, III, თბილისი, 1973.

²⁴ რამდენიმე თურქული წარმომავლობის სიტყვისათვის ქართულში, აღმოსავლური ფილოლოგია, III, თბილისი, 1973.

²⁵ Сравнительная характеристика употребительности глаголов булмак, килмак, эшмак, айнамак в произведениях Уйғун и Ус. Насыра. сб. «Узбек филологияси масалалари», ш.н. 395. Ташкент, 1971; Он омонимесме бул в современном узбекском литературном языке, там же, гл. 271—275; Некоторые замечания к анализу самостоятельных и служебных значений глагола бул, ж. «Узбек тили ва адабиёти». Ташкент, 1973, № 2; Об одной особенной обстоятельстве места в языке «Атебат-ул-хакаийка». «Советская тюркология», Баку, 1975, №6. *

თურქული რუნული წარწერებისა და ძველი უიღურული ძეგლების ენაზე წარმატებით დაიწყო მუშაობა ი. შერვაშიძემ. მან საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა თემაზე „ზნურის ფორმები ორხონისა და ენისერის წარწერებზე“²⁶. ამჟამად იგი იკვლევს თურქოლოგიის აქტუალურ საკითხებს ძირეულ და არაძირეულ მორფემათა თანათარღობის შესახებ აღნიშნული ძეგლების ენაში²⁶.

საინტერესო მუშაობაა ჩატარებული საქართველოში მცხოვრებ თურქულენოვანი მოსახლეობის მეტყველების შესასწავლად.

ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯები გადაიდა ჯერ კიდევ 30-იან წლებში, როცა ს. ჯიქიამ დიდალი დიალექტოლოგიური მასალა შეაგროვა სამხრეთ საქართველოს — სამცხე-საათაბაგოს მოსახლეობაში, უფრო ზუსტად, ქველი ქართული პროვინციის ერთ ნაწილში — აღიგენის რაიონში. ეს თურქული დიალექტი, რომელსაც ახლა მესხურს ვუწოდებთ და რომელიც აქ დაინერგა „დამპყრენობისათვის ოსმალთა“, საინტერესოა იმიტაც, რომ ჩამოყალიბებულია ორენოვნობის შედეგად. ზოგადი ენათმეცნიერებისა და ფონეტიკის თვალსაზრისით საყურადღებოა სუბსტრატი ენის (ქართლის) ბევრი ენობრივი ფაქტის არსებობა, განსაკუთრებით, ბევრით სისტემასა და ლექსიკაში. აღნიშნული დიალექტის შესწავლის ზოგიერთი შედეგი გამოქვეყნებულია²⁷. მაგრამ შეგროვილი მასალის დამუშავება და დიალექტის სრულყოფილი დახასიათება ნომავლის საქმეა.

აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიის თურქული დიალექტების შესწავლას მიუძღვნა რამდენიმე შრომა ელ. გუდიაშვილმა. ერთ მათგანში მოცემულია რიზესა და ტრაპიზონის მეტყველების ხმოვნათა სისტემის დაწვრილებითი ანალიზი, შენიშნულია ლაზური სუბსტრატის კვალიც²⁸. ამავე ავტორის ორ სტატიამი გამოვლენილია აღმოსავლეთ ანატოლიის თურქულ დიალექტებში დამკვიდრებული ქართველური ლექსიკური ელემენტების მთელი რიგი²⁹.

როგორც ცნობილია, წალკის რაიონი დასახლებულია აღმოსავლეთ ანატოლიიდან გადმოსული თურქულენოვანი ბერძნებით (ურუმებით). მათი თურ-

²⁶ (კობეშაიძის გვართ) К вопросу об условной форме в языке орхон-енисейских надписей, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 64, №2, 1971; К вопросу о структуре корневых морфем в древнетюркском языке, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 66, №3, 1972; К характеристике графики и фонемного состава языка орхон-енисейских надписей. «Советская тюркология», Баку, 1972. №2, и др.

²⁷ Об одном морфологическом явлении в ахалцихском диалекте азиатско-турецкого языка, თსუ-ის შრომები VI, 1937; О диалектологической работе по тюркским языкам в Грузинской ССР, «Вопросы диалектологии тюркских языков», труды Института литературы и языка им. Низами, т. XII, Баку, 1958; ბრძანებითი კილო წარმოშობისათვის აღმოსავლეთ ანატოლიის თურქულ დიალექტებში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. V, № 8, თბილისი, 1944; „ლაზურ“ სიტყვის წარმოშობისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. V, № 2, 1944; К названию месяцев в месхетском диалекте турецкого языка, сб. «Вопросы тюркологии», Баку, 1971.

²⁸ Фонетические особенности турецкой речи Ризе и Трапезунда, «Вопросы диалектологии тюркских языков», III, Баку, 1963.

²⁹ ზოგიერთი ქართველური ლექსიკური ელემენტის შესახებ თურქულ დიალექტებში, თსუ-ის შრომები, 121, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, თბილისი, 1967; ორი ქართული სიტყვის შესახებ აღმოსავლეთ ანატოლიის თურქულ დიალექტებში, აღმოსავლური ფილოლოგია, III, თბ., 1973.

ქული მეტყველების შესწავლა დაკისრებული ჰქონდათ ე. გუდიაშვილსა და ნ. ჭანაშიას. გამოიჩინა, რომ წალკის თურქულ მეტყველებაში ორი კილოკავი გამოიყოფა: ქვემოწალკური და ზემოწალკური. ე. გუდიაშვილის მიერ გამოქვეყნებულ სტატიებსა და ავტორეფერატში მოცემულია აღნიშნული თურქული მეტყველების — ქვემოწალკურის ფონეტიკური, გრამატიკული და ლექსიკური თავისებურებების დეტალური დახასიათება³⁰. ეს თავისებურებანი ე. გუდიაშვილმა გამოაქვინა იმ დიდი დიალექტოლოგიური მასალის საფუძველზე, რომელიც თვითონ შეაგროვა სველე პირობებში.

ნ. ჭანაშიამაც მის მიერ ადგილზე შეგროვილი დიალექტოლოგიური მასალის გულმოდგინე ანალიზის საფუძველზე გამოაქვინა მთელი რიგი ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური თავისებურებანი ზემოწალკის მეტყველებაში და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ დადგენილ თავისებურებათა საფუძველზე შეიძლება დაისვას საკითხი აღნიშნული მეტყველების დამოუკიდებელ თურქულ დიალექტად გამოყოფის შესახებ³¹.

თბილისელი თურქოლოგები ასეთივე ინტერესით ეკიდებიან მოძვე აზერბაიჯანული ხალხის მეტყველების მეცნიერულ შესწავლას. ვ. ჭანგიძემ დმანისის რაიონში მრავალგზის მოგზაურობის შედეგად შეისწავლა აზერბაიჯანული ენის დმანისის კილო; შეკრიბა დიდძალი დიალექტური მასალა და დაწერა სოლიდური მონოგრაფია, რომელიც გამოსცა აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიამ³². მონოგრაფიამ კარგი შეფასება დაიმსახურა როგორც საბჭოთა აკადემიაში (პროფ. ლ. პოკროვსკაია), ისე საზღვარგარეთ (კლარკი, აშშ).

საქართველოს გარდაბნის რაიონში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა მეტყველების შესწავლას ეძღვნება გ. თუშმალიშვილის შრომები, რომელთა საერთო თემაა „გარდაბნის რაიონის აზერბაიჯანელთა მეტყველების თავისებურებანი“³³. გამოვლენილია ზედსართავი სახელის შედარებითი ხარისხის საინტერესო ვიალექტური ფორმები, აგრეთვე დიალექტური ლექსიკური ელემენტები, რომლებიც დღემდე სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნული არ მოხილა.

ფრიად ნაყოფიერი საკვლევადიებო მუშაობა მიმდინარეობს თურქოლოგის ხაზით აგრეთვე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში. აქ უნდა აღინიშნოს ცისანა აბუ-ლაძის შრომები. რომლებშიც შესწავლილია თურქული და აზერბაიჯანული ენების ისტორიისა და ქართულ-თურქულ ენობრივ ურთიერთობათა საკით-

³⁰ მეორე პირის კუთვნილებით აფიქსიან ფუძეთა ბრუნება წალკის რაიონის თურქულენოვან მოსახლეთა მეტყველებაში, ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია, I, თბ., 1954; ზოგიერთი სინტაქსური თავისებურების შესახებ წალკის თურქულენოვანი მოსახლეობის მეტყველებაში, თსუ-ის შრომები, 55, 1954; ზოგიერთი ზმნური ფორმის შესახებ ქვემო წალკის თურქულ მეტყველებაში, ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია, II, თბ., 1957; ქვემო წალკის თურქული მეტყველების ზოგიერთი ლექსიკური თავისებურების შესახებ, თსუ-ის შრომები, 91, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, II, თბ., 1960.

³¹ Н. Джашаиш, Особенности речи туркоязычного населения Верхней Цахки (საქანდიტო დისერტაციის ავტორეფერატი), თბილისი, 1955; აშშ-განსახლებულისა და აშშ-განსახლებულის წარმოებისათვის ზემოწალკურში, თსუ-ის შრომები, 99, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, III, თბილისი, 1962.

³² Дмашнеский говор казахского диалекта азербайджанского языка, Баку, 1965.

³³ გარდაბნელ აზერბაიჯანელთა მეტყველების ზოგიერთი ლექსიკური, ფონეტიკური და მორფოლოგიური თავისებურებანი, მცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1971, № 4.

ხები. მისი მონოგრაფია „სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის სიტყვანის თურქული თარგმანები“ შეიცავს სამი ათასზე მეტი ქართული სიტყვის თურქულ თარგმანს, რაც მეტად ფასეული მასალაა თურქულ ენათა ისტორიის საკითხების გასათვალისწინებლად³⁴. მასში XVII—XVIII საუკუნეების თურქული და აზერბაიჯანული ცოცხალი ენების მასალა მოცემულია ქართული ტრანსკრიფციით. შრომაში ყურადღებას იპყრობს თურქულ სიტყვათა გრაფიკულ-ფონეტიკურ და ლექსიკურ-გრამატიკულ თავისებურებათა შეპირისპირება თანამედროვე თურქული და აზერბაიჯანული ენებისა და მათი დიალექტების მონაცემებთან. ც. აბულაძის მიერ გამოვლენილია ქართულ ენაში შემოსული აზერბაიჯანულ-თურქული და არაბულ-სპარსული წარმომავლობის მრავალი ლექსემა³⁵.

ც. აბულაძე ხშირად აქვეყნებს ოსმალურ დოკუმენტურ და ნარატიულ ძეგლებს, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ თურქული ენის (ოსმალურის) განვითარების ისტორიისა და თურქულ-ქართულ კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობათა შესასწავლად, აგრეთვე ოსმალური დიპლომატიკისა და პალეოგრაფიის ცალკეული საკითხების გასარკვევად³⁶. მანვე გამოსცა XVIII საუკუნის ავტორის გურჯიზადეს თხზულება „თბილისის დაპყრობის წიგნი“ (თურქული ტექსტი, ქართული თარგმანი და კომენტარები). წიგნში აღწერილია ოსმალთა ფაშების შეპოქრა ამიერკავკასიის ჩრდილო და აღმოსავლეთ რაიონებში 1723—24 წლებში³⁷. ც. აბულაძე მუშაობს საქართველოს მუზეუმებსა და არქივებში დაცული თურქული ხელნაწერების აღწერაზე³⁸.

ოსმალურ დოკუმენტურ (სააღწერო დავთრები, ფირმანები, ბუიჩულდუ. ჰუჯათები) და ნარატიულ ძეგლებს საქართველოსა და კავკასიის შესახებ აქვეყნებს წლების განმავლობაში ს. ჭიჭია. ამ ხანიათის ნაშრომებიდან აქ შეიძლება აღინიშნოს ოთხტომიანი ნაშრომი „კურჩისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (XVI საუკუნე). შრომა წარმოადგენს თურქული ტექსტის პუბლიკაციას (1947 წ.), ქართულ თარგმანს (1941 წ.) და გამოკვლევას (1958 წ.). დასაბუქდად მომზადებულია IV ტომი — ტექსტის ენობრივი ანალიზი. ეს ძეგლი შესრულებულია ე. წ. სიაკათის ხელით, რომელსაც დიაკრიტიკული ნიშნები არა აქვს და ამდენად იგი ამოსაკითხავად ურთულესი დამწერლობაა. ძეგლი მნიშვნელოვანია სამხრეთ საქართველოს ისტორიის, ეკონომიკის, ქართულ-თურქული სოციალურ-პოლიტიკური ურთიერთობების შესასწავლად და აგრეთვე:

³⁴ თბილისი, 1968.

³⁵ თურქული ნასესხობები ქართულ ენაში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, თბილისი, 1962.

³⁶ ამჟამად — საქართველოში არღვნ ყაენის ლაშქრობის შესახებ, შოთა რუსთაველი, ისტორიულ-ფილოლოგიური ნარკვევები, თბილისი, 1966; არზრუმის ვილაიეთის 1592 წ. კანუნ-ნამე. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის შრომები, ტ. III, თბ., 1961; ოთხი თურქული დოკუმენტი იმერეთის მეფის სოლომონ II შესახებ, ძსუ-ის შრომები, 121, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, ტ. VII, თბილისი; 1967; ორი თურქული ფირმანი, „მრავალთავი“ ისტორიულ-ფილოლოგიური ნარკვევები, ტ. I, თბ., 1971; სამი თურქული ფირმანი, აღმოსავლური ფილოლოგია, ტ. III, თბ., 1973.

³⁷ გურჯიზადე, თბილისის დაპყრობის წიგნი, თბილისი, 1975.

³⁸ კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის არაბულ, თურქულ და სპარსულ ხელნაწერთა კატალოგი (რ. გვარამიასა და მ. მამაცაშვილის თანავეტორობით). თბ., 1969.

ქვე საუკუნეების თურქეთის ისტორიულ-გეოგრაფიასა, ტოპონიმიკასა და ანზედრო-ლენურ სისტემასთან დაკავშირებული საკითხების გასაჩვენებლად³⁹.

ს. ჩიქია იკვლევს თურქულ-ქართულურ ენობრივ კონტაქტებს. ამ სფეროს განვლენება მისი შრომები თურქულ-ლაზურ და ქართულ-აზერბაიჯანულ ენობრივ ურთიერთობათა შესახებ. მის მიერ შესწავლილია აგრეთვე რიგი აღმოსავლური წარმომავლობის სიტყვები ქართულში⁴⁰.

ს. ჩიქია სწავლობს აგრეთვე ე. წ. ტრანსკრიბირებულ ტექსტებს. თურქული ენის ისტორიული ფონეტიკის, გრამატიკისა და ლექსიკის თეალსაზრისით აინტერესო მასალას შეიცავს „XVIII საუკუნეში შედგენილი ქართულ-თურქული სასწავლო წიგნი“, რომლის თურქული ტექსტი ქართული ტრანსკრიბციითაა შესრულებული⁴¹.

ორჯერ გამოიცა ს. ჩიქიას მიერ შედგენილი „თურქული ქრესტომათია“ (1965 და 1971 წწ.).

ამჟამად ს. ჩიქია მუშაობს ქართლის სამეფოს „დიდი დავთრის“ (XVIII ს.) გამოცემაზე⁴².

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის თურქოლოგიის განყოფილების თანამშრომლები მუშაობენ ქართულ-თურქულ და თურქულ-ქართულ ლექსიკონების შედგენაზე. ლექსიკონების დასაბეჭდად მომზადება დაგეგმილია კიმდინარე ხუთწლედის ბოლოსათვის.

ქართველი თურქოლოგები მუშაობენ თურქულენოვანი ხალხების ლიტერატურათმცოდნეობის პრობლემებზე.

ე. ჭავჭავაძე წარმატებით იკვლევს შუა საუკუნეების თურქულ ლიტერატურას. იგი ავტორია საერთოდ პირველი მონოგრაფიისა XVI საუკუნის ცნობილი თურქი პოეტის რუსუბ ბაღდადის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ⁴³.

XVI საუკუნის გამოჩენილი აზერბაიჯანელი პოეტის ფუზულს შესახებ დაწერილ შრომაში ე. ჭავჭავაძემ მოგვცა ფუზულს შემოქმედების ძირითადი პრობლემების მიმოხილვა⁴⁴. თავის სხვა შრომებში ე. ჭავჭავაძე განიხილავს

³⁹ აღნიშნული „დავთრის“ გარდა: XVIII საუკუნის თურქულ დოკუმენტი ოქროს-ციხის შენახებ, თსუ-ის შრომები, 91. თბ., 1960; სულთან აჰმედ III ფიჩანა ბაქარ ბავრატონისადმი, ქართული წყაროთმცოდნეობა, თბ., 1971; ოსმალური „ურდიული დოკუმენტები“ XVIII საუკუნის ქართლში, „აღმოსავლური ფილოლოგია“, ტ. I, თბ., 1969 და სხვა; „იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ“ (თურქულ ტექსტა, ქართული თარგმანი, შესავალი და შენიშვნები), თბ., 1964; ცნობა დიდი მოურავის უკანასკნელი დღეების შესახებ ოსმალეთში, ენოლოგია, ტ. I, თბ., 1964; ოსმალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, ტ. XIII, თბ., 1942 და სხვა.

⁴⁰ თურქულ-ლაზური ენობრივი ურთიერთობადან: 1. თურქული ლექსიკონი კალკანი ლაზურში, თსუ-ის შრომები, 108, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, IV, თბ., 1964; 2. თურქული სინტაქსური კალკები ლაზურში, კრებ. „ირონი — აკაე შანიძეს“, თბ., 1967; 3. თურქული ბგერების გადმოცემისათვის ლაზურში, თსუ-ის შრომები, ტ. 8—9, 1974; 4. თურქული ლექსიკონი ელემენტების შესახებ ლაზურში, თსუ-ის შრომები, ტ. 164, 1975; ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია, II, თბილისი, 1957; აღმოსავლური წარმოშობის სიტყვათა ისტორიადან, ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია, ტ. III, 1960.

⁴¹ ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია, ტ. I, თბილისი, 1954.

⁴² ს. ჩიქიას სამეცნიერო შრომების სრული სია იხ. „აღმოსავლური ფილოლოგია“, ტ. III, თბ., 1973.

⁴³ რუსუბ ბაღდადი, თბილისი, 1966.

⁴⁴ ფუზული, თბილისი, 1972.

თურქული სატირისა და იუმორის განვითარების საკითხებს. ამ მხრივ ფრიად საინტერესოა მისი სტატიები, რომლებიც ეხება თურქული სატირის ჩასახვას და დიდი თურქი სატირიკოსი პოეტის ნეფის სატირის ბუნების გარკვევას⁴⁵.

ყურადღებას იმსახურებს ე. ჭაველიძის შრომები სუფიზმისა და შუასაუკუნეების პოეტთა მსოფლმხედველობის შესახებ⁴⁶. შუა საუკუნეების აღმოსავლეთის მსოფლმხედველობის საკითხები ვრცლად არის გაშუქებული ე. ჭაველიძის წიგნში „ქელაღდინ რუმში და თურქული ლიტერატურის სათავეებში (მსოფლმხედველობის საკითხები)“. ამ მონოგრაფიაში მოცემულია სუფიზმის მთელი რიგი საკვანძო საკითხების გარკვევის ცდა (წიგნი მზადაა დასაბუქლად). ე. ჭაველიძე ავტორია რამდენიმე სტატიისა, რომლებშიც განხილულია შუა საუკუნეებისა თუ თანამედროვე თურქული ლიტერატურის და, აგრეთვე, მხატვრული თარგმანის საპირბორტო საკითხები.

ე. ჭაველიძის ხელმძღვანელობით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში ორი მეცნიერი თანამშრომელი ც. ახალაძე და ქ. ტომარაძე სწავლობენ მიპრიხათუნისა და იმადედინ ნესიმის შემოქმედებას.

ლიტერატურათმცოდნეობაში აღსანიშნავია აგრეთვე ვ. ჭანგიძის შრომები, რომლებიც მიეძღვნა გამოჩენილ აზერბაიჯანელ პოეტებს ფუზულისა და მოლა ფანაქ ვაჯიფის საიუბილეო თარიღებს⁴⁷.

ახალი თურქული ლიტერატურის პრობლემებს სწავლობს თბილისის უნივერსიტეტის თანამშრომელი ირინე გოცირიძე. მეტად ემინის შემოქმედების ძირითადი საკითხებისადმი მიძღვნილ სტატიაში ი. გოცირიძე იძლევა მეტად ემინის პოეზიისა და პროზის სოციალური და უროვნული მოტივების დაწვრილებით ანალიზს და საესეებით საპართლიანად აფასებს დემოკრატიულ და პატრიოტულ იდეებს პოეტის შემოქმედებაში⁴⁸. ერთი თავისი შრომა ი. გოცირიძემ მიუძღვნა გამოჩენილი თურქი მწერლის იაკუბ კადრის შემოქმედებას⁴⁹. შრომაში მოცემულია მწერლის მოთხრობების ლიტერატურულ-მხატვრული ანალიზი (კრებულ *Milli Savaş Hikayeleri*-ს მიხედვით). აღნიშნულია, რომ მწერალი რეალისტურად აღწერს ზურგის ცხოვრებას ომის პერიოდში, თურქი გლეხობის მძიმე ცხოვრებას, მათ ლტოლვას უკეთესი მომავლისაკენ. დასკვნაში ავტორი აკრიტიკებს იაკუბ კადრის, როგორც ბურჟუაზიული იდეოლოგიის მწერალს და ამავე დროს აღნიშნავს მისი ლიტერატურული მიმართულების დადებით მხარეებსაც.

ი. გოცირიძის სტატიაში „ამჟამად ჰაშიმის პოეზიის გაგებისათვის“⁵⁰ ლაპარაკია თურქულ ლიტერატურაში სიმბოლიზმის შეღწევაზე და მის (სიმბოლი-

⁴⁵ თურქული სატირის ჩასახვასათვის, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1970, № 1; ნუფის სატირის გაგებისათვის, აღმოსავლური ფილოლოგია, ტ. III, 1973.

⁴⁶ სუფიზმის ერთი საკითხის გაგებისათვის აღმოსავლური ლირიკაში. „ციცქარი“, 1966, № 12; აღმოსავლეთის მსოფლმხედველობის გაგებისათვის, „მნათობი“, 1968, № 9; ნესიმის მსოფლმხედველობის გაგებისათვის, „ციცქარი“, 1972, № 12; გურჯა ხათუნისა (თამარ სულთანის) და ქელაღდინ რუმის ურთიერთობის ისტორიიდან, „მნათობი“, 1975, № 3.

⁴⁷ გამოჩენილი აზერბაიჯანელი ლირიკოსი (ფუზულის დაბადების 400 წლისთავის გამო), „მნათობი“, 1959, № 8; გამოჩენილი სახალხო პოეტი მოლა ფანაქ ვაჯიფი, ვაზ. „კომუნისტი“, 24, XI, 1968.

⁴⁸ თსუ-ის შრომები, 108, 1964.

⁴⁹ იაკუბ კადრის მოთხრობები, თსუ-ის შრომები, 118, 1967.

⁵⁰ აღმოსავლური ფილოლოგია, ტ. III, თბ., 1973.

ზმის) ფუძემდებელზე თურქეთში აჰმედ ჰამიშზე. შემდეგში მოცემულია კრიტიკული დახასიათება საერთოდ სიმბოლიზმისა და, კერძოდ, აჰმედ ჰამიშის სიმბოლისტური პოეზიისა, რომლისთვისაც სრულიად უცხოა თურქი ხალხის ცხოვრების ამსახველი თემები. ამასთანავე სტატიაში ჯეროვნად არის დაფასებული სიმბოლისტი პოეტის პოეტური ტალანტი.

ამჟამად ი. გოცირიძე სწავლობს თანამედროვე თურქულ პოეტურ სწავლას ლიტერატურის წარმომადგენლის, მშრომელი გლეხობის უფლებებისათვის მებრძოლი მწერლის ფაჰრ ბაჩქურთის შემოქმედებას.

აზერბაიჯანულ ლიტერატურასა და აზერბაიჯანულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობებს სწავლობს აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის თანამშრომელი გიორგი შაყულაშვილი. სტატიაში „ვაგიფის სატრფიალო ლირიკის ზოგიერთი თავისებურება“⁵¹ ავტორი, აღმოსავლურ ლიტერატურასთან მიმართების გათვალისწინებით, წარმოგვიჩენს ვაგიფის სატრფიალო ლირიკის დამახასიათებელ ნიშნებს და რეალიზმის საწყისებს მის პოეზიაში. ნაშრომში „ქართულ აზერბაიჯანული ლიტერატურული ურთიერთობებიდან“ ავტორი ცდილობს სწორი გადაწყვეტა მოუძებნოს ვაგიფის საქართველოსთან დამოკიდებულების საკითხს⁵². გ. შაყულაშვილის ჯრცელ მონოგრაფიაში „საიათნოვას აზერბაიჯანული ლექსები თეიმურაზისეული დაფთრის შიხედვით“⁵³ დადგენილია ქართული ტრანსკრიფციით შესრულებული საიათნოვას აზერბაიჯანული ლექსების კრიტიკული ტექსტი. ლექსები გადმოღებულია თანამედროვე აზერბაიჯანული დამწერლობით, ახლავს კომენტარები და ქართული თარგმანები. შრომის მეორე ნაწილში ავტორი ეხება საქართველოში აშუღური პოეზიის აღმოცენებისა და დამკვიდრების საკითხს, ლიტერატურათმცოდნეობის ასპექტში იგი ერცლად მიმოიხილავს საიათნოვას ლირიკას.

ფრიად საინტერესოა გ. შაყულაშვილის მსჯელობა სიტყვებზე „სა-ამიკ-ო“ და „ამიკ-ობა“⁵⁴, რომლებიც გვხვდება შ. რუსთაველის პოემაში. ავტორი არკვევს ამ სიტყვის მნიშვნელობას რუსთაველის ეპოქისათვის და სხვა ავტორთა მცდარი მოსაზრებების საწინააღმდეგოდ დამაჯრებლად გვიჩვენებს „აშულ“ და „აშულ-ობა“ ტერმინებს შორის არსებულ სხვაობებს.

თურქოლოგი ლეილა ერატე (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი) თავის შრომებში იკვლევს უმთავრესად საბჭოთა პერიოდის აზერბაიჯანული ლიტერატურის და აზერბაიჯანულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების საკითხებს, რომელთა შესახებაც მას გამოქვეყნებული აქვს შრომების მთელი რიგი⁵⁵.

ლია ჩლაძის კვლევის ობიექტია თურქულ-აზერბაიჯანული ზეპირსიტყვიერება და ქართულ-თურქული ფოლკლორული ურთიერთობები. მისი მეც-

⁵¹ აღმოსავლური ფილოლოგია, ტ. III, 1973.

⁵² „მნათობი“, 1972, № 10.

⁵³ თბილისი, 1970.

⁵⁴ მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1972, № 2.

⁵⁵ სამედ ვერდნი და საქართველო (აზერბაიჯანულ ენაზე), ჟურნალი Azərbaycan, ბაქო, 1970, № 5; მირზა ფათალი ახუნდოვი და ქართული პრესა, „მნათობი“, 1977, № 3; აზერბაიჯანულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობათა ისტორიიდან. კრებული „ლიტერატურული ურთიერთობანი, III, თბილისი, 1971; ქართული თემა აზერბაიჯანულ საბჭოთა პოეზიაში, „ცისკარი“, 1971, № 9; მეგობრობა გზად და ხიდად, თბილისი, 1977; აბდულა შაიგი და საქართველო (აზერბაიჯანულ ენაზე), ჟურნალი Ədəbiyyat və sənəti, ბაქო, 1970, № 19 და სხვ.

ნიერული შრომის პირველი თემა იყო თურქულენოვანი ხალხების ეპიკური მექვიდრეობის ყველაზე პოპულარული ძეგლი — ქოროლის ეპოსი. ამჟამად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობაში იბეჭდება ლ. ჩლაიძის შრომა „ქოროლის ეპოსის ქართული ვერსია“. შრომაში გარკვეულია ეპოსის საქართველოში შემოსვლა-დამკვიდრების გზები და პირობები, ის ცვლილებები, რაც ქოროლის ეპოსმა ქართულ ნიადაგზე განიცადა. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ეპოსის აზერბაიჯანული ვერსიის ერთი ვრცელი ხელნაწერის მონაცემებზე დაყრდნობით ლ. ჩლაიძე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ეპოსის წარმოშობა უნდა უკავშირდებოდეს შაჰ აბას I-ის რეფორმებით შევიწროებული თურქმენი ტომების სოციალურ მოძრაობებს⁵⁶.

ლ. ჩლაიძემ ძველი თურქულიდან ქართულ ენაზე თარგმნა ეპიკური ჟანრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლი „ოღუზ-ნამე“. გამოცემა ახლავს შესავალი სტატია და კომენტარები⁵⁷. მანვე გამოაქვეყნა სტატია „ქართულ-აღმოსავლური დემონოლოგიური ურთიერთობიდან“, რომელშიც დამაჯერებლად არის ნაჩვენები ქართული დემონოლოგიის პოპულარული პერსონაჟის — ალის კავშირი თურქულ-სპარსულ დემონ ალუსთან⁵⁸.

ქართველი თურქოლოგები ჭეშოვან ყურადღებას უთმობენ თურქულენოვანი მხატვრული ლიტერატურის ქართულად თარგმნასა და პოპულარიზაციას.

ქართულ ენაზე საკმაო რაოდენობით არის თარგმნილი სხვადასხვა ჟანრის აზერბაიჯანული, თურქული, უზბეკური ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები. ამ თარგმანების მეოხებით ქართველი საზოგადოება ეცნობა მოძვე ხალხთა კულტურის მიღწევებს, რაც ხელს უწყობს ქართველი და თურქულენოვანი ხალხების დაახლოებას. მათ შორის მეგობრული კავშირის განმტკიცებას.

ამასთან დაკავშირებით უპირველესად ყოვლისა უნდა აღინიშნოს გამოჩენილი თურქი პოეტის ნაზიმ ჰიქმეთის „ჩრეული ლექსების“ კეშმარიტად ბრწყინვალე თარგმანი, რომელიც შესრულებულია ორიგინალიდან ვახტანგ კეკელიძის მიერ⁵⁹. ქართულად თარგმნილია აგრეთვე ნაზიმ ჰიქმეთის „პიესები“, თარგმნილი გ. ბათიაშვილის მიერ⁶⁰. ი. შილაკაძემ და ვ. ჭანგიძემ შეადგინეს და გამოსცეს „სომხური და აზერბაიჯანული ლიტერატურის ქრესტომათია“⁶¹, რომელიც შეიცავს ჩვენი მოძვე ხალხების მხატვრული ლიტერატურის ნიმუშების ქართულ თარგმანს უძველესი დროიდან დღემდე (ქართველი თურქოლოგების მიერ თარგმნილი აზერბაიჯანული ნაწილი 200 გვერდია).

ჩვენი თურქოლოგების დაუღალავი შრომის მეოხებით ქართველმა მკითხველმა მიიღო თურქული ხალხური ზღაპრების შესანიშნავი თარგმანები: „ჩადოსნური სარკე“ (თარგმნა ე. გულიაშვილმა)⁶², „მსოფლიო ხალხთა ზღაპრები“ სერიაში (გამომცემლობა „ნაკადული“) უკვე გამოვიდა: „თურქული ზღაპრები“ (შეადგინა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ლია ჩლაიძემ. მთარგმნე-

⁵⁶ Об одной неизвестной рукописи Кер-оглы, тос-ის შრომები, ტ. 121, თბ., 1967.

⁵⁷ თბილისი, 1975.

⁵⁸ მაენე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, თბილისი, 1974, № 1.

⁵⁹ ნაზიმ ჰიქმეთი, ჩრეული ლექსები, თბ., 1952, ტრაჟი 7000.

⁶⁰ თბილისი, 1970 (ტრაჟი 4000).

⁶¹ თბილისი, 1968.

⁶² თბილისი, 1961 (ტრაჟი 10000).

ლები: ე. გუდიაშვილი, ი. გოცირიძე, ლ. ჩლაიძე, ნ. სხირტლაძე⁶⁵, „აზერბაიჯანული ზღაპრები“ (შეადგინა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო გ. შაყულაშვილმა. მთარგმნელები: ზ. მედულაშვილი, ვ. ჯანგიძე, გ. თუმშალიშვილი, გ. შაყულაშვილი)⁶⁴, „უზბეკური ზღაპრები“ (კრებული შეადგინა, უზბეკურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ა. ცალქალაძანიძემ)⁶⁵.

1957 წელს გამოცემულ იქნა კრებული „აზერბაიჯანული მოთხრობები“. აზერბაიჯანულ მწერალთა ნაწარმოებები თარგმნეს თურქოლოგებმა ნ. ჯანაშიამ, ლ. ერაძემ და ნ. წულუესკირმა⁶⁶.

საერთო სათაურით „აღმოსავლური ლიტერატურის ნიმუშები“ უკვე გამოვიდა კრებულ „არამაღანის“ მეორე წიგნი⁶⁷ (პირველი წიგნი გამოიცა 1965 წელს). ორივე წიგნში შესული აღმოსავლეთის ხალხთა მდიდარი ლიტერატურის ნიმუშები თარგმნილია ორიგინალიდან. მათში დიდი ადგილი აქვს დათმობილი თურქულენოვან მოძმე ხალხთა ლიტერატურას.

აღსანიშნავია საბაჰათინ ალის მოთხრობების ქართული თარგმანები, შესრულებული ნ. ჯანაშიას მიერ („თურქული მოთხრობები“, „მგელი და ცხვრები“)⁶⁸.

ნ. ჯანაშიამ თარგმნა აგრეთვე: უზბეკი მწერლის შ. რაშიდოვის რომანი „ქარიშხალზე ძლიერი“⁶⁹, თურქი მწერლის სუათ დერვიშის რომანი „ფოსფორიანი ჭვერი“⁷⁰ და თურქი მწერლის ორჰან ჰანჩერლიოღლუს მოთხრობა „ალი“⁷¹.

ქართულად გამოცემულია თურქი მწერლების: აზიზ ნესინის იუმორისტული მოთხრობების კრებული „ძაღვის კული“, თარგმნილი გ. ბათიაშვილის მიერ⁷², და ჰალდუნ თანერის მოთხრობები სათაურით „თორმეტს აკლია ერთი შუთი“, თარგმნილი ლ. ჩლაიძის მიერ⁷³.

ლ. ერაძემ ქართულად თარგმნა ცნობილი აზერბაიჯანელი მწერლის საჰედ ვერდუნის „რჩეული“⁷⁴. მასვე ეკუთვნის მოძმე აზერბაიჯანელი ხალხის ლიტერატურის სხვა საუკეთესო ნიმუშების თარგმანები: „აზერბაიჯანული პროზის ანთოლოგია“⁷⁵, „აზერბაიჯანული საბჭოთა პოეზიის ანთოლოგია“⁷⁶, ნაბი ხაზრის „ლექსთა კრებული“ (ორჯერ)⁷⁷ და სხვ. ქართულ ენაზე თარგმნილია და სხვადასხვა ურნალ-გაზეთში გამოქვეყნებულია თურქულენოვან ხალხთა მხატვრული ლიტერატურის მრავალი ნიმუში, რომელთა სრული ჩამოთვლა ამ მოხსენების ფარგლებს აღემატება.

დიდი ოქტომბრის საიუბილეო წლით აღფრთოვანებული ქართველი თურქოლოგები კვლავაც არ დაიშურებენ ენერგიას, რათა ქართველ მკითხველებსათვის ხელმისაწვდომი გახადონ მეგობარი თურქულენოვანი ხალხების მდიდარი სულიერი კულტურის მიღწევები.

⁶³ თბილისი, 1972 (ტირაჟი 25000).

⁶⁴ თბილისი, 1973 (ტირაჟი 25000).

ე. ⁶⁵ თბილისი, 1973 (ტირაჟი 25000).

⁶⁶ თბილისი, 1957 (ტირაჟი 5000).

⁶⁷ კრებული შეადგინა მ. თოდუამ, თბილისი, 1977

⁶⁸ თბილისი, 1958. ⁶⁹ თბილისი, 1961. ⁷⁰ თბილისი, 1967. ⁷¹ თბილისი, 1966.

⁷² თბილისი, 1969. ⁷³ თბილისი, 1971. ⁷⁴ თბილისი, 1958. ⁷⁵ თბილისი, 1957.

⁷⁶ თბილისი, 1972. ⁷⁷ თბილისი, 1961 და 1975.

მ ა შ ა კ ა ვ ა ს კ ი რ ი

ძველისა და ახლის კონფლიქტის რამდენიმე ასპექტი
კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცებაში“

ეპოქის იდეები — ლიტერატურისა და ხელოვნების წარმმართველი და მამოძრავებელი ძალა — მუდამ თავისებურ მიმართულებას აძლევს მხატვრულ შემოქმედებას. იდეის სიახლე და სიღრმე განსაზღვრავს შესაფერისი ფორმებისა და ცხოველმყოფელი გამომსახველობითი საშუალებების ძიებას.

მეოცე საუკუნის ოცი-ოცდაათიანი წლები ის მძაფრი და მღელვარებით აღსავსე პერიოდია საბჭოთა ხალხის ისტორიაში, როცა ფართო ფრონტით გაიშალა სოციალისტური მშენებლობა, როცა სოციალიზმმა ყველა უბანზე მთელი ენერგიით დაიწყო შეტევა და ბრძოლა გამოუცხადა კულაკობას — კაპიტალიზმის ამ უკანასკნელ გადმონაშთს.

ქართული ლიტერატურა, ცხადია, გვერდს ვერ აუვლიდა ამ ბობოქარ მოვლენას, და, მართლაც, საბჭოთა საქართველოს ცხოვრების ეს მონაკვეთი მკაფიოდ აისახა ქართული მწერლობის სხვადასხვა ქანრში.

სწორედ ამ დროს შეიქმნა ლ. ქიაჩელის „გვადი ბიგვა“, პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“, შ. დადიანის „თეთნულდი“, კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“ და სხვა. აქ ცალკე გამოვყოფთ მეოცე საუკუნის ქართული პროზის დიდ მონაპოვარს — კ. გამსახურდიას ტრილოგიას „მთვარის მოტაცება“, რომელიც გამოირჩევა ცხოვრებისეული მოვლენების სიუხვითა და მრავალმხრივობით, მოქმედების პორიზონტის მასშტაბურობით. მწერალმა დიდი მხატვრული ძალით აღბეჭდა სოფლად მიმდინარე მწვანე კლასობრივი, ძველი და ახალი თაობების სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა. ამასთანავე „მთვარის მოტაცება“ პირველი დიდი მხატვრული ტილოა. რომელშიც კ. გამსახურდიამ უარყო „დისტანციის თეორია“.

თანამედროვე ცხოვრების ასახვამ მწერლის შემოქმედებას კიდევ უფრო მეტი ცხოველმყოფლობა შესძინა.

თავადაზნაურობის წარმომადგენელთა ბედის ჩვენება, „ზედმეტი ადამიანის“ სულიერი და ფიზიკური მდგომარეობის ასახვა, როგორც ბატონყმობის გადავარდნამდე. ისე მის შემდეგ, არაა ახალი ქართული ლიტერატურისათვის; თავის დროზე ეს თემა აისახა დიდი ქართველი მწერლების: გ. ერისთავის, ი. ქავკავაძის, დ. კლდიაშვილის შემოქმედებაში. მათი ლიტერატურული პერსონაჟები მკაფიო ანარქულს იძლევიან იმ სოციალური დაკნინების წარმოსახვაად, რომელიც თავადაზნაურობის წარმომადგენლებმა. აწ უკვე „ზედმეტმა ადამიანებმა“, განიცადეს გარკვეული საზოგადოებრივი ატმოსფეროს შედეგად.

„უღრობის გმირი“, უშუალო წინაპარი „ზედმეტი ადამიანისა“, მაფიგურირებული პერსონაჟი იყო მეთვრამეტე, მეცხრამეტე საუკუნის ევროპული ლიტერატურისათვის, მისი გამოჩენა მხატვრული სიტყვიერების სარბიელზე დაკავშირებულია უილიამ შექსპირთან, რომელმაც ჰამლეტის სახით შექმნა პირველი მხატვრული ნიმუში ამდაგვარი ადამიანისა.

ახალგაზრდა ადამიანის პრობლემამ დაიპყრო სხვადასხვა ლიტერატურული ქანრი. მთლიანად დაიმორჩილა რომანთა სამყარო (გოეთე, სტენდალი, ბალზაცი, ლერმონტოვი), პოეტური ეპოსი (ბაირონი, პუშკინი), დრამატურგა (შექსპირი, შილერი, გრიბოედოვი) და სხვ.

„უღრობის გმირი“ თავისი მოწინავე იდეებითა და განწყობილებებით წინ უსწრებს ეპოქას, მის მოვლენებს, საზოგადოებას. გარემომცველი პირობები მომავლენებელ გავლენას ახდენს მასზე. მას არ შეუძლია თავისი მიზანდასახულებისამებრ გამოიყენოს საკუთარი ძალა. სამოქმედო ასპარეზის უქონლობას ტრაგიკულ აღსასრულამდე მიჰყავს ის. ჰამლეტმა, ვერტერმა, ჩაილდ ჰაროლდმა, ევგენი ონეგინმა, პეჩორინმა და ჩაკიმ ვერ განახორციელეს ის მაღალი იდეები, რომელნიც მათი ცხოვრების მთავარ მიზანს წარმოადგენდნენ.

კაპიტალიზტურმა სამყარომ წარმოშვა „ზედმეტი ადამიანი“, რომელიც აშკარად ჩამორჩება ეპოქას, უარყოფს ახალს, ძველისაგან სრულიად განსხვავებულ პროგრესულ იდეებს, მისწრაფებებს და წარსულის მელანქოლიურ ბურუსში ეხვევა.

„უღრობის გმირსა“ და „ზედმეტ ადამიანს“ შორის დიდი განსხვავებაა. თუმცა ბევრი რამ საერთოც აქვთ ზნეობრივ-მორალურ და ფსიქიკურ-გონებრივ სფეროში.

კ. გამსახურდიამ „დიონისოს ღიმილსა“ და „მთვარის მოტაცებაში“ დამაჯერებელი სისრულით გვიჩვენა „ზედმეტ ადამიანთა“ შემდგომი ბედი, თავდაზნაურობის უკანასკნელ შთამომავალთა დასამარება.

კ. გამსახურდიამ „მთვარის მოტაცებაში“ უდიდესი სიცხადით შეძლო მკითხველთათვის ეგრძნობინებინა ის სიმნლევები, რომლებიც თან სდევდა კოლმეურნეობათა ჩამოყალიბებას საქართველოში, კერძოდ აფხაზეთსა და სამეგრელოში.

მწერალმა ფართო ჰორიზონტი აიჩრია მოქმედებათა მსვლელობისათვის. მისი გმირები შემოივლიან მთელ ევროპას. რომანში ჩვენ ვხედავთ მთელ საქართველოს, როგორც ამიერს, ისე იმიერს, ძველ, მიუვალ, პატრიარქალურ სუანეთს და ახალ, აღორძინებულ საბჭოთა საქართველოს დედაქალაქ თბილისს.

კ. გამსახურდიას რომანში „თასი რჭულის“ ხალხი ცხოვრობს, განსხვავებული იდეებითა და მისწრაფებებით; ხასიათებისა და განწყობილებების ზღვაა.

„მთვარის მოტაცება“ იწყება ძველებური აფხაზური სიმღერით. „ერეგაშეა“ ერთგვარი უვერტიურაა რომანის სამყაროში შესასვლელად.

მოქმედების დასაწყისიდანვე აშკარად იგრძნობა ძველისა და ახლის კიდლი. ცხენების გაჯობრება რომანის პროლოგში ამ შერკინების სიმბოლური დეტალია. მამა-შვილ ზვამბაიების ხასიათებისა და მოქმედების შემდგომი განვითარების მიმანიშნებელი ნიშანსწევთა. კაც ზვამბაიას ცხენი დინჯია და აუჩქარებელი, არზაყანისა — გაუხუნდელი და თავაწყვეტილი, წინ გარბის, ახალი სივრცეების გადალახვა სურს „არაბიას“, კაც ზვამბაიას კი დინჯად მიჰყვება ცხოვრების შარაგზას.

მარულაზე მიმავალ მამა-შვილს შორის იღუმალი ქიშპი იჩენს თავს. კაც ზეამბაია ხედავს, რომ მისი ნაშიერი ტოლს არ უდებს. „კომკავშირში ნუ შე-
ბვალო“. არიგებდა შვილს კაც ზეამბაია, არზაყანი კი პირველი ჩაეწერა,
„ჩალმასს — რაიკომის მდივანს ნუ აკუევიბო“, — ეუბნებოდა კაც, არზაყან-
მა კი ლამისა სულში ჩაიძვრინოს ჩალმაზი. არზაყანმა აკვანში დანიშნული ქა-
ლი მიატოვა და თამარს გადაეციდა, შერვაშიძის ასულს. ...„რა მისი საქმეა თა-
ვადის ქალი! სად შერვაშიძე, და სად ზეამბაია!“.

ამ განწყობილებით ოდიშის ერთ-ერთ დაბაში შესულ მამა-შვილს თვალ-
წინ გადაეშლება სახურავებსა და ქიშკრებზე მოფრიალულ დროშები, იწყება
ილუმინაცია. ყოველ მხრივ იგრძნობა ახალი ცხოვრების სუნთქვა.

არზაყან ზეამბაია — ახალი ცხოვრების გმირი, სოციალისტური საზო-
გადოების დამკვიდრებისათვის თავდადებული მებრძოლი, სრულიად ახალ-
გაზრდა შევიდა კომკავშირში. კომკავშირმა და წითელმა არმიამ გამოაწრთო-
იგი კომუნისტური სულისკვებით. აქ მომწიფდა მისი მსოფლმხედველობა,
რომელსაც მთელი ცხოვრება შესწირა. როგორც კრიტიკოსი ბ. ჟღენტი აღნიშ-
ნავს, მას „ერთგულად შეუსრულებია პარტიისა და სახელმწიფოს საპასუხის-
მგებლო დავალებანი, თავდადებულად უბრძოლია ბანდიტების წინააღმდეგ,
ჩვეოლუციის გაცოფებული მტრების წინააღმდეგ და ახლა, მშობლიურ კუთ-
ხეში დაბრუნებული, სოფლის მეურნეობის მთლიანი კოლექტივიზაციისათვის
გაჩაღებული ბრძოლის ერთ-ერთი მესვეური გამხდარა“¹.

არზაყანმა იცის, რომ შერვაშიძეებისა და ემხვარების მაგიერ უხნაეთ მის
წინაპრებს. იცის, რომ ზეამბაიების ქალებს ემხვარებისა და შერვაშიძეების
ბავშვები უზრდიათ, რათა ძუძუ-მკერდი არ დაშრეტოდათ მალალი საზოგა-
დოების დედაკაცებს. „ახლა ზეამბაიების დროა, ახლა ჩვენი დროა, ფიქრობდა
არზაყან ზეამბაია. სახნაიცი ჩვენია და სათესიცი, ზღვაცა და ცაი“.

არზაყანმა იცის, რომ ეს ქვეყანა ბრძოლისა და შრომისთვისაა გაჩენილი,
იბრძვის და იღუწის ახალი ცხოვრებისათვის, საბჭოთა სინამდვილისათვის, საბ-
ჭოთა ხელისუფლებისათვის. მისი ოცნებაა, განაგრძოს სწავლა-განათლება:
მზადაა, მთელი თავისი ენერგია მეცნიერების საფუძვლების შესწავლას შეს-
წიროს. ოცნებობს თავის მომავალზე... „ტფილისის უნივერსიტეტში შევა, პარ-
ტია დაეხმარება არზაყანს. მისთვის პარტია თითქოს ზენარული რამ ერთარსე-
ბა იყო მუდამ, რომლისთვისაც ყოველ წუთში გასწირავდა სიცოცხლეს. და
განა ერთხელ შეუგდია არზაყანს სასწორზე თავისი ჰაბუჯური სიცოცხლე
პარტიის დავალებით, პარტიის გულისათვის?“

არზაყანს მეცნიერების დაუფლებაშიც სურს შეეჯიბროს თავდაზნაურო-
ბის წარმომადგენლებს, ელანდება, რომ იგი განთქმული მეცნიერია. „მალალი,
თეთრი სახლის მარმარილოს კიბეებზე აღის, მარჯვნივ და მარცხნივ ქუდს ის-
დის მოზიშნიმე ახალგაზრდობა... ათასი ცნობის და ცოდნისმოყვარე თვალი
შემოსტკერის, უცდიან რას იტყვის ახალს უკვე პარმეგი მეცნიერი არზაყან
ზეამბაია“.

ახალი საზოგადოების მშენებელს აქტუალურ საკითხად მიუჩნევია კოლ-
ხეთის ქაობების ამოშრობა, გადაუწყვეტია ბალნარად აქციოს კოლოებისა და
ბაყაყების სამფლობელო. იგი გატაცებით უყვება თამარ შერვაშიძეს, რა მო-

¹ ბ. ჟღენტი, მწერლობა და თანამედროვეობა, თბ., 1976, გვ. 249.

მავალი აქვს კოლხეთს, როგორ გაშენდება ამ ქაობიან ველებზე ჩაის პლანტაციები, როგორ იხარებს ნაყოფიერ მიწაზე ციტრუსოვანი ნარგავები.

ნაწარმოებში ნათლად იგრძნობა ის დიდი სულიერი და ფიზიკური სიძნელები, რომელთა გადალახვა მოუხდა არზაყან ზვამბაიას სოფლად პირველი კოლექტივის ჩამოყალიბებისას. „რამდენიმე ღარიბი გლეხი მიიმხრო არზაყანმა, ათიოდე კომკავშირელიც. მათთან ერთად აპირებდა პირველი კოლექტივის დაარსებას...“ მაგრამ, თითქოს, ყველამ პირი შეერა მის წინააღმდეგ: თითქოს ბუნებაც დალატობს. თავი წამოყვეს რევოლუციის მტრებმა. კორებით გაბრუდა სოფელი. ზურგი შეაქციეს არზაყანს. „მის დანახვაზე ჩურჩულს ასტეხდნენ, მოხუციები სახეს ჭლანავდნენ, განზე აწითებდნენ და მზერას არიდებდნენ...“ სიყრმის მეგობრებიც კი დაემდურნენ. ის კი მაინც არ ცხრება. სძლევს ყოველგვარ დაბრკოლებებს და პირველი შედის კოლმეურნობაში.

არზაყან ზვამბაია და საურ ლაფარიანი პირველნი ჩამოაყალიბებენ სვანურ სოფელში კომკავშირულ ორგანიზაციას, თუმცა საურ ლაფარიანის როლი კომკავშირულ მოძრაობაში გაცილებით ნაკლებია, ვიდრე არზაყანისა. ქორა მახვილსა და მამის თვალის ასახვევად საური იძულებულია ილოცოს კრდეც. კომკავშირობას კი საერთოდ ვერ ამხელს, ბრმად ემორჩილება დრომოქმულ სვანურ ტრადიციებს.

ტარებისაგან დევნილი არზაყან ზვამბაია, საურ ლაფარიანთან ერთად განახლებულ მომავალზე ოცნებობს. ინატრიან იმ დღეს, „...როცა ელმავლები ხალხითა და საქარხნო საქონლით დატვირთულ მატარებლებს შემოიკყანენ ენგურის გაუვალ ხეობაში. ბაგირის გზები და ფუნიკულდორები აცოცდებიან ამ ამაყ მთებზე, ელექტრონი, ტელეფონი, რადიო შემოვა და ჰაერობლანები კავკასიონს დაბალ ღობედ გადააქცევენ“.

არზაყან ზვამბაიას მხატვრულ პორტრეტში შეინიშნება სუსტი მხარეებიც. არც ისე იშვიათია წუთები, როდესაც იგი მზად არის დათმოს ყოველივე და ყველაფერი: მოვალეობა პარტიის წინაშე, მოვალეობა მამის წინაშე, დედის ძუძუს მოზიარის მიმართაც შეუძლია გატეხოს მტკიცე აფხაზური ფიცი. და ყოველივე ამას სჩადის იმისათვის, რომ თუნდაც ერთხელ მაინც ნახოს თავისი გულისწორის, თამარ შერვაშიძის „მოლიბრო თვალები“. მას ხშირად არასწორად ესმის წარსულთან დამოკიდებულება. „როგორ? მტერს, რომ მოერიო ბედაურზე მჭდარს, განა იმ ბედაურზე იმიტომ არ უნდა შეჭდეს, რომ იგი მტრის ნაჭდომია? ...როგორ? მტერს, რომ მოერიო და სახლ-კარი წაართვა, განა იმიტომ არ უნდა მოსწყვიტო მის ბაღში მოსული ვარდი, რომ ეს ვარდი მტრისეულ ბაღშია მოსული?“.

არზაყან ზვამბაია არ არის თავისუფალი ძველი, დროგადასული აფხაზური ტრადიციებისაგან, შებოჭილი ჰყავს მამა-პაპათა ადამ-წესებსა და ზნე-ჩვეულებებს. მის სახეს ერთგვარ ჩრდილს აყენებს უპატივემლობა და გულგრილობა, რომელსაც იჩენს თავისი მამის, კაც ზვამბაიას მიმართ. არზაყანმა გადააბიჯა იმ ზნეობრივ ზღვარს, რომლის დაცვაც მოეთხოვება ყველა შვილს. აღნიშნული გარემოებანი აპირებებს მის ზნეობრივ სახეს. არზაყანი მოკლებულია შინაგან სითბოს, ვერ იჩენს სულიერ წონასწორობას. რაც ასე აუცილებელია ადამიანის ნორმალური მოქმედებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ არზაყან ზვამბაიას აკლია ორგანიზატორული ნიჭი, აჩქარებულია და ვერ იჩენს ზომიერებას, მაინც უფლება არ გვაქვს არ მივიჩნიოთ იგი რევოლუციური გარდაქმნების ქარისკაცად. „მე ვაღიარებ

ჩემს შეტყობას, რომ გამიტაცა ერთმა გარემოებამ, — წერს ე. გამსახურდია. — არზაყანის სახეში მე მაქვს გადაჭარბება“. ავტორი იქვე დასძენს, რომ იგი გაიტაცა მხატვრულმა ამბავმა: „რა თქმა უნდა, მე უნდა მივექცია ყურადღება, რომ ეს კაცი ახალი კაცია და იგი უფრო სუფთად უნდა გამოიყვანა, მაგრამ მე მყავდა ნეორე კაცი, ჩალმაზი, რომელიც ჩემი აზრით არის იდეური კომუნისტი“.

კრიტიკა ხშირად საყვედურობდა ე. გამსახურდიას რომ „მთავრის მოტაცების“ წინ წამოსწია ძველი ცხოვრება, ახალი კი შედარებით უკანა პლანზე მოაქციაო. „ძველები მე ჯეროვნად გამომივიდა იმიტომ, რომ გვანჯ აფაქიძეს, ამ ყაჩაღს, ქართველ აზნაურს, აქვს 20 საუკუნის ტრადიცია, ტარიელ სერგაშიძესაც აგრეთვე 15 საუკუნის ტრადიცია და 15-20 წლის მანძილზე შექმნილ ადამიანს თუ თქვენ მომთხოვთ, რომ ტარიელის გრძელი წვერი გამოვასხა არზაყანს — აქედან არაფერი გამოვა“. — აღნიშნავს შემოქმედრი.

დიდი განსხვავებაა მამა-შვილს შორის. სულ სხვა მიზნებისა და იდეალების ადამიანია კაც. დიხვი და კვიციანი გლეხი ახალი ცხოვრების წინააღმდეგ გამოსულა. ე. გამსახურდიამ ერთ ოჯახში მოაქცია ორი შეურიგებელი მიმდინარეობა და საბოლოოდ, სრულიად კანონზომიერად, გაამარჯვებინა ახალ თაობას, არზაყან ზევამბაიას სახით.

კაც ზევამბაია შიშით მოელის იმ დღეს, როცა კოლექტივში უნდა გაერთიანდეს მთელი სოფელი: „მაღე ყველას კოლექტივში შერეკავენო, აღარ იქნებაო შენი და ჩემი, თვით ცოლებსაც კოლექტივში შეგვაყვანიანებნო“. საშინელი ჭორების ბაღეში გახლართულა კაც, დარწმუნებულია, რომ ბოლშევიკები თოთო ბავშვებს საძინად ხარშავენ. არ დაუჯერა შვილმა, გაეყარა და თავისი წილი კოლექტივში შეიტანა. ჩამოწვა ზვავი მამა-შვილს შორის. აღარ სცემდნენ ერთმანეთს ხმას, მაგრამ, როცა ტარბებმა არზაყანის მოკვლა განიზრახეს. იფეთქა მამობრივმა სიყვარულმა და თავიც არ დაუზოგავს შვილის გადასარჩენად. სვანეთში გადაიყვანა შვილი და გაზრდილი, მოარიდა ტარბების ხანჯალს. ევედრებოდა არზაყანს, გამიშვიო თბილისში, მტკიცე უარზე იყო მამა: „ტფილისში არიანო უღმერთოები და „საკატროლო ხალხი“, სოციალისტები და „ქვეყნის დამტყვევები“ „ყველა, ვინც, ძველი, ტყბილი დროის მყუდროება დაარღვია, მამა და შვილი ურთიერთს „გადაჰკიდა“, ვინც გაზრდილი მამამძუძუს წაჰკიდა, ვინც ქალს სადავე დაუგრძელა და ვინც ოჯახის ფუძე შეარყია სამუდამამოდ“.

მიუხედავად დიდი სიმპათიებისა, მწერალმა დასაღუპავად გაიმეტა კაც ზევამბაია. მისი გაქრობა ახალი ცხოვრების საზოგადოებრივი ფონიდან კანონზომიერ მოვლენად მიიჩნია.

„მთავრის მოტაცების“ მთავარი პერსონაჟი თარამ ემხვარი უკანასკნელი შთამომავალია იმ წოდებისა, რომელიც რევოლუციამ აღგავა პირისაგან მიწისა. მისი სახით ე. გამსახურდიამ ერთგვარად გააგრძელა იმ გმირის ფიზიკური და სულიერი ცხოვრების ასახვა, რომელიც „დიონისოს ღიმილში“ დაწყო. თარამ ემხვარი უშუალო გაგრძელებაა კონსტანტინე სავარსაშიძისა.

მეთვის არმიის გენერალმა ჭანსულ ემხვარმა რევოლუციის გამარჯვებისთანავე მივიდ-მოვიდა თავისი ქონება და ჯერ კიდევ უწვერული ვაჟით ევროპას მიაშურა. დიდი იმედებით მიდიოდა ჭანსულ ემხვარი, მაგრამ საწყალ გენერალს ერთიც კი აღარ შემორჩა ზღვა იმედების სათვალავიდან, საბოლოოდ ვანაწამები ცხოვრება პერლამეზის სასაფლაოზე დაამთავრა.

მარტინდმარტო დარჩენილი თარაშ ემხვარი პარიზისა და ბერლინის ბულვარებზე ემბდა ბედს. ბურუსით მოცულ გარემოში მიიკვლევედა გზას, სწავდა, რომ ოდესმე მადწევედა მიზანს. მისი შინაგანი ბუნება გარდაქმნის პირას იდგა. ბურეუთაზიული სამყაროს იდეები მის სულში მძლავრ ნაკადად იჭრებოდნენ. „როგორც დასაგემ მიმინოს აბრეშუმის ძაფით თვალებს ამოუკრავენ, მერე მარცხენა ხელზე დაიხვამენ და მთელ ღამეს ააააა-ს ჩასძახიან ყურში, რათა თავისი წარსული გადააფიქრონ, თანდაყოლილი ენერჯის პირველადი სილადე გააქალონ და სხვის ნებაზე ფრენას მიაჩვიონ, ისე ჩამძახოდნენ ყურში ააააა-ს ... ევროპელი მეცნიერები, მწერლები, მხატვრები და მუსიკოსები შვიდი წლის განმავლობაში...“

თარაშ ემხვარმა მოიარა მთელი ევროპა: პარიზი, ბერლინი, რომი, ფლორენცია, გაეცნო მსოფლიო ხელოვნების შედეგებს. გრიგალივით მიეჭრა მას უშველებელი და უცხო ცივილიზაცია; ეძგერა, შეარყია და ააფორიაქა იგი. კერძოდ ვერ პოვა თავისი ადგილი, ვერც უცხოეთში, ვერც სამშობლოში. გრძნობს, რომ მისი წოდების დღეები დათვლილია. მტკიცედ ურწმუნებია, რომ წინაპართა ცოდვები ზეცაშიაც მისწდება. „თუნდაც ცამდისაც აყუთ ზელები, მამების ჩვენის ცოდვა აღრე თუ გვიან მაინც გვიწვეს და მოგვახრჩობს. რადგან ჩვენ წინაპრების სისხლი გვაქვს ძარღვებში... და კაცთა მოდგმის ტრაგედია ისაა, რომ ჩვენ ისე შეკრულნი ვართ მათი ენებებით, როგორც ლაოკონისის მამა და ორი შვილი გველის მოქნილი სხეულით“.

თარაშ ემხვარში, ერთი შეხედვით, თითქოსდა ძლიერია მამულის სიყვარული, ამიტომაც მოისწრაფვის საქართველოსკენ. ეჩქარება, ნახოს თავისი სათაყვანებელი ქვეყნის ღამაზი ველები, მთები; დატკეპს მათი სილამაზით. მან კარგად იცის, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა, თუმცა ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს ამ წესწყობილებაზე. თარაშის დედა მათა, რომელიც ემხვართა ფუძის მომვლელად იყო დატოვებული აფხაზეთში, კერძოდ ოქუმიში. შვილს სწერდა: „წისკვილები და მამულები ბოლშევიკებმა წაგვართვესო, სასახლეში სკოლა გამართესო... არზაყანი კომკავშირში შევიდაო, ეკლესიას ჯვარი მოხსნესო, მღვდელი კომკავშირებმა გაჰკრიტესო, წმინდა თებრონეს ძელები მონასტრიდან გარეთ გამოყარესო, მონაზვნები გამორეკეს და ტფილისის აბრეშუმის ქარხანაში სამუშაოდ გააგზავნესო. დიაკონი ჭაში ჩახტაო, ამოიყვანეს და ცოლი შეირთოვო, ახლა ოქუმელი დიაკონი კოპერატვის მონაგარიმედ დადგაო, და ფსალმუნების კითხვას ბალანსების შედგენა არჩიაო...“

თარაშ ემხვარს მოსწყენია ევროპა თავისი მუხეუმებითა და თეატრებით, გრანდიოზული პარკებითა და ბალებით, მასკარადებითა და ბულვარებით. „აფხაზეთი მენატრება. ჩვენი მთები, ჩვენი პიშპილი და წითელი ტალახი. და პირდაპირ ფიზიკურ ტკივილებს განვიცდი, არ ვიცი, ახლა, რა ხალხი ცხოვრობს ჩვენში, მე იმ ხალხისთვის ისევე უცხო ვიქნები, როგორც იგია ამჟამად ჩემთვის“.

თარაშ ემხვარი გრძნობს ანტეოსის ბედს, ჰერკულესმა ბროლოს დროს მიწას—დედას, რომ მოსწყვიტა და პაერში დაახრჩო. პირისპირ დგანან ახალი საქართველო და თარაშ ემხვარი. ვერ გაუგვს ერთმანეთს. იგი ისევ ძველს მიეკედლა. მასთან საუკუნოებრივი სისხლხორცილ დაკავშირებულს. ახალი საქართველოს შემხედვარე რწმუნდება „სამშობლოს უბედობაში“ და აწი სულორთია მისთვის, ვის მხარეზე დადგება, ვის გაუწევს სამსახურს. თარაში

გრძნობს თავის ცვალებადობას. „მე სულ სხვა გავხდი, — ამბობს ის, — ვიდრე აქ ვიყავი და ახლაც იგი არა ვარ, რაც უნდა ვყოფილიყავი. რაც იქ მისწავლია, აქ აღარ გამომადგება და რაც აქ წემიძენია, იქ არ გამომადგება“. ემხვართა ნაშეირმა ფართო პორიზონტის ძებნაში თავისი წილწდომილიც დაკარგა. უდიდესი მწუხარებით უამბობს თამარ შერვაშიძეს იმ გულისგამაწვრილებელი გრძნობის შესახებ, რომელსაც სიმარტოვე ჰქვია. განსაკუთრებით აუტანელი ყოფილა მისთვის „არა დილა, არა შუადღე, არამედ ის დრო შებინდებისა, როცა არც დღეა და არც საღამო, როცა ნელნელ ფთობდება ცა“.

აქ მხოლოდ თარაშის სულიერი „კრიზისი“ როდია გადმოცემული, არამედ მისი პოლიტიკური მრწამსიც. იგი ერთმანეთს უპირისპირებს ორ ურთიერთ გამომრიცხველ უყიდურესობას. ერთ-ერთ მათგანში ნაგულისხმევია ძველი დრო, მეორეში ახალი. ამჟამად ჩანს, რომ თარაშ ემხვარი „ვერ იტანს“. როცა ერთი „სტაბილური წყობილება“ იცვლება მეორით; ამ „გარდამავალ ხანას“ მწუხრს, საღამოვამს უწოდებს. მას მხოლოდ მისთვის ხელსაყრელ, მყარ საზოგადოებაში შეუძლია ცხოვრება, გარდამავალ პერიოდში იგი ვერ იარსებებს, ვინაიდან ეს დრო ყველაზე მძიმეა და მოითხოვს ნებისყოფის უდიდეს სიმტკიცეს.

სწორედ ამ საკითხს ეხება ვ. ი. ლენინი სტატიაში „ლ. ნ. ტოლსტოი და მისი ეპოქა“. იხილავს რა პესიმოზმის საკითხებს, აღნიშნავს, „პესიმოზმი. წინააღმდეგობლობა, მიმართვა «სულისადმი» წარმოადგენს იდეოლოგიას, რომელიც აუცილებლად ჩნდება ისეთ ხანაში, როცა მთელი ძველი წყობილება «გადატრიალდა», და როდესაც ამ ძველ წყობილებაში აღზრდილი მასა, რომელსაც დედის ძუძუსთან ერთად შეუწოვია ამ წყობილების საფუძვლები, ზნეჩვეულებანი, ტრადიციები, რწმენანი, — ვერ ხედავს და არც შეუძლია დაინახოს, როგორია ის ახალი წყობილება, რომელიც «ეწყობა», რა საზოგადოებრივი ძალები და სახელდობრ როგორ «აწყობენ» მას, რა საზოგადოებრივი ძალებს შეუძლიათ ხსნა უამრავ, განსაკუთრებით მწვავე უბედურებათაგან, რომელნიც «მსხვერვის» ეპოქებს ახასიათებენ“.²

„მარტოხელა მოარული“ ცდილობს განერიდოს საზოგადოებას, თავის თავში უფრო მეტ საზრდოს პოულობს „სიციარიელის გამოსაკვებად“. მისთვის საზოგადოება „ზედმეტი“ გამხდარა, ხოლო საზოგადოებისთვის თვითონაა „ზედმეტი ადამიანი“. ამ მხრივ კ. გამსახურდიას გმირი ერთგვარად ენათესავება შექსპირისა და გოეთეს ლიტერატურულ პერსონაჟებს. როგორც ვერტერში, ისევე თარაშში დაუდევრობისა და ცვალებადობის ზღვაა დაგზბებული. უკმაყოფილება და განხეთქილება საზოგადოებასთან, თავის ეპოქასთან — აი, ეს არის უპირველესი მიზეზი ვერტერისა და ჰამლეტის, თარაშ ემხვარისა და კონსტანტინე სეფარსაძის ტრაგიკული დასასრულისა. კ. გამსახურდიას სიტყვებით რომ ვთქვათ, ვერტერი „რევოლუციონერია თავის სოციალურ წრეში, უფრო მეტის თქმაც შეიძლება, იგი, ზედმეტი კაცია თანადროული სახელწიფოსა და საზოგადოების წიაღში“.

ემხვართა უკანასკნელი შთამომავალი ამრეზით უყურებს ქრისტიანობას, ბნელ სამყაროდ მიუჩნევია ბიბლია. „ბნელა თქვენს ბიბლიაში. ბნელა იოჰანეს გამოცხადებაში, ისევე როგორც ნოტრდამში“.

მოდის ძლევამოსილი რევოლუცია თავისი იდეებით, მისწრაფებებით, რ-

ლევა ძველი სამყარო. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მაღალი წოდების უკანასკნელ ნაშიერთა გადაგვარება. ქრება პრივილეგიები და ყოველივე ეს ხდება თარაშ ემხვარის თვალწინ, თითქოს ბუნებას იმისათვის გაუჩენია, რომ ანახოს თავისი კლასის უბედურება და დაქცევა. „არასოდეს ისე სასტიკად არ განუყოფხვართ ადამიანი წინაპართა ცოდვების გამო, როგორც რევოლუციების დროს. რადგან ყოველ დიდ რევოლუციას ასე სჩვევიაო“.

შეიგნო თარაშმა თავისი კლასის უბედურება, დაჩივება, ამიტომაც ცდილობს გარდაიქმნას, როგორმე თავი დააღწიოს არსებულ მდგომარეობას: „მინდა გვეჯანსაღდე, მშობლიური მიწის სურნელით განვიკურნო. მინდა უცხოური ჩვეულებანი უქვევადო და ჩემ ხალხს დავუბრუნდე“. თარაშის მისწრაფება ფერისცვალებისადმი იმ მომენტშიც გამოჩნდება, როცა ოქტომის სასახლეში მისულ ლუკაია ლაბახუას ქედნისფერ ფრანგულ კოსტუმს უსასსოვრებს, თავად კი მამაპაპეულ ჩოხა-ახალუხში გამოეწყობა. ემხვართა შთამომავალი ერთი ხელის მოსმით ცდილობს ჩამოიცილოს, განთავისუფლდეს „ზედმეტი ტვირთისაგან“: „მწყურია ამოენერწყვო პირისაგან ჩემისა სხვის ქვეყანაში მიღებული ზედმეტი საზრდო... ჩემი ღსოვნიდან წარიხოცონ უცხო და უცხო მოძღვრებანი სამარადყამოდ, ოღონდ ეს გული განმეწმინდოს ბიწიერებისაგან“. მიუხედავად ამისა, თარაშ ემხვარი ექვის თვლით უყურებს თავისფერისცვალებას; იცის, რომ თავადია და რევოლუცია წინაპრების ცოდვებს მოპკითხავს: „მონანიებული აზნაურის ამბავი, ჩემის აზრით, ლიტერატურული ფანტაზიის ნაყოფია. ძერის ბახალამ რაც უნდა ინანოს, მტრედის მართვე მაინც ვერ გახდება“.

თანადროული ეპოქის „უძღები შვლა“ თარაშ ემხვარი ფერისცვალებებისათვის სვანეთის მთებს მიაშურებს; ამ გზით ცდილობს დაემალოს ცივილიზაციას, გასწყურტოს მასთან ყოველგვარი კავშირი, მაგრამ სულ მალე თვით ცივილიზაცია მოძებნის მას.

თარაშ ემხვარი, — წერს ე. შუშანიანი „უპირველეს ყოვლისა, ყენეველი ფილოსოფოსის ეან ჟაკ რუსოს მიმდევარია, გმობს ქალაქის ცივილიზაციას და თავყანსცემს ბუნებას, მის „შუებლალავ იდილიას“³ თუმცა ვერც გადახვეწამ განკურნა იგი, ვერც ბუნების სიმყუდროვეში პოვა სავანე, თითქოს ლიტურგიულ ძილს მიეცა ემხვართა უკანასკნელი მოპიკანი.

დაკნინება, დაჩივება ეტყობათ არა მარტო თავდაზნაურობის უკანასკნელ შთამომავლებს, არამედ მათ კარ-მიღამოსაც. ირგვლივ ყველაფერი ნგრევაზე დაშლაზე, გაპარტახებაზე ლაღადებს.

თარაში გრძნობს, რომ დაკარგა უფლება და ყოველგვარი წილი ქვეყანაზე. როგორც პროფ. გ. მერკვილაძე აღნიშნავს, იგი „ისეა დაშორებული რეალურ სამყაროს, რომელსაც ძალიან შორს გაუსწრია მისთვის, რომ იძულებულია ხშირად სხვა პლანეტის ადამიანად წარმოადგინოს თავი“⁴.

თარაშ ემხვარმა ვერც მეცნიერებაში მოაკიდა ფეხი, მისი შრომა „კოლხეთის ფეტიშიზმისათვის“ საბჭოთა უნივერსიტეტმა დაიწუნა, როგორც მიუღებელი თანამედროვეობის თვალსაზრისით. ყველა გზა დაკეტილი აღმოჩნდა.

თარაშ ემხვარის ავადმყოფი ბუნება, ნათესაურ კავშირის პოულობის ა. პუშკინის ევგენი ონეგინთან, რომელიც იგივე მსუხუბთ ვარდება ამათიისა და დღერემილობის კლანკებში. მსგავსად ონეგინისა. თარაშ ემხვარს მოსწყენია სა-

³ ე. შუშანიანი, ე. გამსახურდია, ი. აბაშიძე, თბ., 1963, გვ. 35.

⁴ გ. მერკვილაძე, ორი ბელი, „ცხელი“, თბ., 1963, № 12, გვ. 65.

მიჯნურო ინტრიგები და მზიარული დროსტარება. ისინი გრძნობენ თავიანთი საზოგადოების მანკიერ მხარეებს და იღვწიან უფრო სერიოზული, შინაარსიანი ცხოვრებისათვის, თუმცა მათი ყოველგვარი მოქმედება თავიდანვე დასაღუპადაა განწირული.

ემხვართა შთამომავალი გრძნობს ახალი საქართველოს ეკონომიურ სუნთქვას, ხედავს, როგორ შესევიან კოლხეთის ველებს თუჯის ბეჭემოთები.

თარაშ ემხვარის ბუნება მომაკვდინებელი წინააღმდეგობებითაა აღსავსე, თითქმის მუდამ გაორებულია; უარყოფითად, სიძულვილით უყუტებს ევროპულ კულტურას, მაშინ როდესაც ყოველი მისი ნაბიჯი ამ კულტურის ნიშნებითაა აღბეჭდილი; ტექნიკის წინააღმდეგ ილაშქრებს, მაგრამ ფეხით სიარულს მანქანით სეირნობა ურჩევნია; ვერ იტანს ადამიანთა საზოგადოებას, მაგრამ დღენიადაგ მარტობის გრძნობას უჩივის; ამქვეყნიური ცხოვრებით მოყირკებული სიკვდილზე ფიქრობს, მაგრამ არც უკვდავებაზე იტყოდა უარს: მშვენიერი სქესის სახსენებელს წყევლის, მაგრამ სიყვარულის გრძნობა მის გონებას არ შორდება; ქართველი ხალხის ერთგული შვილის სახელით ლაპარაკობს, მაგრამ ამ ხალხის იდეალებს, მისწრაფებებს შორიდან უყუტებს.

იგი არც სვანეთში მოასვენა თავისმა ორეულმა. ერთმანეთს დაეჭვრა ორი მე: ერთი ევროპულად წვერგაპარსული, მეორე წვერგაბურძვნილი. „ეს შენ გამძარცვე — ეუბნება ტახტზე მწოლიარე, ნაციები თავის ორეულს, — შენ წარიტაცე ყოველივე, რაც კი მებადა. გულის სიქველე, სიყვარულის ბრძნული ნიჭი, ნდობა წამართვი მოყვასისადმი და შემამძლე ადამის მოღვაძე. შენ შემამძავე საკუთარი მე, ნათესავი. შენის წყალობით მეუტცხოვება ჩემივე მოძმე, ჩემი სისხლი და ჩემი ხორცი“.

თარაშ ემხვარის გაორებული ბუნების პროტოტიპად შეიძლება მივიჩნიოთ პეჩორინი „ჩვენი დროის გმირიდან“. „ჩემში ორი ადამიანია, — აღნიშნავს მ. ლერმონტოვის ლიტერატურული პერსონაჟი, — ერთი ცხოვრობს სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, ხოლო მეორე კი სჯის და ასამართლებს მას“⁵.

უმალ მწუხარებით იცხება, ვინც თარაშ ემხვარს გაეკარება. ამის დადასტურებაა ემხვარისა და თარაშის სამიჯნურო ისტორია, რომლის მსხვერპლიც მყრვამიძეთა ასული შეიქმნა. თამარი ვერ მიხვდა, რაოდენ დიდი განსხვავება იყო ახლანდელ თარაშსა და მისი სიყრმის მეგობარს შორის. მოუფიქრებელმა ნაბიჯმა ტრაგიკულ დასასრულამდე მიიყვანა მისი ცხოვრება.

ამ მხრივ ევგენი ონეგინის პიროვნება უფრო მაღლა დგას, ვიდრე ემხვარისა, პუშკინის პერსონაჟმა იცის, რომ ოჯახის შექმნის თავი აღარა აქვს და უარყოფს ტატიანას წმინდა სიყვარულს. არც პეჩორინს, მსგავსად ონეგინისა და ემხვარისა, არ გააჩნია ნამდვილი სიყვარულის უნარი. გასაოცარი ურთიერთდამთხვევით მსჯელობენ ამ დიად გრძნობაზე მ. ლერმონტოვის, ა. პუშკინისა და კ. გამსახურდიას მხატვრული ტიპები.

მამაპაპეულ ოქტომის სასახლეში დაბრუნებული თარაშის თვალწინ კალეიდოსკოპური სიჩქარით მიჭრიან წარსულის სურათები. იგი მწარედ დაფიქრებული ანალოზს უკეთებს ემხვართა გვარის უკანასკნელი შთამომავლის განვლულ გზას.

იგი, როგორც კ. სეპარსამიძე, საბოლოოდ მიდის იმ დასკვნამდე, რომ განათლებამ უბედურება მოუტანა. უკეთესი იქნებოდა და უფრო ბედნიერი იქ-

⁵ მ. ლერმონტოვი. ჩვენი დროის გმირი, თბ., 1946. გვ. 104.

გებოდნენ. აქ მიუვალ მთებში რომ დარჩენილიყვნენ, არ გაეგოთ კაცობრიობის აფორიაქებული მარცხემა. უცხოეთში მიღებულმა სწავლა-განათლებამ მშობელ ქვეყანას ვერაფრითარი სარგებლობა ვერ მოუტანა. გონებაში წამოქოლი თეორიებს პრაქტიკული განხორციელება არ ეღივსა.

თარაშ ემხვარისათვის ფუჭი აღმოჩნდა ქრისტიანობის, ბუღიზმის, ბრაჰმანიზმისა და სხვა მრავალ მიმდინარეობათა შესწავლა: ცსაა და მიწას შორის გამოიღებულა. განწირული ადამიანის ბედს შერიგებია. ვერც მშობლიური, კარდასული ცხოვრებისათვის შესძლო სიკვდილი და ვერც ახალ ეპოქალურ მიმდინარეობას აუღო ალღო, მას უკვე აღარ ესმის საუკუნის ძახილი. მისი რეალაზიზაციის ისარი დაჩლუნგებულა, ყურთასმენა მოდუნებულა, ფიქრებ-პესეული, ხელმოკარული დგას ცხოვრების შუა გზაზე. ფესვმომპალ უნაყოფო ედ ქტეულა თარაშ. მის ინდიფერენტულ ბუნებას სიცოცხლის ფასი და მნიშვნელობა წართმევია. სწორედ აღნიშნავს შემოქმედი, — მარტოხელა კაცო, ასუგადობას ნოწყვეტილი, როგორი დიდი სიბრძნითაც არ უნდა იყოს აღსრული, შლეგის შთაბეჭდილებას ახდენსო.

დიდი ხნის ნალოლიავები გმირი მწერალმა საბოლოოდ ენგურის ტალღებს გაატანა. სიმბოლურია, რომ ენგურით იწყება და ენგურითვე თაედება „მთაფრის მოტაცება“. თვით მწერალიც რევოლუციის სახედ მიიჩნევს მას, თანისი ძლიერი. მჩქეფარე ტალღებით, დაუშრეტელი ენერგიით, შეუბოვრობით, ახლის ძიებითა და შემართებით.

რომანში სპეციფიკურ იდეურ ჩანაფიქრს ასახიერებს ფიზიკურად და ესპოლოგიურად დამახინჯებული ლუკაია ლაბახუა, რომელიც ეულად შებე-რებია ამ წუთისოფელს.

შეუბოვარი წინააღმდეგობით შეხვდა ლუკაია ახალ ცხოვრებას. ვერსად ვერ ისვენებს: ძველი თაობის ადამიანები არად ავდებენ. ახალგაზრდებს კი უცხოებათ გარდასული დროიდან გადმოტყორცნილი „სასაცილო გონჯოლა“. მისი შემბრალებელი მხოლოდ თარაშ ემხვარია.

რევოლუციური მთავრობა ცდილობს ცხოვრების ნორმალური პირობებ-ეუქმნას, მოაშოროს შერგავშიძის ოჯახს, მაგრამ ლუკაია თვითონაა ამის წინააღმდეგი. ის არავითარ პროტესტს არ გამოხატავს ნახუცრის მიმართ: „მცემს, მე მცემს, თორემ თქვენ, ხომ არ გევით, დიი! მცემს, დიახაც მცემს, ჩემი ბა-ჯონია და მცემს, გასკდით გულზე! მცემს, მცემს, მცემს“. ლუკაია ლაბახუა ჯაგეშილ ცხოველს უფრო ჰგავს, ვინემ ადამიანს. დასალუპავად განწირული ბოელი ძალით ებლაუქება წარსულს, აღტაცებას ვერ მალავს, როცა ტარიელ შერგავშიძის სახლში აღდგომაზე ისევ შეიკრიბებიან სტუმრები. გახარებულა. რადგან ხედავს, რომ ჯერ კიდევ არ ამომწყდარან ქრისტეს რჯულის მოთაყვა-რი ადამიანები.

არის მომენტი, როდესაც ლუკაიაშიც იფეთქებს შურისძიების გრძნობა.მაგრამ ვისზე იძიოს მერე მან შური?

ეს ქვეყანაო, -- ფიქრობდა ლუკაია, -- არ ღირებულა ნივრის ნაქრცე-ვაო.

ღმერთიო?

რა ღმერთი? დაცლილი ეჩვენა ეს უცნაური მიწაცა და ზღვისფერი ციო-ციო.

არსებობს იდუმალი მსგავსება ლუკაია ლაბახუასა და ვ. ჰილგოს კვაზი-ბოლოს შორის. თუ კვაზიმოდომ ბოშა ქალს, ესმერალდას შესწირა სიცოც-

ხლე, ლუკაია ლაბახუამ აფხაზეთის ულამაზეს მანდილოსანს ჯახანას, შემდგომ კი მის ასულს თამარს მიუძღვნა იგი. როგორც ლუკაია, ასევე კვაზიმოდო მნათეა, ზარების რეკვა მათთვის პროფესიულ საქმიანობად ქცეულა, თუმცა არ იციან რისთვის არისებენ ზარებს. ისინი იმ წუთსვე ქრებიან ცხოვრებას არენიდან, როგორც კი მათი მასულდგმულეზელი არსებანი წყვეტენ სიცოცხლეს.

„მთვარის მოტაცებაში“ მკაფიოდ აისახა მთლიანი კოლექტივიზაციო-პროცესის სიძნელები და ცალკეული დამახინჯებანი.

შემოქმედმა დამაჯერებლად დაგვიხატა მაშინდელი პარტიული მუშაკის ჩალაშის მხატვრული სახე. თავისებურად დასამახსოვრებელია პარტიის წევრი არლან არენბაც, რომელიც სათანადო ანგარიშს არ უწევს გლეხობის მიმართ დამოკიდებულებას ლენინურ პრინციპებს, აფრახებს მთლიანი კოლექტივიზაციის წარმატებით განხორციელებას. არენბა, როგორც ყოფილი მონამსახური ბევრს რამეში ბაძავს აზნაურებს, რის საკომპენსაციოდ პოლიტიკურ უხეშობას იჩენს და სასტიკად სდევნის ყოველგვარ ღვთის მსახურებას. მან ძალდატანებით, ერთი ხელის მოსმით შეყარა გლეხობა კოლექტივში, რის გამოც გლეხობის ერთ ნაწილს გული აუტრუა კოლმეურნეობაზე და მათ ხელ მიჰყვეს ქონების განიკვებას. ამავე მიზეზით თავი წამოყვეს ბობოლქმამ: „ღამდამოთი უშობელებს, დეკეულებს, მარჩინალ ძროხებს და მუშა ხარებს ჰელადენენ...“

უპრინციპო, ანტიპარტიული მოქმედებისათვის ხელმძღვანელობა რაიონიდან რაიონში აგზავნიდა არლანს, ტუქსავდა, მაგრამ მაინც ანგარიშს უწევდა მის წარსულს. „მე დავხატე „აზიაკებიანი“ ქართველი კომუნისტები, — წერს კ. გამსახურდია, რომლებმაც სახელი მოიხვეჭეს სამოქალაქო ომში, მაგრამ პარტიის დისციპლინის დაცვა არ ემარჯვებათ. აი, ეს გამოვხატე არენბა არლანის სახით.“

რომანში ფართო პლანითაა წარმოჩენილი კომუნისტის, ბოლშევიკურ-პარტიის ნაპდვილი შვილის, ლიჩელის სახე.

მასშტაბურობითა და ხასიათის სირთულით გამოირჩევა ტარიელ შერვაშიძე, რომელიც შეგნებულად არ ცნობს ახალი ეპოქის დიად წინსვლას; პროტესტის ნიშნად „ანაფორა არ გაიხადა, ახალ წესებს ვერ შეეგუა, ენა არ გააჩერა, ყოველ ქადაგებაში ბოლშევიკებს ლანძღავდა.“ მას არ ტოვებს წაუსულის ტყბილი ზმანებანი; ყოველ მხრივ ცდილობს ოჯახში მაინც შეინარჩუნოს ქრისტიანული იდილია. აღდგომის სუფრაზე ენაშეობს თამადა შარდინ ალშიბაია, მიუხედავად ამისა „სუფრაზე ისეთი განწყობილება სუფედა, თაქის ეს უკანასკნელი აზნაურები, გრძნობენ კიდევ უკანასკნელად, რომ უსხედან აღდგომის ნადიმს“. საჯარებაში პოულობს სულიერ სიმშვიდეს: „ბაბუა ტარიელმაც ქრისტიანობისათვის გვემულ წმინდა მამებს მიაკუთვნა თავი“...

ამყაყებულ ნარევს — შარდინ ალშიბაიას ინტელიგენტად მოაქვს. თავი განათლებულ პიროვნებას თამაშობს, გარეგნულად ვერასდროს შეატყობთ ნაფიქრალს. მის წვრილ და მოძრავ თვალებში ყოველთვის გაურკვეველობის ბურუსი კრთის. „ბოლშევიკებთან შინა კაცად ითვლებოდა, კონტრარეოლუციონ ბოლშევიკებთან ასმენდა, ხოლო კონტრარეოლუციონერებთან ბოლშევიკებს ლანძღავდა“. ტარიელ შერვაშიძესთან ღვთისმოსავად მოაქვს თავი, ამავე დროს ანტირელიგიური უჭრედის წევრია.

რევოლუციის შედეგად განადგურებული წოდების ნაშიერთა დაკნინების ურათები გადავიშალა კ. გამსახურდიამ რომანის ეპილოგშიც.

თბილისში მამიდასთან ჩასული თარამ ემზვარი გულისტყვილით ხედავს. როგორ დაუნგრევია ახალ ცხოვრებას ფარჯანინათა ბუდე. თავადი ნოშრევანი, ეს ბრწყინვალე არისტოკრატი. იწლებული გამხდარა კინოობიექტივის წინ თავისავე კლასის დაცემის ტრაგედია გაითამაშოს. „ჩემს წოდებას ვაპაპა-პულებო“, იტყოდა, ხოლმე ნოშრევანი. თავისი მძიმე ბედი ღვთის განჩინებად ჰაჩნია.

იღუმალებითაა მოცული გვანჯ აფაქიძე, რომლის წინაპარნი ტყვეებით ეპრობას ეწეოდნენ მაჰაჯირებთან. იგი „ბრწყინვალე“ გამგრძელბეულია მანაპაათა „დიდებული დეაწლისა“, მთელი ცხოვრება თავგამოდებით იცავს თავისი კლასის პრივილეგიებს. ყოველ წუთს მზადაა კლანჭები გამოაჩინოს.

მიუხედავად თავისი უკუღმართობისა, გვანჯ აფაქიძეს სიმაართლეც წაქოსცდება. „მე მგონია, მახა, ხვალ რო ბოლშევიკები აღარ იქნენ, ჩვენ ყველამ ძეგლი უნდა აუფგოთ მათ, რადგანაც ეს მათ გამოამელავენეს კაცობრიობა, შავი და თეთრი საშუკარაოზედ გამოიტანეს, გამოაჯკეცეს, ვინ ყოფილა ქამაცი და ეინ დიაცი. მათ ნიღაბი ჩამოგლიჯეს მატყუარა ღმერთებს, ტრაბახა მკომრებს, ცრუპენტელა ხუცებს და ქარაფშუტა პატრიოტებს“.

ამათ ვერდლით მწერალი გვიჩვენებს იმ ადამიანებსაც, რომლებიც შეულოდნენ ახალ ეპოქას. საინტერესოდაა დახატული ვახტანგ იამანიძე, რომელიც აქტიურ შრომით მონაწილეობას იღებს საბჭოთა საქართველოს აღმშენებლობაში.

ღრმა შინაარსიან, სოციალურ-ფსიქოლოგიურ ნაწარმოებში, რომლის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა მეოცე საუკუნის გარიყრაზე წარმოშობილი „ხედმეტი ადამიანია“, დიდი მხატვრული ძალით წარმოგიდგება ახალი სოციალისტური საზოგადოების მშენებლობა თავისი ნათელი მისწრაფებებითა და ადამიანებით.

V. M. ПАПАСКИРИ

НЕКОТОРЫЕ АСПЕКТЫ КОНФЛИКТА НОВОГО И СТАРОГО В РОМАНЕ К. ГАМСАХУРДИЯ «ПОХИЩЕНИЕ ЛУНЫ»

Резюме

Роман К. Гамсахурдия «Похищение луны» дает ясное представление о сложности процесса социалистического строительства в 20-х—30-х годах. В произведении показана бескомпромиссная борьба между новым и старым. В характерах главных персонажей романа (Тараш Эмхвари, Арзакан Звамбана, Кац Звамбана, Лукана Лабахуа и др.) выявлены тенденции и суть современной действительности.

«Похищение луны» продолжает традицию отображения «лишнего человека» в грузинской классической литературе (Г. Эристави, И. Чачавадзе, Д. Каднашвили).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ჟურნალისტიკის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

თამარ ჯაგოღნიშვილი

ააკაი წერეთლის „მედია“ ხალხურობის შესახებ

ჩვენს სინამდვილეში თუკი რომელიმე მწერალზე ითქმის, რომ ეს მწერალი ეროვნული იდეალებით ცხოვრობდაო. აკაკი წერეთელზე ითქმის. ილია და აკაკი იყვნენ ის მწერლები, რომლებმაც თავიანთ მხატვრულ შემოქმედებასა და პრაქტიკულ მოღვაწეობაში ნათლად გააცნობიერეს ეროვნულის, სპეციფიკურად ქართულის იდეა. ეს გარემოება არაერთგზის არის კიდევაც აღნიშნული ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში. სამშობლოსთან დაკავშირებული ეროვნული იდეის ძიება ამ მწერალთა შემოქმედებითი მიზანსწრაფვის მთავარ მასაზრდოებელ იმპულსად იქცა. ილიასთან და აკაკისთან ამ იდეისადმი თაყვანისცემა პათი მოღვაწეობის მრავალ ასპექტში გამოვლინდა. განსაკუთრებული სიმძლავრით კი მან თავი მხატვრული სიტყვის სფეროში იჩინა, რადგან ეს უკანასკნელი აღმოჩნდა სწორედ განსაკუთრებულად გამძლე და სადღეისო მნიშვნელობის მქონე ჩვენი ხალხისათვის. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ აკაკი წერეთლისათვის არ არსებობს სხვა თემა, გარდა პატრიოტიზმისა. და თუ არსებობს, ეს თემებიც უშუალოდ ექვემდებარება ან, უკეთ, მოქცეულია აკაკისეული პატრიოტიზმის გავლენის რკალში. ერთი სიტყვით, აკაკი წერეთლის სახით ჩვენ წინაშე დგას ხელოვანი, რომელიც პატრიოტულ სამოსელში ხვევს ყველასა და ყველაფერს, ე. ი. პატრიოტის თვალთ უცქერის მთელს სინამდვილეს.

ეროვნული იდეალის ძიების პროცესი ჩვენს ლიტერატურაში აკაკიმდეც იყო და აკაკის დროსაც არსებობდა მხატვრული სიტყვის სხვადასხვა ქანრში. მაგრამ დრამატურგიული ხასიათის ინტერესი ამ მხრივ ერთობ მკრთალად არის წარმოდგენილი. აკაკი წერეთელი ის მწერალია, რომლის შემოქმედებაშიც მკვიდრი ტენდენციის სახეს ღებულობს ეროვნული იდეალის, ეროვნულის დრამატურგიული განსახიერებისადმი ინტერესი. ეს გამომქლავნდა აკაკის არა მხოლოდ პროზით შესრულებულ დრამებში, არამედ იმ თხზულებებშიც, რომლებიც თავისთავად დრამებია, მაგრამ აკაკისთან ლექსითი ფორმა აქვთ მიღებული („პატარა კახი“, „თამარ ცბიერი“, „მედია“ და სხვ.). რით შეიძლება აიხსნას ეს ფაქტი? თუ კი „დრამა ესაა პროდუქტი შინაგანად განვითარებული ნაციონალური ცხოვრებისა“¹, თუკი დრამაში მთავარია ზნეობრივად სამარცხვინოსა და საქმბარის პათოსი და თუკი „დრამა ესაა მოქმედ პირთა გამოსახვა დიალოგებსა და ავტორისეულ რემარკებში“², დაეინახავთ, რომ აკაკი წერეთლის დრამატული პოემები, დრამატული თხზულებები ამ მოთხოვნებს ფორმალურად სავსებით აკმაყოფილებს.

ეტყობა აკაკი წერეთლის ლირიკული ტალანტი სავსებათ შესაფერისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ჩვენი ეროვნული ცხოვრების გაართულების პროცესში, ე. ი. ჩვენი ხალხის ნაციონალური შეგნების მომწიფების პროცესში, დრამატურგიულად მომართულიყო და ამგვარივე ფორმა შეეცა

¹ Г. Гегелъ, Эстетика, т. 3, М., 1971, гл. 539

² В. Волкенштейн, „Драматургия, М.-Л., 1937, гл. 10.

მისი ქმნილებებისათვის. ეს ერთობ დიდ სულიერ დატვირთვას მოითხოვდა ხელოვანისაგან, რომლის შემოქმედებითი სპეციფიკა ლირიკულ სიბრტყეში მელანქოლიკურად.

ლირიკული ჟანრი შეიძლება ყველაზედ უფრო ხელსაყრელი პირობა იყოს იმისათვის, რომ გზა გაიხსნას თვითნაღობით საკვებ გრძნობათა გამომქვანებისაკენ. დრამატული ნაწარმოების ავტორი უნდა იძლეოდეს ისეთ სიტუაციათა აღწერას (ამა თუ იმ ყოფითი ცხოვრებიდან), რომელიც უბრალო ყოფითი კოლიზიიდან საყოველთაო მნიშვნელობის მოვლენამდე აღის. წინააღმდეგ შემთხვევაში განსახილველი მასალის გაცნობისას დრამისათან კი არ გვექნებოდა საქმე, არამედ ჩვეულებრივ ყოველდღიურ უბედურებასთან.

მაშასადამე, დრამატული ნაწარმოების ავტორი მეტად საპასუხისმგებლო ამოცანის წინაშე დგას. მან, როგორც ხელოვანმა, უნდა შექმლოს მრავალნაირად შესწრას მკითხველთა გული, ე. ი. მოახერხოს ნაირ-ნაირ სიტუაციაში ჩაყენოს მკითხველი, რათა მას გაუთვალსაზიროს დრამატული ნაწარმოების ამა თუ იმ პერსონაჟის არსებობის ფაქტი. რასაკვირველია, ეს ძალზედ რთული ამოცანაა, მით უფრო როცა საკითხი ცალკეული დრამატურგის ხალხურობას ეხება.

რასაკვირველია, აკაკი წერეთელი სრულიადაც არ არის მოწოდებული თავისი შესაძლებლობები დრამატურგიულ ჟანრში გამოავლინოს. ეტყობა, ძალიან მწაუზრი სულიერი დატვირთვაა საჭირო, რომ მან დრამატურგიული განსახილველების ფორმას მიმართოს და თავის პიროვნულ განცდებს გარკვეულად სათეატრო მნიშვნელობა მიანიჭოს. თუკი აკაკი წერეთლის შემოქმედების დინებას დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ ამ მწერლის მხატვრული პროდუქცია ჩვენი წარსულის, ტრადიციების ახალი შინაარსით აღვსებითა და მისი ყოველდღიურობის შეფასებით საზრდოობს, ე. ი. აკაკი წერეთლის შემოქმედებაში არაფერი არის ისეთი, რაც ჩვენი ერის წარსულს, მის აწმყოსა და მომავალს შორდებოდეს.

აკაკის შემოქმედებისათვის თითქოს ჩვენი ყოფის ყოველდღიურობაა მასაზრდოებელი წყარო. აკაკი წერეთლის ტალანტის დამახასიათებელი თვისება მაინც ხომ ისაა, რომ მან არა ყოველდღიურობისათვის დამახასიათებელი წერილმანები, არამედ ვამორჩეული, საყოველთაოდ ცნობილი მოვლენები აქციოს თავისი გამოსახვის საგნად და ამით თავის პოეტურ ფანტაზიას ფართო გასაქანი მისცეს. ამის დამადასტურებელია მისი „თორნიკე ერისთავი“, „ნათელა“, „ბაგრატი დიდი“, „პატარა კახი“, „თამარ ცბიერი“...

აკაკი წერეთლის თავისებურება ისიცაა, რომ მას როგორც ხელოვანს თავის ლირიკულ შედეგებსა და პოემებში ძალუქს ახალი შინაარსით აავსოს ჩვენს ლიტერატურასა და ზეპირსიტყვიერებაში ტრადიციულად განმტკიცებული სახეები. ამიტომაცაა, რომ პირდაპირ აკაკისებური ფერადოვნება გააჩნია ჩვენს თვალში მის ლირიკულ შედეგებში ამეტყველებულ ნესტანს, ტარიელს, ავთანდილსა და ფრიდონს, მის პოეზიაში განსაკუთრებული პოეტური ძალით უკვდავყოფილ მითურ ამირანს...

ბუნებრივია, რომ მითურისადმი სწრაფვა შემოქმედებითი მოთხოვნა უნდა ყოფილიყო ისეთი უაღრესად პოეტური ბუნების ხელოვანისათვის, როგორც აკაკი წერეთელი იყო. მითური მასალა უკვე თავის თავშივე ატარებს პოეტურ ნიშნებს, რაც, რასაკვირველია, ყველა შემოქმედს აძლევს ბიძგს თავისი შემოქმედებითი მიზანდასახულობისათვის. იგი (ე. ი. მითი)

სწორედ თავისი მითურობის გამო ადვილად იტევს თავის თავში ხელოვანის იდეალის გამომხატველ თავისებურებებს.

მედეა-იაზონის საყოველთაოდ გავრცელებულ თქმულებასაც შემთხვევით არ მიუტყვევია აკაკი წერეთლის ყურადღება. ნათქვამს თვით პოეტის სიტყვებიც ადასტურებს. პოემა „მედიანზე“ დართულ შენიშვნებში ერთგან აკაკი წერეთელი წერს: „ისტორიის წინასწართქმულობისა და მითების სამშობლოდ საზოგადოდ საბერძნეთია ცნობილი!... უმეტესობა დღემდისაც დაჭერებულა, რომ ისინი შექმნა ელინების ალტიკნებულმა ფანტაზიამ და მერე გადმოსცა მთელ კაცობრიობას. მაგრამ ჩვენ კი დარწმუნებული ვართ, რომ, პირიქით, ბერძნებმა გაიტანეს სხვა ქვეყნებიდან სულ სხვა ხალხების ამბები, შეიისხლხორცეს. თავისებურად გადააკეთეს და ფერცელოლი უკანვე დააბრუნეს. ამას ნამდვილად გვიმტკიცებენ, სხვათაშორის, ძველისძველი მითები „პრომეთეოსზე“ და „მედეა-იაზონზე“³.

ამჟამად, რომ მასალის შერჩევის აკაკისეულ თვალსაზრისს ერთი მთავარი ფაქტორი განსაზღვრავს. პოეტი ამ შემთხვევაშიც (ისე როგორც საერთოდაა მისთვის დამახასიათებელი) პატრიოტული მიზანდასახულობით ხელმძღვანელობს. მას, როგორც ქართველ ხელოვანს, სურს ეროვნული თვალთახედვით დაინახოს უცხოელ მწერალთა მიერ ოდითგანვე უკვდავყოფილი მედეა-იაზონის ტრაგიკული სიყვარულის ამბავი. აკაკისგან დიდ შემოქმედების გამბედაობას მოითხოვდა, — 1891—1897 წლებში ახალი აქტუალური შინაარსით აევსო მედეა-იაზონის შესახებ არსებული მითი და ლიტერატურაში ესოდენ ვახშაურებული სიუჟეტი. ამას გამართლება მხოლოდ მაშინ ექნებოდა, თუ ა. წერეთელი მოახერხებდა პატრიოტული სულის ჩაღვრას მედეას ხასიათში და თვითონ იმ ამბავში, რომელზეც აგებულია ნაწარმოები. მაგრამ მაინც რა მომენტი შეიძლებოდა გამომდგარიყო აკაკის პოეტური ფანტაზიის გამღიზიანებლად?

როგორც ცნობილია, მედეას თემა უცხო არ არის მსოფლიო ლიტერატურისათვის. იგი საუკუნეთა განმავლობაში იყო ცალკეულ შემოქმედთა ყურადღების საგანი. განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო მითისადმი ინტერესი ძველ ბერძნულ სამყაროში. ჰომეროსის „ილიადასა“ და „ოდისეადას“ მოყოლებული⁴ ანტიკური ეპოქის მრავალი ხელოვანი შეხებია ამ თქმულებას⁵. მედეა-იაზონის მთავარი სიუჟეტით გარკვეულად დაინტერესებულნი იყვნენ ალექსანდრის ხანის ევროპელი მწერლებიც. საამისოდ ფრანგ, ინგლისელ, ნიდერლანდელ დრამატურგთა — კორნელის, გლოვერის, გრასენ-ზოდენის, კლინგერისა თუ სხვათა — გახსენებაც კმარა. ინტერესი თქმულების მიმართ არც თანამედროვე ევროპულ მწერლობაში შენელებულა. ამ მხრივ აღსანიშნავია საკმაოდ ვახშაურებული ჟან-ანუის „მედეა“ (1948 წ.).

ქართულ მწერლობაში მედეას მითის ხსენება სხვადასხვა თვალსაზრისით გვხვდება — გერმანე პატრიარქთან, ეფრემ მცირესთან, ვახუშტის „გეოგრაფი-

³ ა. წ ე რ თ ე ლ ი, თხზ. სრული კრებული 15 ტომად, ტომი 6, თბ., 1956, გვ. 402. ციტირებას ყველგან ამ წიგნიდან ვახდენთ.

⁴ აკაკი უ რ უ შ ა ძ ე, Julius Stender-ზე დაყრდნობით წერს „ფაქრობენ, რომ ჰომეროსმა გამოიყენა მანამდე არსებული ეპოსი, რომელშიც არგონავტთა თქმულებას ვარკვეუდი ნაწილი იყო გადმოცემული (იხ. აბ. რ ო დ ო ს ე ლ ი, არგონავტიკა, აკ. ურუშაძის რედაქციით, თბ., 1970, გვ. 12).

⁵ აღნიშნულის თაობაზე დაწერილებათ იხ.: აბ. რ ო დ ო ს ე ლ ი, არგონავტიკა, აკ. ურუშაძის რედაქციით, თბ., 1970.

აში“, იოანე ბაგრატიონის „კალმასობაში“, თეიმურაზ ბატონიშვილის „ივერიის ისტორიაში“ თუ XVIII—XIX საუკუნეების მითოლოგიური ხასიათის კრებულებში.

„მედეას“ ლიტერატურულ წყაროებად კი აქაის შეეძლო გამოეყენებინა პინდარე, აპ. როდოსელი, ესქილე, ფსევდო-პლუტარქე, კლავდი კლავდიანი, პოლიდორე და აპიანე⁶.

აქაი წერეთელს დიდი ხნის განმავლობაში უმუშავნია „მედეაზე“. ოთხი წელი უგრძობებია მასალა და ამის შემდეგაც თავდაპირველად პროზად დაუწერია ნაწარმოები. მხოლოდ მოგვიანებით მიუცია სათქმელისათვის ლექსითი ფორმა.

აქაის შემოქმედებითი მუშაობის ამ საინტერესო თავისებურების მომსწრე შ. დადიანი აღნიშნულის თაობაზე 1935 წელს („სიტყვა და საქმე“, № 3) წერდა: „ტფილისის შემდეგ აქაის ახლო ნახვა მახსოვს ქუთაისში, კვლავ მამასთან. მაშინ თავის პიესა „მედიას“ სწერდა. მაშას, როგორც ქართულის და ძველ გადმოცემათა კარგად მცოდნეს, ეკითხებოდა ზოგი სიტყვის მნიშვნელობას, ან ამბების ვარიანტს...“

საყურადღებო ის იყო, რომ აქაიმ პირველად ეს პიესა მამას რომ წაუკითხა, პროზად იყო დაწერილი და, კარგად მახსოვს, შემდეგ ეს პროზა სიტყვა სიტყვივით იყო გალექსილი“.

პროზული თხზულების „გალექსვა“, საერთოდ დამახასიათებელია აქაი წერეთლისათვის⁷.

აქაი ხომ ყველგან და ყოველთვის ცდილობს მკითხველს პოეტური გარემო მოუპოვოს. პოეტური გარემოს მოპოვებას, ერთი მხრივ, დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს, რადგან პოეტური ატმოსფეროს შექმნის ერთი მიზანი ისიცაა, რომ ადამიანში ადამიანური ცხოვრების წყურვილი აღძრას; ხოლო მეორე მხრივ, აქაიმ კარგად იცის, რომ სწორედ პოეტურობა აპირობებს ნაწარმოების, როგორც მხატვრული ფაქტის, სიცოცხლის ხანგრძლივობას. გამძლეა ის, რაც პოეტურია⁸.

ამიტომაც მედია-იაზონის მითის თავისთავად პოეტურ ბუნებასაც უნდა მიეკცია აქაის, როგორც ხელოვანის, ყურადღება, რადგანაც როგორც მიუთითებენ, აქაი „განსაკუთრებულს, არაჩვეულებრივს ეძებს და კიდევ პოულობს მას. იგი აგნებს ლამაზ სიუჟეტებს და მასში შემავალ მომენტებიდანაც ასეთს ირჩევს. ურთულეს მოვლენებს ამარტივებს და პოეტურ სულს შთაბერავს მათ. აქაის პოეტურობის ერთი ხიზანი ისიცაა, რომ მისი პოემების სიუჟეტები სიმარტივით, სისადავითა და მოქნილობით გამოირჩევიან. ეს მისი ხალხურობის პირობაცაა. მაგრამ ამასთანავე აქაი გვერდს უვლის ზოგადს და კონკრეტულზე დაყრდნობით ცდილობს მიზნის მიღწევას. ეს უკანასკნელი კი პოეტურობის მხრივ მეტ სიძლიერეს ანიჭებს მის ქმნილებებს, რადგან, როგორც აღნიშნულია, ცალკეული მაგალითები უფრო პოეტურია ხოლმე, ვიდრე მთელი“⁹. აქაი მედია-იაზონის თქმულებიდანაც მხოლოდ მისთვის ნი-

⁶ ამის შესახებ თვით აქაი წერეთელი მიუთითებს პოეზაზე დართულ შენიშვნებში. იხ. ა. წერეთელი, თხზ. სრ. კრ. 15 ტ., ტ. 6, გვ. 405—406

⁷ სალომე ყუბანეიშვილი, აქაის დრამატული პოემები, 1969, გვ. 89.

⁸ გრ. ერკანაძე, აქაის პროზის პოეტურობის შესახებ, „მნათობი“, 1965, № 1.

⁹ იქვე.

შანდობლივს — არაჩვეულებრივს იღებს, რის გამოც პოემის სიუჟეტი ფოლკლორულთან შედარებით უფრო ლაკონურია.

აკაკი წერეთელი პოემაში ქართული ხალხური წარმოდგენების, ზნე-ჩვეულებების, ადათ-წესების შემოტანა-განმტკიცებით ახერხებს მოარული სიუჟეტის ეროვნული სულით ავსებას. ამითვე მიიღწევა თხზულების ახლებური გააზრებაც.

ამ მიზნით აკაკი პირველ რიგში თვით ბერძნულ მითში ეძებს სპეციფიკურად ქართულს. იგი თავიდანვე საგანგებოდ მიუთითებს, რომ „ამ ბერძნულ გადმოცემაში, როგორც ადგილის სახელები, ისე თვით ქალაქებისაც ერთის ყურის მოკვრით უცბოა, მაგრამ თუ ჩავეუკერძებთ, გამოდგება, რომ ყველა ჩვენებურია, „ქართული“, მხოლოდ მათებურად, ბერძნულად, გადაჩქორთულებული“. ნათელია, რომ მითში მოხსენიებული გეოგრაფიული თუ მოქმედი პიროს სახელის აკაკისეული ეტიმოლოგიური ღიების მიზანია, ერთი მხრივ, მითის ქართული წარმომავლობის მტკიცება, ხოლო მეორე მხრივ — ამბისათვის დამაჯერებლობის შინიკება. ამ თვალსაზრისით საინტერესოა თვით პოეტისეული მტკიცებანი. მავალითად, მედია — აკაკისათვის „მედია“ — ღველქართული საკუთარი სახელის „მეგარქალის“ სინონიმია. პოეტის აზრით, იგი ძველ ბერძნებთან ქცეულა მედევად. აკაკის მსჯელობით, „დია“ სიტყვა ქალის აღმნიშვნელი ძველქართული ტერმინია, საიდანაც ქალის საკუთარი სახელი — მეგარქალი არის მიღებული. ამიტომაც აკაკის დასაშვებად მიაჩნია მეგარქალის (მე + გარ + ქალი) მსგავსად საკუთარი სახელის მედიას (მე + დია) არსებობაც. ასეთივე ხასიათისაა აკაკის მსჯელობა მითური ქალაქის „ეას“ სახელწოდების გარკვევის შემთხვევაშიც. მისი აზრით, „ეა“ ნაქალაქევი, ანუ „იას“ ქალაქია, სადაც „ზღაპრის სიტყვით, ღვთისაგარ მონადირე მივიდა და ნახა, რომ ზამთარში იქ ია და ვარდი იშლებოდა“.

პოეტის აზრით, ბერძნული „ეა“ ქართული „ია“ არის, რადგან, როგორც გამოიჩვენა, ია ქართულ ზღაპარშიც ოხსენიება. შესაბამისად კი აეტი იას ანუ იების (იათა ქალაქის) მამასახლისია. სწორედ ამიტომაც ჰქვია პოემაში კოლხ მეფეს იათა მამასახლისი. ამდენად, ბერძნულ მითში თვით ქალაქისა და მეფის სახელიც კი ქართული წარმომავლობისაა. ასეთივეა თქმულებაში მოხსენიებული სხვა სახელების აკაკისეული გააზრებაც.

აკაკის ამგვარი ხასიათის ძიებათა შედეგების პოემაში შეტანა ტრადიციული სიუჟეტისაგან პოეტის დაცილების ერთ მხარეს ათვალსაჩინოებს. მეორე და არანაკლებმნიშვნელოვანია თვით არქიტექტონიკური მსგავსება-განსხვავებანი, რაც გარკვეულად პოემის თავისთავადობასაც აპირობებს და ადვილად შესამჩნევ ცვლილებებზე მიუთითებს საზოგადოდ. პოემაში ამ მხრივაც საინტერესო სურათი შეინიშნება.

„მედიაში“ თხრობა უფოთიანი ღამით განაწამები და სულადორიქებული ძიძის ლოცვით იწყება. მითისაგან განსხვავებით, პოემაში უგულებელყოფილია არგონაუტთა ხანგრძლივი, ფათერაკიანი მოგზაურობის ამბავი. ამას გარდა იაზონი სანადიროდ გამოსული მედიასა და მის ღობილ ძუძულდასთან პიოველსავე შეხვედრისას მოიპოვებს მათს კეთილგანწყობას. აქვე გაიგებს იაზონი მედიას მოიპოვების გზაზე არსებულ დაბრკოლებების დაძლევის საიღუმლოს. ერთი სიტყვით, პოემაში იაზონს წინასწარვე ექმნება წარმატების პირობები. ტრადიციულ თქმულებაში კი თხრობა პირდაპირ იაზონის აეტის კაცს გამოცხადებით იწყება.

თქმულებასა და პოემას შორის საერთო ამ ეპიზოდში ბერძენი გმირის განმარტებაა. პოემაში იაზონს საიდუმლო შევლის, მითში კი მედეას სასწაულებრივი მალამო.

ტრადიციულ ამბავსა და პოემას შორის სხვაობას ერთ შემთხვევაში ცალკეულ სცენათა წინწამოწვევაც ქმნის. მათ ქართული ყოფითი მასალა აშინაარსიანებს. ასეთია მაგალითად. მითური ამირანის ხშირი ხსენება. უკვე პოემის შესავალში მშფოთვარე ლამის მიზეზად კლდეზე მიჯაჭვული ამირანის მოუსვენრობაა ნაგულისხმევი:

„ამირან-გმირო, მთა და ბარს აჩუყე!...

ქ. ყველაფერი შენი ბრალია!“

აკაკი წერეთელი თავიდანვე ცდილობს ქართული ყოფითი მასალის მისეული განმარტება მაწილოს მკითხველს. მოცემულ შემთხვევაშიც იგი საგანგებოდ მიუთითებს: „როცა გამწარებული ამირანი ჭაჭვის გაწყვეტას და თავის აშვებას მოინდომებს და გაინძრევა, მაშინ იძვრის ხოლმე დედამიწაო. — ჰფიქრობდნენ ძველად კავკასიელნი“. პოეტის ამგვარი განმარტებანი, რომელთა ერთი მიზანი მკითხველისათვის ტრადიციული ამბისაგან გაიჭვინის გათვალსაზრისობაა, საინტერესო დაკვირვებებს წარმოადგენს. მაგალითად, იძვრის სიტყვების («ფერხულს დაბამს. დასაძებნს „თინას“») შესახებ აკაკი ასეთ განმარტებას გვთავაზობს: „ძველად კოლხელები ცის მნათობებს აღმერთებდნენ და მთიებსა სტემდენ თავყანს, მაგალითად: „მზეს, მთვარეს, ვარსკვლავთ გუნდს. ცის ბურჯებს. დილას, განთიადს და სხვათა. მათ-მათ შესაფერად უგალობდნენ ლოცვის დროს: „მზეშინას“, „თინას“, „ოდილას“, „შავილას“ და სხვა. ეს მაშინდელი მათი საგალობელი დღესაც სიმღერად არის ჩვენში დარჩენილი“.

ასეთი სახის დაკვირვებებს გარკვეულად სადღესო მნიშვნელობაც გააჩნია იმ მხრივაც, რომ პოეტის მიერ აღწერილი ქართული წარმართობის ელემენტების არსებობა ხშირად სწორედ ამგვარი სახითაა შემორჩენილი. ამ თვალსაზრისით უინტერესო არ უნდა იყოს აკაკი წერეთლის ის განმარტებაც. რასაც პოემაში იძვრის ლოცვის აღწერის დროს ხმარებულ სიტყვას — „ჩამოვარტყავე“ — დაუბრუნებს („ლოცვად ვიღეჭი, ჩამოვარტყავე სადაც კი ჩვენი სალოცაიია“). აკაკი წერს: „კერპთთაყვანისმცემლობის დროს მოფიცაჲს კერპის წინ ჩამოკიდებულ ზვარაყისათვის ტყავი უნდა გაეძრო, ანუ ანთებული ლამპარი გაეჭრო სულის შებერვით: „ფუ-ო“ უნდა შეებერა სული... აქედან წარმოსდგა სიტყვა „ფუცი“, ანუ „ფიცი“ და აგრეთვე ხატებისა და სალოცავების ჩამოტყავება. რომელსაც ხალხში დღესაც ხშირად ამბობენ“.

ამგვარ განმარტებებს საინტერესო ექსკურსების სახით აკაკი წერეთელი პოემაში ამბის თხრობის კვალად სხვა შემთხვევაშიც სთავაზობს მკითხველს. ასე, მაგალითად. პოემაში, თქმულებისაგან განსხვავებით, გვხვდება მოქმედი პირები — ქურუმები, რომლებსაც კაბდელები ჰქვიათ. სწორედ ერთ-ერთი კაბდელი ეხმარება იაზონს მიზნის მიღწევაში. კაბდელთა მოქმედ გმირებად შეყვანა ქმნის კიდევ ერთ სხვაობას პოემასა და თქმულებას შორის. მაგრამ აქ საინტერესოა თვით აკაკისეული განმარტება სიტყვისა — კაბდელებს ეძახდნენ ჩვენში კერპობის დროს მღვდლებს. ისინი ზორვის დროს, ე. ი. კმევის დროს, ჰგალობდნენ. იქედან წარმოსდგა ჩვენებური სიტყვა „ზარი“ და „კაბდური“, რომელსაც დღესაც კიდევ აქა-იქ სამეგრელოში მღერაინ“.

ხშირ შემთხვევაში აკაკი წერეთელი განმარტებებისადმი დამაჩერებლობის მინიჭების მიზნით ისტორიულად სარწმუნო წყაროებსაც იშველიებს. მაგალითად, იასირის გლოვის ეპიზოდი პოემაში ასეა გადმოცემული:

„წაიღეთ მკედარი.
ვადაუხადეთ რიგი და წესი,
ოქრო და ვერცხლით შეჭედეთ მუხა,
მრავალმტოვანი და უდიდესი.
ზედ ჩამოჰკიდეთ უსულო გვაში“...

შენიშვნაში, სადაც აკაკი წერეთელი ამ მოხსენიებული წარმართული წესჩვეულების (მიცვალებულის ხეზე დაკიდება) განმარტებას აწვდის მკითხველს, წერს: „ძველად კოლხელები მხოლოდ ქალებს მარხავდნენ მიწაში და მამაკაცთ კი ხეზე ჩამოჰკიდებდნენ ხოლმე. ამას მოწმობს ელიანი და ნიკოლოზ დამასკელი“.

ამგვარი ცვლილებები პოემაში გადმოცემული ამბისათვის ეროვნული ელფერის მისანიჭებლადაცაა ნახმარი. ამავე მიზნითაა მოხმობილი მეფედ არჩევის უძველესი ჩვეულება, რაც პოემაში იაზონის შემდეგი სიტყვებითაა გადმოცემული:

„თაზე დაქდომას ხომ არ მიქადის?
სამეფო გვირგვინს ხომ არ მპირდება?“¹⁰.

მსგავსი მაგალითები სხვაც ბევრია პოემაში. მაგრამ „მედიაში“ თხრობა ძირითადად მაინც ტრადიციულ ამბავს მიჰყვება. იაზონი აღწევს მიზანს. მას საბერძნეთში მიაქვს ოქროს საწმისი და თან მიჰყავს მედია.

მართალია, აკაკი პოემას ქართული ყოფითი მასალით ტვირთავს, მაგრამ ეს ყველაფერი მაინც მხოლოდ ფოლკლორულთან გარეგნული სიახლოვის მაჩვენებელი მომენტებია. ისინი ანიჭებენ პოემას თავისთავადობას და ეროვნულ ელფერს, მაგრამ ჭერ კიდევ არ იძლევიან ნაწარმოების ხალხურობაზე მსჯელობის საფუძველს.

მაინც რითა და როგორ აღწევს აკაკი მოარული სიუჟეტის ახალი შინაარსით ავსებას და რაში გამოიხატება პოემის ხალხურობა?

ეს უპირველეს ყოვლისა ამბის პოეტურიზებაშია საძიებელი. ამბის პოეტურიზება აკაკის ხელოვანების ერთ-ერთი თვისებაა. ამიტომაცაა, რომ იგი პოეტური სულით ავსებს მედეა-იაზონის შესახებ არსებულ, ისედაც პოეტურობის შემცველ მოარულ სიუჟეტს, რომელშიც ქმედით მოტივად ახალგაზრდა ქალვაჟის სიცოცხლისაკენ სწრაფვა, მათი პოეტური სიყვარული კი არ გამოდის, არამედ იაზონის ანგარებიანი სიყვარული მედეასადმი.

პოემა „მედიაზე“ დაკვირვებისას ადვილად შესამჩნევი ისიცაა, რომ განცდითი მომენტებია წინწამოწეული, გმირთა ფსიქიკურ მხარეს ექცევა ყურადღება. იოლი დასანახია აგრეთვე ამბის აკაკისეული რეალისტური თვალთახედვა. ეს თუნდაც იმაში მქლავნდება, რომ შეძლებისდაგვარად თითოეული მითური ეპიზოდი რეალისტურ ძირებზე დაიყვანება.

მაგალითად ოქროს ვერძი პოემაში კოლხ ოსტატთა მიერ დამზადებული ოქროს სარეწი იარაღის სიმბოლოა და არა ხელთუქმნელი საკვირველება. ოქროს საწმისის მაძიებელ იაზონს ასეთ განმარტებას აძლევს იათა მამასახლისი:

¹⁰ პოემის ფოლკლორულთან აგვარი გარეგნული სიახლოვის მანიშნებელი მასალა დაქვნილია აქვს ქს. სიხარულიძეს. იხ. მისი: ქართველი მწერლები და ხალხური შემოქმედება, თბ., 1956.

„ტყავებით ვიჭერთ ჩვენ ოქროს სილას,
მდინარეების ჩამონატანებს,
ერთად ვაგროვებთ შესაკრებელში
და გარეშებს ეუქნავთ კარებს.
იქვე დაუდგაუთ ჩვენს მამა-პაპებს
ვერძი ოქროსი, ხატჩამოსხმული,
ზეციურ ვერძის წარმომადგენლად
და მისვე ხატად გარშეკაზმული“.

მაგრამ ნათქვამმა სრულიადაც არ შეეცაბუნა იაზონი. მან ხელი არ აიღო განზრახვებზე და მზითვის სანაცვლოდ მიიწვი „ოქროს მატყლიანი“ ვერძი მოითხოვა.

ოქროს საწმისის ხელახალმა მოთხოვნამ ერთგვარი ალტერნატივის წინაშე დააყენა კოლხი მამასახლისი, მაგრამ მან იაზონის დალუპვა გადაწყვიტა. იათა მამასახლისში ამ შემთხვევაში ქვეყნის პატრონი ლებულობს ასეთ გადაწყვეტილებას. მას მედიას მცხეთის მამასახლისის შეიღზე მითხოვება და ამით მცხეთასთან კავშირის განმტკიცება სურს, რადგან იცის, რომ „მხოლოდ გვარტომობაა თავდები ქვეყნის ბედნიერების“.

თქმულებისაგან განსხვავებით საკითხის ამგვარ დაყენებასა და გადაწყვეტაში ვლინდება აკაკის შემოქმედებითი მრწამსი, ღრმა პატრიოტიზმი. სამშობლოს სიყვარული ამ შემთხვევაში ადამიანის ზნეობრივი სიმაღლის კრიტერიუმია. იგი აკაკის ეთიკური თვალსაზრისის მთავარ შინაარსს შეადგენს. მცხეთასთან კავშირში, ქვეყნის გაერთიანებისაკენ იათას მისწრაფებაში აკაკიმ ლაკონურად გადმოსცა თავისი შემოქმედებითი კრედი.

აკაკი უდიდესი პატრიოტი იყო და რაც პატრიოტულ გრძნობასთან წინააღმდეგობაში მოდიოდა, იგი მას ადამიანის ეთიკურ დეფექტად მიიჩნევდა¹¹. ამ ეპიზოდის ასეთნაირი გადაწყვეტით აკაკი წერეთელმა აამაღლა თავისი გმირი. გრძნეული და სისხლისმსმელი აეტის ნაცვლად გამჟრიახი პოლიტიკოსისა და მამულიშვილის სახე შექმნა.

პოემაში აკაკი არც ამბის დასასრულს შორდება თქმულებას. შეყვარებული მედია საქმროს ანაცვლებს ყველაფერს. იაზონი სხვასთან ერთად მედიას დახმარებითაც აღწევს გამარჯვებას. ძვირფასი ნადავლით იგი სამშობლოში გაიპარება. ციხე კვლავ შიგნიდან გატყდა. სიყვარულით ნასაზრდოებმა სიშმაგემ კიდევ ერთხელ დაამარცხა კოლხი მეფე.

საერთოდ, სიყვარულის მოტივი წარმმართველია პოემაში. იგი კვანძის გახსნის ერთგვარი წინა პირობაა. მაგრამ აქ მაინც იაზონისა და მედიას ურთიერთისაგან განსხვავებული გრძნობა აპირობებს სიყვარულის თავისებურებას. ერთი მხრივ, მედიას ჯერაც გამოუცდელი, უმწიკვლო, გულწრფელი ტრფობა და, მეორე მხრივ, იაზონის აფექტური, ანგარებიანი სიყვარული ფიგურირებს პოემაში. მედიამ გულისსწორს ანაცვალა ყველა და ყველაფერი — სამშობლოც, მშობლებიც, ძმაც და საკუთარი თავიც. მაგრამ პოემაში მედიას საქციელი არ იწვევს მკითხველის გულისწყრომას. ესეც აკაკის პოეტურობის წყალობაა, რადგან, როგორც მიუთითებენ, აკაკისთან ტრაგიკულიც სხვაგვარია, შერბილებულია, შემსუბუქებულია. აკაკი მკითხველს არ ტოვებს მძიმე განცდებით. თავისი ღიმილით იგი თუ არ ფარავს, არბილებს მაინც ვითარებას.

¹¹ გ. კ. ი. ნ. ა. ძე, დასახ. შტ.

ეს კი თავისთავად იმას გულისხმობს, რომ აკაკი მკითხველს სულიერი აქტივობის ატმოსფეროს უქმნის¹².

იაზონს მედიას სიყვარული ოქროს საწმისის მოსაპოვებლად სჭირდებოდა. იაზონმა მოიპოვა კიდევ ესოდენ სასურველი ნივთი. მედია თითქოს აღარ უნდა აინტერესებდეს იაზონს. ასეთია ტრადიციული თქმულების ამ ეპიზოდის გააზრება. მაგრამ აკაკიმ თავისებურად გადაწყვიტა საკითხი. იაზონს პირველი დანახვისთანავე თავდავიწყებით შეუყვარდა ლამაზი კოლხი ქალშვილი. აქ ამიტომაც მან წმინდა ხესთან — დიდ მუხასთან — „ჰყონდიდთან“ დადო მარადიული ერთგულების ფიცი მედიას წინაშე.

სიყვარულმა სძლია ანგარებას. იაზონმა მედია საბერძნეთში წაიყვანა. პომეის ეს ადგილიც ერთგვარად დაცლილია დრამატულობისაგან, შერბილებულია. ეს აკაკის ხელოვანების თვისებაა, რადგანაც აკაკი წერეთელი ყოველთვის ცდილობს მძიმე სიტუაციები გაამარტივოს, ნათელი, ლამაზი ოცნების სახით წარმოდგენილი სინამდვილე გააბატონოს წერილმანებითა და სიმდაბლით სავსე ყოვითს ვითარებაზე, პოეტური თვალთ დაინახოს მთელი სინამდვილე. ამიტომაცაა, რომ ამ შემთხვევაში მან ჩვენი ხალხური წარმოდგენების კვალად სიყვარულის ყოველისშემძლე ძალას გაამარჯვებინა იაზონის მდაბალ მიზანდასახულობაზე და სწორედ ამით კიდევ ერთხელ წარმოსდგაროგორც უაღრესად ხალხური შემოქმედი.

მართალია, „მედია“ დრამატული პომეაა, მაგრამ აქ უფრო პოეტური ხილვა სჭარბობს მოვლენათა დრამატიზირებას; იმ ხასიათის პოეტური ხილვა, როგორც ნიშანდობლივია აკაკის სხვა დრამატული პომემებისათვის („თამარ ცხიერი“, „პატარა კახი“). ამასთან შესაძლოა, ერთი მხრივ, ეს იმიტაცაა გამოწვეული, რომ ნაწარმოები არაა დასრულებული¹³.

Т. И. ДЖАГОДНИШВИЛИ

კ ВОПРОСУ О НАРОДНОСТИ ПОЭМЫ А. ЦЕРЕТЕЛИ «МЕДИЯ»

Резюме

В статье рассматривается вопрос народности поэмы А. Церетели «Медия». Указано, что литературная обработка известного сказания о трагической любви Медин и Язона от А. Церетели требовала большой творческой смелости, так как эта тема, начиная со времен античной эпохи до сегодняшнего дня, шлововаля многих мастеров художественного слова. Для создания нового художественного полотна А. Церетели решил придать традиционному сюжету национальный оттенок.

Переосмыслив тему любви Медин и Язона в духе грузинских народных представлений, А. Церетели сумел внести в сюжет поэмы национальный колорит, тем самым представ перед читателем истинно народным поэтом.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა შ. ძმიგურმა

¹² იქვე.

¹³ პომეაზე დართული შენიშვნებიდან ირკვევა, რომ აკაკის ტრილოგიის შექმნა ჰქონია განზრახული. პირველ ნაწილს უნდა დაერქმეოდა „მედია კოლხეთში“, მეორეს „მედია ელადში“, მესამეს კი „მედია სამშობლოში დაბრუნებული“. აკაკი წერეთელმა მხოლოდ პირველი ნაწილი დაასრულა, მეორე დაუმთავრებელია. მესამე ნაწილის შექმნის იდეა კი განუხორციელებელი დარჩა.

გორის ღარჩია

მეფხისტყაოსნის კეფილიანთ ხელნაწერის ტიპის ნუსხები

მხედველობაში გვაქვს ვეფხისტყაოსნის სამი ხელნაწერი: N — S 3077. Y — H 740 (კეხელიანთი) და A' — K 383 (ქუთაისური). ამ ხელნაწერთა რედაქციული რაობისა და ურთიერთმიმართების შესახებ რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში განსხვავებული შეხედულებები არსებობს¹.

პ. ინგოროყვას სხვა ნუსხებთან მათი მიმართება ასე ესახება: WU GACBA'YLNFPQKH'. მისი სიტყვით, „რიგი, რომლის მიხედვით ჩამოთვლილია ხელნაწერები აქ მოყვანილ სიაში, მისდევს მათს კლასიფიკაციას რედაქციებად“².

ვეფხისტყაოსნის 1927 წლის გამოცემაზე დართულ გამოკვლევაში ს. კაკაბაძეს Y დასახელებული აქვს პოემის იმ ექვს ხელნაწერთა შორის (EKO-YWF), რომლებიც, მისი აზრით, შეიცავენ თხზულების შედარებით თავდაპირველ მოცულობას (გვ. VIII). ს. კაკაბაძე ერთგან აზუსტებს: „რამდენადაც ჩვენ დავრწმუნდით, დასახელებულ ძირითად ტექსტის 6 პირველხარისხოვან ეარიანტს შორის მთავარი მნიშვნელობა ტექსტის აღსადგენად, თვით მართლწერის მხრივაც, ეძლევა ხელნაწერებს: K, O, E, ვახტანგისეულ რედაქციას, შემდეგ Y და სულ ბოლოს F. ჩვენ აქ ვგულისხმობთ ტექსტის შინაგან წაკითხვათა ვითარებას დასახელებულ ვარიანტებში...“ შემდეგ: „...ტექსტის წაკითხვათა დადგენისას ჩვენ ვუფარდებდით ერთმანეთს ხელნაწერებს K, O, E და ვახტანგისეულ რედაქციას მათ თანაბრად ერთმანეთთან შედარებით და Y ხელნაწერის მოშველიებით შესაძლებელი ხდებოდა ტექსტის დადგენა, როგორც ლექსიურ მოცულობით, ისე, აგრეთვე, უფრო მეტ შემთხვევაში მართლწერის

1 ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები ყველგან, მათ შორის დამოწმებულ ლიტერატურაში, დასახელებული გვაქვს „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტებსა“ (ოთხი ნაკვეთი, თბ., 1960—1963 წწ.) და ვეფხისტყაოსნის 1966 წლის ვარიანტებიან გამოცემაში (რედაქტორები ა. შ ა ნ ი ძ ე, ა. ბ ა რ ა მ ი ძ ე) მიღებული ლიტერატურის მიხედვით. აქ მათ ემატება: Z'—Q 1075, V²—Q 279. პოემის ვახტანგისეული გამოცემა აღნიშნულია W-ით, ახალციხური ფრაგმენტი — G-ით.

2 ამ ხელნაწერთა აღწერილობა და მათ შესახებ არსებული ლიტერატურის სია იხ. ს. ც ა ი შ ი ლ ი ს წიგნში — ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, II, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები, თბ., 1970; N-ის შესახებ გვ. 33—34, Y-ის შესახებ — გვ. 57—58, A'-ის შესახებ — ვ. 73—74.

3 პ. ინგოროყვა, რუსთველანა, თბ., 1926, გვ. 9—13. გადაბეჭდილია მისსავე წიგნში: თხზულებათა კრებული, I, თბ., 1963, გვ. 13—14. ორივეგან A' დასახელებულია ამგვარად: „A'—ხელნაწერი № 78 (ქუთაისის) სპხარეთმცოდნეო მუზეუმისა). უთარაღ. გუთენის შე-18 საუკუნეს“. ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ამ ნომრით დაცული ხელნაწერი შეიცავს სახარების თარგმანს. როგორც ზოგიერთი ნიშნის მ.ხედვითა ალ. ბარამიძე ვარაუდობს, პ. ინგოროყვას მხედველობაში უნდა ჰქონდეს აღნიშნული მუზეუმის № 383 ხელნაწერი — A' (ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ნარკვევები..., IV, თბ., 1964, გვ. 372).

ჩვენ აქ განზრახული არ გვაქვს განვიხილოთ მკვლევრების მიერ ყოველნაბიჯზე ხაზგასმული, მეტად რთული კომპლექსი საკითხებისა: ნართული ეპოსისა და მატრიარქატის შესაბამისი კავშირის პრობლემა და მისი მრავალგვარი კონსექვენცია. ქეშმარიტება მოითხოვს ისიც მოვიხსენიოთ, რომ ნართულ ეპოსში ურიზმაგის სახეს მრავალი ვრცელ თქმულებათა ციკლი უკავშირდება. „უსახელო (უცხო) ვაჟი“ მხოლოდ ერთ-ერთი რგოლია ამ დიდ ჯაჭვში. მკვლევრები ურიზმაგის მთელ ციკლს გულისხმობენ, როდესაც მას „მატრიარქატის“ ამსახველად თვლიან. ციკლის მთლიანობის განხილვას შემდეგში კვლავ დავუბრუნდებით.

ე. მელეტინსკიმ, ჩვენი აზრით, უსაფუძვლოდ უარყო ვ. აბაევის (და მისი წინამორბედების) მოსაზრება „ურინზმავის უსახელო (უცხო) ვაჟის“ საერთაშორისო პარალელების არსებობასთან დაკავშირებით (რუსტამი-ზაჰრა, ილია მურომეცი, პილდენჩანდი და სხვა). სპეკიალურ ლიტერატურაში ეს სიუჟეტი განიხილება როგორც ოსური ფოლკლორის ორიგინალური მოვლენა და ვადამწყვეტ გავლენას ახდენს ურინზმავის ციკლის მთელ ინტერპრეტაციაზე. საერთაშორისო კატალოგები და კრებულები ვერ გვაწვდიან ამომწურავ პასუხს ამ სიუჟეტზე. როგორც ეს საერთოდ ხდება ფოლკლორისტიკაში, მხოლოდ დროის საკითხადღა რჩება ის, რომ ამოტვივდეს რომელიმე პარალელური თემა. ასეა აღნიშნულ შემთხვევაშიც.

ა. გვახარია ხალხური წიგნების მონოგრაფიული შესწავლისას საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო არქივში წააწყდა ერთ აქამდე უცნობ ხელნაწერს (დანარჩენი ორი, არასრული ვარიანტი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის არქივში აღმოჩნდა). ამ გამოუქვეყნებელი ძეგლის შინაარსი ასეთია:

ბაღდაღში იყო ერთი ძლიერი მეფე. ჰყავდა ერთადერთი ვაჟი, მშვენიერი და ლამაზი. მეფის საღაროში ინახებოდა რომელიღაც უცნობ ენაზე დაწერილი წიგნი. მისი წამკითხველი ქვეყანაზე ვერაფერს მონახავს. ხელმწიფე ძლიერ შეწუხდა. ერთ დღეს საიდანღაც მოვიდა მოლა და განაცხადა, მე წაგიკითხავო. მეფის ძე სედრაჟი ამაოდ ეძებს წიგნს. ბოლოს თვით ხელმწიფე მიდის წიგნის მოსაძებნად. შვეა თუ არა საღაროში, დაინახავს, ფანჯარაზე დიდი ფრინველი შემომკვდარა. მეფე მიეპარება დასაჰერად, მოავლებს ფეხში ხელს. ამ დროს ფრინველი აფრინდება, მეფეს წარიტაცებს და შორს ერთ მშვენიერ ბაღში ჩასვამს. ბაღში სახლი დგას, რომელშიც მშვენიერი ვაჟი ცხოვრობს მარტოდ მარტო (გარეგნობით მეფის ვაჟს სედრაჟს წააგავს). როცა ვაჟი მეფეს დაინახავს, გაიცინებს: მამაჩემი სამი ათას მცველს თავს მოჰკეთეს, შენი აქ შემოსვლის ამბავი რომ გაიგოსო, რადგან წინასწარმეტყველებმა დამითქვეს: ოცდაორი წლის ასაკში ბაღდაღის მეფის ხელით მოკვდებიო. ამის გამო აქ გამომამწყვდიესო, — თქვა ვაჟმა. ორი საათილა დარჩა ვადის გასვლამდე. ბაღდაღის მეფე დიდად შეაწუხა ამ ამბავმა, შიშმა აიტანა. რატომ უნდა მოკვლა ვაჟი? ორივენი ტყბილ საუბარში გაერთნენ და მალე სუფრასაც მოუსხდნენ. მეფემ დანის წვერზე წამოცმული ვაშლის ნაჭერი შესთავაზა მეფისწულს. ამ დროს ვაჟმა ძლიერად დააცემინა, დანა ცხვირში შეერჭო და იქვე სული განუტევა. იმავე დროს ფრინველი მოფრინდა, მეფე კვლავ აიტაცა და განძთსაცავში დააბრუნა. მეფე წიგნს მიაგნებს, მოლას მიუტანს და წააკითხებს...

წიგნის ტექსტი მეფისწულის თავგადასავალს შეიცავს. ამბავი მსგავსია „მადლიერი მკვდრის“ ცნობილი ზღაპრისა (AT 507 ml), ე. ი. სცილდება ურინზმავის „უსახელო (უცხო) ვაჟის“ სიუჟეტს, თუმცა მათ შორის არსებული თემატურიკი მსგავსება უეჭველია! [13, 133—134].

ა. გვახარია ირანული წარმოშობის (ამაზე მიუთითებენ ტექსტის ირანიზმები, მაგ., პერსონაჟების სახელები, და საერთოდ ამბის მთელი ატმოსფერო და კულტურულ-ისტორიული კონტექსტი) ხალხური წიგნის ქრონოლოგიას არ იძლევა. ვიცნობთ რა ქართული ლიტერატურის საერთო განვითარების ისტორიას, არ შევცდებით, თუ ამ ნაწარმოების წარმოშობის (თარგმნის) დროს ქართული ლიტერატურის „აღორძინების ეპოქას“ (16—18 სს.) დავუკავში-

რებთ [16, 309—320, 13, 114—154]; ante quem non, უფრო მეტიც, გამო-რიცხული არაა, რომ მისი გადამუშავება სწორედ მე-19 ს-ში მოხდა.

ქართული ხალხური წიგნის ირანულ წარმოშობას კიდევ უფრო უეჭველს ხდის მ. მაჭუბის მიერ გამოქვეყნებული ერთი დასთანნი [13, 134—ჩანაწერებში], რომელიც შემდეგს მოგვითხრობს:

ერთხელ პარუნ არ-რაშიდმა უზარმაზარ ფრინველს ჩასჭიდა ფეხში ხელი. ფრინველი აფრინდა და პარუნი უცნობ კუნძულზე დასევა. არ-რაშიდი კუნძულზე ბაღდადის უფლისწულს შეხვდა და მისი ამბავი მოისმინა. წინასწარმეტყველის თქმით, ამ ვაჟს პარუნ არ-რაშიდის ხელით ელოდა სიკვდილი და ამიტომაც კუნძულზე გამოიხიზნა. ორივენი სუფრასთან სხდებიან. პარუნ არ-რაშიდი დანის წვერზე წამოკმულ ქაბაბს შესთავაზებს. ამ დროს ვაჟი ძლიერად დააცხიკვებს, დანას წამოეგება და მოკვდება. გაოცებული პარუნ არ-რაშიდი ჭერ ვონსაც არ იყო მოსული, რომ გამოჩნდა ფრინველი, აიტაცა იგი და თვალის ერთ დახამხამებაზე თავის სასახლეში დააბრუნა. მოთხრობა შემდეგი სენტენციით მთავრდება: რაც ბედის წიგნში გიწერია, გვერდს ვერ აუვლი...

დასთანნი ახალი ამბით გრძელდება. აქაც სახეზეა „ორსვლიანი“ თხრობის კომპოზიცია, მაგრამ მომდევნო სიუჟეტი განსხვავდება როგორც ქართული რელაქციის კომპოზიციისგან, ისე „ურჩხმაგის უსახელო (უცხო) ვაჟის“ ლეგენდისგან.

ა. გვახარია, თავისი შრომის მიზანდასახულების შესაბამისად, არ ეძებდა ხალხური წიგნის სიუჟეტის პარალელებს, და ამდენად ვერც შეამჩნია ნართულ ეპოსთან მისი მსგავსება. ცხადია, აღნიშნული ორი სიუჟეტი უეჭველად ემთხვევა ერთმანეთს მორფოლოგიური, თემატიკური და ეპიკური მასალის მიხედვით. ბუნებრივად მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაც შეიმჩნევა. ეს განსხვავებანი ისტორიულ-ტიპოლოგიურ დიფერენციაციასზე მიუთითებენ და საკვებით გასაგები ხდება მნიშვნელოვნად განსხვავებული ორი საზოგადოებრივი კონტექსტის გათვალისწინებით.

ჩვენ პირველ რიგში არსებული კავშირის ბუნება გვეანტერესებს, რაც თემის სირთულისა და ეპიკური მასალის ერთიანობის გამო მხოლოდ და მხოლოდ გენეტიკურად უნდა ჩაითვალოს. აქ ხაზგასანმელია ის, რომ საგმირო ლეგენდის შინაარსი არსებითად არ სცილდება დასთანის საზღვრებს, რომელშიც ბედის გარდუვალობის რწმენაა გამოხატული. ურჩხმაგის ხელმოცარულობაც სხვას არაფერს წარმოადგენს. იგი უფრო მეტად გახაზავს იმავე იდეას. თვალში საცემია ფაქტი, რომ მსგავსი ფატალიზმი ნართულ ეპოსში (მიტოსურ გმირულ ეპოსში!), ურჩხმაგის ციკლის გარდა, სხვაგან არ გვხვდება. ნართ გმირებს სწორედ ადამიანთა კოლექტივის ომნიპოტენციაში ფესვგადგმული რწმენა უბიძგებს საგმირო მოქმედებისკენ. მაგ., სოსრიყო, ეპოსის ყველაზე მონუმენტური სახე, ცენტრალური გმირი, ინტრიგების მსხვერპლი რომ ხდება, სიკვდილის დროსაც არ კარგავს ძალას, წუთიერადაც არ ნებდება სიკვდილს და სიცოცხლის სურვილი არ წყდება მასში. «...ნარაუები, — წერს ე. დაღვატი, — ჰეროიკული ტიპები არიან. აქტიური, გულადი გმირები, კვიანები, ძლიერები, მამაკები და მონუმენტურები. ეს გმირები თვით ღვთის წინაშეც არ იღრეკენ ქედს. გმირული სიკვდილით კვდებიან... ისინი ისეთი ეპითეტებით არიან შემკული, როგორებიცაა: „ფოლაღივით გამოწრთობილი“, „მოუღრეკელი...“» [9, 208].

ქართულ-ირანულ დასთანსა და ურიზმაგის თქმულებას შორის წარმოჩენილი კავშირიდან, რომელი მათგანი შეიძლება დავასახელოთ პირველწყაროდ? პასუხი, ბუნებრივია, აქაც მხოლოდ ჰიპოთეზური იქნება. ჩვენი აზრით, თუ თავს გავანებებთ პრეკონციპიალურ არქაიზმს და არ ამოვიჩემებთ „უძველესის“ ძებნის ტენდენციას, თქმულების უფრო რეალურ ინტერპრეტაციას მივაგნებთ.

კვლავ უნდა მოვიგონოთ, რომ ურიზმაგის ციკლი ნართული ეპოსის არც ერთ ეთნიკურ ვერსიაში არ თამაშობს ისეთ დიდ როლს, როგორც ოსურ ვერსიაში. აფხაზურ, ადიღურ, ყარაჩაულ-ბალყარულ და ჩეჩენურ-ინგუშურ ეპოსებში აღნიშნული სიუჟეტი არც კი გვხვდება ამ გმირთან დაკავშირებით. უკანასკნელთა შორის იგი სხვა გმირების თქმულებებში იჩენს თავს, რომელი გმირებიც შესაძლებლობისდაგვარად უკანა რიგში აყენებენ ურიზმაგს. ოსურ ეპოსში კი ურიზმაგი, ყოველ სიმღერასა და თქმულებაში გვხვდება, თანაც მრავალ სიუჟეტში პირველ ადგილზე დგას და უმთავრეს როლს ასრულებს. ე. მელეტინსკის მიხედვით, ურიზმაგის ციკლს 13 სიუჟეტი ქმნის. თავისთავად ცხადია, რომ ეს სიუჟეტები გმირის მდიდრულსა და სრულ დახასიათებას იძლევა [18, 78].

ჩვენ ჰიპოთეზასთან დაკავშირებით, რასაკვირველია, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ რა ხასიათის გმირად სახავს ეპოსი ურიზმაგს, რა მასალით აყალიბებს ამ ტრადიციულ სახეს. ჭერ კიდევ გ. დუმეზილი აცხადებდა, რომ ურიზმაგის (და სათანას) ციკლში ყოველდღიური ცხოვრების მოვლენები გარკვევით ბატონობს მითურებზეო. ეპიკურ მასალად გამოყენებულია: ქორწინება, ოჯახური გარემო, ორპირობა, მშობლიური გრძნობები... ყველაფერი ეს თითქმის ყოველდღიური ცხოვრებიდან არის აღებული და ურიზმაგი და სათანა ჩვეულებრივი ადამიანური სისუსტიითა და ვნებათაღელვით ხასიათდებიან [11, 167 ტ.].

ამგვარად განიხილავდა ამ ციკლს ე. მელეტინსკიც: „ურიზმაგის ციკლი უძველესად ნართული ეპოსის ისტორიის ახალ პერიოდს განეკუთვნება. ურიზმაგის შესახებ არსებულ ეპოსში არ არის არავითარი მითი“ [18, 61, 22—63].

და მართლაც, არა მარტო მითურს (რომლის ხვედრითი წონა ეპოსის ბირთვის შემქმნელ ციკლებში საკმაოდ დიდია), არამედ გმირულ-ეპიკურსაც კი ნაკლებად ვპოულობთ ისეთ სიუჟეტებში, როგორცაა, მაგ., „ყველა საოცრება სამ დღემდე გრძელდება“ (ი. ნაღი ბერაქე, უნგრული ხალხური ზღაპრების ტიპები, 929 II. mt, აქვე აღვნიშნავთ, რომ ნაღი ბერაქე, მაგალითად, ურიზმაგის ციკლს სწორედ ამ სიუჟეტთან დაკავშირებით მიუთითებს ა. დირისეული „კავკასიური კრებულიდან“), „ჰკვიანი გოგონა“ (AT 875 mt), „პუტივარნეს ამბავი“, „მფვის ძალი“ (AT 449 mt), და სხვა ცნობილ საერთაშორისო ანექდოტურ-ზღაპრული ხასიათის ამბებში [1, 37—39; 18, 78]. ურიზმაგის (და სათანას) სახეც აღნიშნული ეპიკური მასალის საფუძველზე ჩამოაყალიბა ტრადიციამ.

ტიპურია, მაგრამ არა საესებით უსაფუძვლო, ლ. ბიზიროვის მეთოდი, რომელიც ამ სიუჟეტების ერთ ნაწილს, აგრეთვე რიგ დანარჩენსაც (მაგ., კავკასიაში საკმაოდ ცნობილი) ჩარჩოებიანი სტრუქტურის მქონე სამონადირეო მოთხრობების სერიას აკუთვნებს. მოკლული და უკვე ცეცხლზე შედგმული ნადავლი ცოცხლდება და გარბის. ამავე დროს მონადირე აღნიშნავს: ამაში საოცარი არაფერია, საოცარია მხოლოდ ის, რაც მეანს და მეანს შეემთხვა.

ამბის ვაგების სურვილით გატაცებული გზიანი მანამდე არ მშვიდდება, სანამ არ გაიგებს, თუ რა შედეგზეა მივან მონადირეს. ძიების პერიოდში კი მას მოელის ჩამატებული ზღაპრების ფორმის მქონე თავგადასავლების მთელი წყება (6:436—455).

ცხადია, ურიზმაგის სახეს ტრადიცია საერთაშორისო ეპიკური „გადანახული მასალის“ საშუალებით აყალიბებს. ამის გამო შემთხვევითი არ არის, რომ აქ თავს არ იჩენს ისეთი დამახასიათებელი საგმირო-ეპიკური თემები, როგორცაა: პერიოკული საომარი მოქმედებანი, ქალის მოპოვება და სხვ.

ხანშიშესული პატრიარქი ურიზმაგი, რომელმაც ყველაზე სრულყოფილი სახე ოსურ ვერსიაში მიიღო, იმის საპირობამ წარმოშვა, რომ ნართული ეპოსის გმირები ურთიერთშორის გენეალოგიურად იყვნენ დაკავშირებული. როცა ეპოსის ევოლუციაში განვითარების ეს საფეხური დადგა, მაშინ ოსური სასოგადოებრივი ორგანიზაცია „გმირულ ეპოქაზე“ წინ იყო წასული. ამიტომ გმირული ეპოსის ესთეტიკური სტრუქტურა დაირღვა, ფოლკლორული ტრადიციის მთლიანობამ სხვანაირი სასიათი მიიღო და ახალი ხარისხის ჩარჩოებში იწყო განვითარება. ამკარაა, ამ შემთხვევაში, რაც ერთი მხრით ნგრევას წარმოადგენდა, იგი მეორე მხრის შენება იყო. გმირული მსოფლმხედველობის სინთეტიზში შეცვალა კონკრეტულ-ისტორიულ და სოციალურმა სინამდვილემ. ეპოსში ამის საჩვენებლად, რასაკვირველია, მითური შინაარსის ტრადიცია აღარ გამოდგებოდა. ამიტომაც აქ მნიშვნელოვან როლს თამაშობს ის ეპიკური მასალა, რომელსაც აქამდე არცთუ სამართლიანად „საერთაშორისო მოხეტიალე მასალას“ ვუწოდებდით. ახალ შემოქმედებითს ატმოსფეროში ბუნებრივად ორგანული ხასიათი შეიძინა იმ სიუჟეტმა, რომლითაც თხრობა დაიწყო: „ურიზმაგის (უცხო) უსახელო ვაჟის“ ისტორიამ, კერძოდ მისმა ქართულმა ვარიანტმა, რომელიც უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება ირანული წარმოშობისაც იყოს.

სხენებული მხატვრულ-ესთეტიკური სისტემების ცვლის ქრონოლოგიური საზღვრების დადგენა, ვფიქრობთ, არაა ძნელი. ცნობილია, რომ პეჩენეგურ-მონგოლურმა ეპოქამ ოსური ფოლკლორის განვითარებაში ნამდვილი საგმირო ეპოსი შემოიტანა და საგმირო ეპოსის ტრადიციაც ამ პერიოდში ცხოვრებისეული იყო. ურიზმაგის ტიპის ჩამოყალიბების შესაძლებლობა მე-13—14 საუკუნეებამდე არ არსებობდა. ეს საერთოდ ითქმის ფოლკლორის გამო, როცა საქმე ეხება კოლექტიური შემოქმედების მიმდინარეობას და მისი ქრონოლოგიური ფარგლები მხოლოდ საუკუნეებით გაიზომება. უფრო ვიწრო დროული საზღვრები შეიძლება მხოლოდ კონკრეტული სიუჟეტების შემთხვევაში ვეძებოთ.

აქ ერთი წამით უნდა შევჩერდეთ და საკითხს ოდნავ გადავუხვიოთ, რათა უფრო ახლოს მივიდეთ შემოქმედებით-ისტორიული მდინარების ახსნასთან. ურიზმაგის ციკლი სხვა თემებსა და მოტივებს რომ არ მოიცავდეს, რომლის შესახებაც აქამდე ვლაპარაკობდით, მაშინ ჩვენი ინტერპრეტაცია ძირითადად დასრულებულად შეიძლება ჩაგვეთვალოს. მაგრამ ამ ციკლთან დაკავშირებულ სიუჟეტებში უთუოდ გვხვდება საგმირო-ეპიკური და მითური შტრიხები. სწორედ ამან მისცა მკვლევარებს საბაბი, რომ ურიზმაგის ციკლი მთლიანად ეპოსის არქაულ ფენას მიაკუთვნონ და ეპოსის ბირთვის კუთვნილებად ჩათვალონ; ასე მოექცნენ ისინი იმ საგმირო თქმულებასაც, რომელიც ჩვენი გამოკვლევის უშუალო საგანს შეადგენს. მაგალითად, გ. დუმეზილი აცხადებს,

რომ მითების გმირები ღმერთები და ნახევარღმერთები ფოლკლორული სიუჟეტის მსკლელობაში ხშირად გადაიქცევიან ხოლმე ყოველდღიური ამბების, თვით ანეკდოტების გმირებადაც კი [11, 167 ტ.]. ვ. აბაევი კვლევას მთლიანად ამ მიმართულებით წარმართავს: „ჩვენ გვეონია, — წერს იგი, — რომ ურ-ზმაგისა და სათანას ციკლშიც სწორედ ისეთი ძველი, მითური სახეების დეგრადაციასთან გვაქვს საქმე; ამასთან „ამქვეყნიურად“ წარმოსახული გმირების კავშირი ღმერთების ანდა ნახევარღმერთების პროტოტიპებთან ჯერ კიდევ ნათელი და საგრძნობია“ [1, 39].

ვ. აბაევი ამის შემდეგ თანმიმდევრობით არჩევს ურიზმაგის ციკლის ყველა იმ ელემენტს, როლითაც, მისი აზრით, ზემოთ მოყვანილი შეხედულება მტკიცდება, და ერთ ნაწილში მაინც უძველესად მოჩანს მითი. მაგრამ ჩვენ ვერ დავეთანხმებით მკვლევარს (სხვათა შორის) „ურიზმაგის უსახლო (უცხო) ვაჟის“ ინტერპრეტაციაში. მისი შეხედულება ამ საკითხთან დაკავშირებით უკვე მოიყვანეთ, ახლა კი შევავსებთ შემდეგით: „ურიზმაგ-კრონოსის პარალელი კიდევ უფრო საყურადღებო დადასტურებას პოულობს. კრონოსი, როგორც ცნობილია, თავის შვილებს ყლაპავდა. მხოლოდ ზევსის გადარჩენა შესლო დედამ, მარტო იგი გადაურჩა თავისი ძმების ბედს. იგივე მიეწერება ურიზმაგსაც: მისი შვილებიც მამის ხელით იღუპებიან. ერთი დიგორული (ოსური ტომი. — მ. ი.) ვარიანტის თანახმად ურიზმაგის 16 ვაჟმა პოვა მამის ხელით სიკვდილი. მეჩვიდმეტე შვილი სათანამ აღსაზრდელად წყალქვეშა სამეფოში გააბარა, ისე, რომ არც კი უჩვენებია მამისთვის. ბედის განგებით ურიზმაგი ღონეთიერებთან მოხედება და უნებლიეთ საკუთარ ვაჟს მოკლავს“ [1, 40].

ამ ორ სიუჟეტს შორის მსგავსებას ვერ ვუარყოფთ, თუმცა უნდა ვთქვათ, რგი ზედაპირულია. კრონოსი-ზევისისა და ურიზმაგის — „უსახლო (უცხო) ვაჟის“ ამბებს შორის, არათუ გენეტიკური (ამას ვ. აბაევიც არ გულისხმობდა), არამედ ტიპოლოგიური მსგავსებაც კი არ არსებობს.

ვ. მელეტინსკიც ბოლომდე განიხილავს ურიზმაგის ციკლის არქაულ შტრიხებს, მაგრამ ვ. აბაევისგან განსხვავებულ დასკვნებამდე მიდის. იგი ციკლის ცენტრალურ თემად, — ჩვენი აზრით, არა საკმარის საფუძვლიანად, — ურიზმაგის უკანასკნელ „ბაღც“-ს (ოსურად: ბრძოლა, თავგადასავალი) თვლის. ეს უკანასკნელი აგრეთვე საერთაშორისო ეპიკურ თემას წარმოადგენს: მოხუცებულ გმირს ახალგაზრდები დასცინიან, არცხვენენ; საკუთარი თხოვნით ყუთში კეტავენ და ღია ზღვაში აგდებენ. მოხუცი ტყვედ ჩავარდება; ეშმაკური ორაზროვნებით, გამოცანების შეთვლით ახერხებს, რომ გამტაცებელს გამოსახსნელი ფული მისცეს, იგი, პირიქით, გმირ ხალხს ნადავლს შესძენს და საკუთარ თავსაც თავისუფლებას მოუტანს. ეს სიუჟეტი უძველესად ოქაზის უფროსის აპოლოგიაა: „კარგია მოხუცი სახლში“ — თემის ესთეტიკური გამოხატულება.

ვ. მელეტინსკი ამ თემას განმარტავდებელ დასკვნამდე მიჰყავს: „ჩვენ მიგვაჩნია, რომ ურიზმაგი წმინდა ეპიკურ-ჰეროიკული სახეა, აღრეალა-ნური პატრიარქალური საზოგადოების ტენდენციების თავისებურად ამსახველი. ურიზმაგი პირველ ყოვლისა, პატრიარქია და შემდეგ წინაპარი, გვარის უფემდეგბელი...“ [19, 192—193].

„პატრიარქატზე“ აქ სიტყვაიც არაა ნათქვამი, მაგრამ, ჩვენი აზრით, თქმულების არქაიზაცია აქაც გადაჭარბებულად იჩენს თავს. ურიზმაგის შესახებ

ა. ანშაა წერს: „...ოსურ ეპოსში გვიანი პატრიარქალური საზოგადოების გმირების სრულ უპირატესობას ვერძნობთ...“ [5:34]. ა. ბიზირიოვი აგრეთვე, როგორც აღვნიშნეთ, ურიზმაგის ციკლს თითქმის გამოყოფს ნართული ეპოსიდან. ზოგადად შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღნიშნული საგმირო ეპოსის ადრინდელ წარმოშობას ყველა მკვლევარი ადასტურებს. კერძოდ, შ. ინალ-იფა. ნართული ეპოსის უძველესი ციკლის წარმოშობას („ურიზმაგის უსახელო (უცხო) ვაჟისაც“) ჩრდილოკავკასიური, ალანური ტომების პერიოდს უკავშირებს. ე. ი. მე-10—12 საუკუნეებს, თუმცა მსჯელობიდან ნათლად გამოსჭვივის, რომ იგი მე-5 საუკუნის წინა პერიოდს, დაახლოებით ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყის ეპოქას ვარაუდობს.

ახლა დავუბრუნდეთ საკითხს, თუ რატომ ვერ გავიზიარებთ ნართული თქმულების მკვლევართა შორის გავრცელებულ ეპოსის არქაიზაციისაკენ ლტოლვას და მასთან ერთად ურიზმაგის ციკლის არსებულ შეფასებასაც.

ბუნებრივია, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქ ირანულ-ქართულ პარალელს ენიჭება. ჩვენი აზრით, იგი საფუძვლიანად არის დათარიღებული, დათარიღებისათვის კი ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან დასაყრდენს „ურიზმაგის უსახელო (უცხო) ვაჟის“ თქმულება წარმოადგენს, რომელიც თავისი მხრით ე. წ. საერთაშორისო გვიანი მოხეტიალე თემების რიგს მიეკუთვნება. რასაკვირველია, საერთაშორისო მოხეტიალე ხასიათის სიუჟეტები ტიპოლოგიურ თვალსაზრისით უძველესნიც შეიძლება იყოს. უფრო მეტიც, განსაზღვრულ დონემდე შეიძლება ისინი კავკასიის სოციალურ საფუძველსაც შეეფერებოდნენ თვით ნაგვიანვეი ნაესხობის შემთხვევაშიც, თუკი მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ეს საზოგადოებანი ჯერ კიდევ მე-19—20 საუკუნეში თავიანთი სოციალური სტრუქტურით რამდენადმე არქაულნი იყვნენ. ტიპოლოგიურ ეთნოგრაფიულ-ფოლკლორისტულ ანალიზს ზოგ შემთხვევაში შეუძლია მკვლევარი გზასაც ააღინოს, როგორც ეს ვნახეთ ნართული ეპოსის შესწავლის მაგალითზე.

მართალია, ირანულ-ქართული დასტანი არ შეიცავს „საკუთარი შვილის ფატალური მოკვლის“ თემას, მაგრამ ამას მაინც ვერ ჩავთვლით საზოგადოებრივი ფორმაციის სინქრონულ — უშუალოდ ამსახველ სიუჟეტად. ეს იმის გამო, რომ ხალხური წიგნის მხოლოდ ოთხ რედაქციას ვიცნობთ ჯერჯერობით, თანაც აქამდე ფიქსირებული არ არის უშუამავლად აღიარებული ქართული ფოლკლორული რედაქცია. ამავე დროს იმაზეც უნდა ვიფიქროთ, რომ კავკასიის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში გასულ საუკუნემდე შემორჩენილ-გაძიძავეების ჩვეულების გამოხატულება სათანას მიერ ბავშვის აღსაზრდელად სხვის ოჯახში მიყვანა.

აქ არანაკლებ მნიშვნელოვანი უნდა იყოს ეპოსის ევოლუციის ერთი ტენდენცია, რომელსაც ა. ბიზირიოვი მიიქცია ყურადღება: „ახსართაკავების ტონის უკანასკნელი, მეოთხე თაობის შესახებ არსებული თქმულებების ციკლი ახალგაზრდა გმირთა ცხოვრებაზე მოგვიტხრობს, იმაზე, ვინც ვერ მიაღწიეს თავიანთი ცხოვრების დაისს და ადრეულად დაიღუპნენ. ...ნართების მთელ ტომთან ერთად. რაღაც ბოროტი ბედისწერა დასწოლია თავს ურიზმაგის ვაჟებს: პირველი მათგანი მამის ხელით იღუპება. თანაც მთავარ საგმირო საქმეს — თერქ-თურქების განდევნას სიკვდილის შემდეგ ახერხებს“ [6, 453].

აქ დროული იქნება, დავუბრუნდეთ ვ. აბაევის ზემოთ ნაჩვენებ მოსაზრებას ანტიკური პარალელის, კრონოსისა და ზევსის თაობაზე. უკვე ითქვა, ეს

ერთი შეხედვით მნიშვნელოვანი კავშირი, სინამდვილეში მხოლოდ ზედაპირული, უფრო ზუსტად, მოჩვენებითია. სინამდვილეში ბერძნულ მითში იმის შესახებ კი არაა ლაპარაკი, რომ კრონოსი ფატალურად კლავს საკუთარ შვილებს, არამედ „საკუთარი შვილის მოკვლა“ აქ სავსებით ცნობიერი და წინასწარგანსაზღვრულია. ამნაირად ეს თემა მთლიანად საპირისპირო ნიშნების მატარებელი არის, ვიდრე „უროზმაგის უსახელო (უცხო) ვაჟის“ თქმულება. ზევსი ცოცხალი რჩება. იგი, ღმერთების ახალი თაობის წინაპარი, ცვლის კრონოსს. არაფერი ამის მსგავსი არ გვხვდება ნართულ ეპოსში! (აღსანიშნავია, კრონოს-ზევსის მითოლოგიის ტიპოლოგიური პარალელი მართლაც გვხვდება კავკასიურ, ასევე ოსურ ფოლკლორშიც და შეუძლებელი არ არის, რომ სწორედ ეს ტრადიცია აფერადებდა ჩვენ მიერ გაანალიზებულ საგმირო თქმულებებს, მაგრამ მის უშუალო კავშირზე ვერაფერს ვიტყვით).

„საკუთარი შვილის ფატალური მკვლელობის“ თემის კიდევ ერთი შესაძლებელი (ალბათ, ყველაზე სარწმუნო) წყარო „როსტომის თქმულება“ და მისი ფოლკლორული ვარიანტები არის, თუმცა ე. მელეტინსკი საკმაოდ დამაჯერებელი არგუმენტებით (უფრო სწორად — დედუქციით) ცდილობდა მის უარყოფას [18, 62].

ამ თქმულებისა და განხილული უროზმაგის ციკლის ერთიანობის საკითხში ჩვენ ვადაპყვევებ მნიშვნელობას ვანიჭებთ ისტორიულად წარმოშობილ ქართულ-ოსურ სამხედრო, სავაჭრო, დინასტიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ურთიერთობათა განსაკუთრებულად ინტენსიურ დინებას. დამახასიათებელია, ეს კავშირები შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიული შეგნებისთვის, თითქმის ხალხთა ეთნოგენების გარეგანადაც იღებენ საწყისს. სათვალავი არ ვაჩნია ოსურ სულიერ კულტურაში შესამჩნევ ქართულ ნასესხობებს. მე-19 საუკუნემდე ოსებს არ შეუქმნიათ წერილობითი კულტურა (ქართველებს არა უგვიანეს მე-4 საუკუნიდან გააჩნიათ ლიტერატურა); ამის გამო ეს კონტაქტები, — ნასესხობანი რა წყაროდანაც არ უნდა მომდინარეობდნენ, — უშუალოდ ზეპირმეტყველების გზით გადადიოდა და ფოლკლორულ ტრადიციებს ამდიდრებდა. ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ [3, 13—14; 7, 138—174; 8, 181—198] არსებობს რუსთაველის, მე-12 საუკუნეში შექმნილი საგმირო-რომანტიკული ეპოსის „ვეფხისტყაოსნის“ ოსური ფოლკლორული ვარიანტი, აგრეთვე ამირან-დარეჯანის ისიც (ბუნებრივია, არსებობს რუსთაველის ეპოსის ქართული ფოლკლორული რედაქცია).

ფირდოუსის გენიალური ქმნილების მდიდარ ფილაციას ვხვდებით ქართულ ლიტერატურაში და ფოლკლორში. განსაკუთრებით როსტომის ციკლია ამ მხრივ პოპულარული. სრულიად დამარწმუნებელია ქართული ფილოლოგიის განსაზღვრებანი, რომ ქართულ ზეპირსიტყვიერებაში უკვე არსებობდნენ ირანული ეპოსის ისეთი ქმნილებანი, რომლებიც ფირდოუსის ნაწარმოებების წყაროები იყვნენ; და სიტყვიერი კავშირი საქართველოსა და ირანს შორის მომდევნო საუკუნეებშიც არ შეწყვეტილა. აქ საქმე გვაქვს ფოლკლორისა და ლიტერატურის საოცრად რთულსა და შეკავშირებულ, უმაღლესი დონის ურთიერთმიმართებითი კავშირის სისტემასთან [16, 323—338].

აღნიშნულის შემდეგ არაფერი გასაოცარი არ არის იმაში, რომ ქართულმა ლიტერატურულმა პროდუქციამ და ფოლკლორულმა ტრადიციამ გველენა მოახდინა ოსურ ხალხურ პოეზიაზე, რომ როსტომის სახემ და მისმა საგმირო საქმეებმა აქაც პოვეს გამოხმაურება.

დასასრულ, გვიხსენით ერთი, აგრეთვე ირანული წარმოშობის, უზარმაზარი მოცულობის რაინდული რომანი, რომელიც ქართულ-ოსური ფოლკლორული ციკლის საწყისად იქცა. ესაა ქართული „ყარამანიანი“ (ირანული ყაპრამან-ნამე), მე-18 საუკუნის ბოლოს თარგმნილი სპარსულიდან [16, 354—355; 3, 142—147], შესაძლებელია სწორედ იმ დროს, როცა დასტანი „ბაღდადელი მეფის ამბავი“ იქნა გადმოთარგმნილი. ჩვენი ჰიპოთეზის თანახმად იგი გენეტიკურადაა დაკავშირებული ურიზმაგის განხილულ თქმულებასთან. არ შევცდებით, თუ ცილევ ერთხელ ვესვამთ ხაზს იმ ფაქტს, რომ ამ თქმულებას ოსურის გარდა ნართული ეპოსის სხვა არც ერთი ეთნიკური ვარიანტი არ იცნობს!) ამ უკანასკნელს ქართულ-ოსური ფოლკლორული კავშირების ზევით მოხაზულ დინებას მივაკუთვნებთ და საგმირო თქმულების წყაროდ ირანულ-ქართულ ხალხურ წიგნს ჩავთვლით.

„ურიზმაგის უსახელო (უცხო) ვაჟის“ თქმულების შემოქმედებით-ისტორიული ევოლუცია შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვყალიბოთ.

ურიზმაგი, სახელის მიხედვით, ირანულ-ოსური ტოტემური წარმოშობისაა (სახელი ძველი ირანული სიტყვიდან „ვარაზა“ „გარეული ტახი“ მომდინარეობს [1, 25—26]; მითურ-პეროიკული სახის ფორმირება სინკრეტიული ხასიათისა უნდა ყოფილიყო (ამ ტიპის ანალიზი ჭერ კილევ მომავლის საქმეა). ნართული ეპოსის გმირების გენეალოგიის მოწესრიგების პერიოდში (დაახლოებით მე-13—14 საუკუნეებიდან მოყოლებული) ურიზმაგს უნდა შეესრულებინა პატრიარქის — ეროვნული გმირის — ოჯახის უფროსის ასევე სინკრეტული როლი. ბუნებრივია, აქ შედარებით სხვა ხარისხის სინკრეტიზმზეა ლაპარაკი, ვიდრე მითური აზროვნების სტრუქტურაში ვხვდებით. როგორც ტიპმა, ურიზმაგმა განვითარების დონის მხრივ საკმაოდ უკან ჩამოიტოვა „გმირული ეპოქა“ და ანალიტიკურ-ისტორიულად აზროვნებს და რეაგირებს სოციალურ პრობლემებზე. ფოლკლორის ევოლუციის ამ მონაკვეთზე რებრეზენტულ ჟანრებად გვევლინება: ისტორიული სიმღერა, კლასიკური ბალადა, ზღაპარი თავისი მრავალსახეობით, ყოველდღიური თემატიკის ამსახველი ანეკდოტები და სხვა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში — საგმირო ეპოსი.

ახლა თვალი გადავავლოთ ოსური საზოგადოებრივი განვითარების ამ გვიან, ფეოდალურ ხანას. ფეოდალიზმის არსებობის პირობები აქ სხვა იყო, ვიდრე შუა საუკუნეების ევროპაში. პატრიარქალური თაობების რიცხოვრები ზრდის დროს, ეროვნებათა პერმანენტული შეჯახების პერიოდში მხოლოდ და მხოლოდ პიროვნულ ავტორიტეტებზე დამყარებული „მოხუცების“ ძალაუფლება უფრო და უფრო სუსტდებოდა. სამაგიეროდ ერისა და ტომის სტრუქტურაში საგრძნობლად დიდ როლს თამაშობენ სამხედრო მეთაურთა ესკორტის წევრები და თვით ესკორტი, რომელიც ვითარცა გაერთიანება ხალხს მოწყვეტილი იყო. ასეთ ვითარებაში იშვიათი იყო საკუთარი ხალხისგან განდევნილთა მთავრებად გახდომა. (ნართული ეპოსი არცთუ იშვიათად უსვამს ხაზს ურიზმაგის „უცხოობას“, მისი ავტორიტეტიც თავიდანვე მტრულ განწყობილებას იწვევს). გაბატონებული ფეოდალური კლასი იძულებული ხდებოდა, ანგარიში გაეწია ერის ცხოვრებისეული ტრადიციებისა და იდეოლოგიისთვის. ამას თვალსაჩინოდ ასახავს როგორც ფოლკლორი, ისე თითქმის ჩვენს დღეებამდე მოღწეული ადამიანთა ურთიერთობის ნორმათა სისტემები [10, 198].

ფეოდალურმა საზოგადოებრივმა ურთიერთობებმა და მათმა შესატყვისმა იდეოლოგიურმა სისტემებმა გახადეს შესაძლებელი, ერთი მხრივ, ურინზმავის არქაული სახის შემონახვა და შემდგომი ევოლუცია საგმირო ეპოსის ჩარჩოებში; მეორე მხრივ, „ანალიტიკურ-ისტორიული“ აზროვნების შესატყვისი ესთეტიკური სტრუქტურა სათანადო ეპიკური მასალის შერჩევას მოითხოვდა ტრადიციების მაცოცხლებელთაგან. ამიტომაც კანონზომიერია ის მასალა, რაც ურინზმავის ციკლის მაგალითზე ვნახეთ. აქ არის „საერთაშორისო ზონგტიალე“ ეპიკა, ზღაპრები, თქმულებები, ანეკდოტები, მის თემატიკას შეადგენს: ოჯახური ურთიერთობანი, ოჯახის რეაბილიტაცია, მისი როლის იდეალიზაცია.

ეს კი კოლექტიური შემოქმედების უბაღლო გენიალურობაზე მიუთითებს.

დასახელებული ლიტერატურა

1. В. И. Абаев, Нартовский эпос, Известия Северо-Осетинского научно-исследовательского института, том X, вып. I, Дзауджикау, 1945.
2. В. И. Абаев, Проблемы нартовского эпоса, сборник „Нартский эпос“, Материалы совещания 19—20 окт. 1956, Орджоникидзе, 1957.
3. В. И. Абаев, «Даредзидановские» сказания у осетин, Амраш, Осетинский эпос, Москва-Ленинград, 1922.
4. А. И. Алиева, Адыгский нартовский эпос, Москва-Нальчик, 1969.
5. А. А. Аниба, Вопросы поэтики нартовского эпоса, Тбилиси, 1970.
6. А. Х. Бязилов, К вопросу о круге осетинских нартовских сказаний, Сборник сказаний о нартах — эпос народов Кавказа, Москва, 1969.
7. მ. ნ. ქოჯანი, ქართული ეპოსი, წიგნი II, თბილისი, 1965.
8. М. Я. Чиковани, Народный грузинский эпос о прикованном Амيرانе, Москва, 1966.
9. У. Б. Далгат, Героический эпос чеченцев и ингушей, Москва, 1972.
10. Н. М. Дрягин, Лишвиные мотивы нартовского эпоса, Тристан и Изольда, Ленинград, 1932.
11. G. Dumézil, Les légendes sur les Nartes, Paris, 1930.
12. А. М. Гадагатль, Героический эпос Нарты и его генезис, Краснодар, 1967.
13. ა. გვახარია, სპარსული ხალხური პროზის ისტორიიდან (დათანგბი), თბილისი, 1973.
14. Ш. Д. Инал-Ипа, Исторические корни древней культурной общности кавказских народов (опыт сравнительного изучения нартовского эпоса). Сб.: Сказания о нартах — эпос народов Кавказа, Москва, 1960.
15. А. Б. Кялов, Осетины (историко-этнографическое исследование), Москва, 1957.
16. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ძველი ლიტერატურა, II, თბილისი, 1958.
17. Е. И. Крупинов, Древняя история Северного Кавказа, Москва, 1960.
18. Е. М. Мелетинский, Место нартовских сказаний в истории эпоса, сбор. Нартский эпос, материалы совещания 19—20 окт. 1956 г., Орджоникидзе, 1957.
19. Е. М. Мелетинский, Происхождение героического эпоса, Москва, 1965.
20. Нарты, Эпос осетинского народа, Москва, 1957.
21. Нарты, адыгский героический эпос, Москва, 1974.
22. Ш. Х. Салакья, Абхазский народный героический эпос, Тбилиси, 1966.
23. Сказания о нартовских богатырях, Осетинский эпос, Москва, 1966.
24. А. Т. Шортанов, Героический эпос, «Нарты», Сказания о нартах — эпос народов Кавказа, Москва, 1969.
25. И. В. Тресков, Фольклорные связи Северного Кавказа, Нальчик, 1963.

უნგრეთის მეცნიერებთა აკადემიის ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილება, ქ. ბუდაპეშტი

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებთა აკადემიის შ. რუსააკელის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

მეხე ლავითაჲ

ანტიფონური შესრულების ტრადიციები ზეპირსიტყვიერებასა და ხალხური შემოქმედების მომიჯნავე ღარბებში

სინკრეტიზმი პირველყოფილი ხელოვნების არსებობის მთავარ ფორმას წარმოადგენდა¹ და მან სხვადასხვა ხალხის ცხოვრებაში სხვადასხვანაირი ასახვა ჰპოვა. ქართულ სინამდვილეში სინკრეტული ხელოვნების ნათელ გამოხატულებას წარმოადგენს ჩვენამდე კარგად შემონახული საფერხისო სიმღერა „სამაია“², მეგრულ-გურული „მზე შინა“³, შაირის სახელწოდებით ცნობილი სვანური ფერხული⁴, აჭარული ჩეჩვისა და რთვის („ო მ ნ ა ნ ი და ნ ა ნ ა“), საქორწილო („საეკური“ — „ჰა მ ნ ა ნ ი“, „ნ ა ნ ი და ნ ა ნ ა მ“ „ოჰო მ ნ ა ნ ა“)⁵, საძეობო („ნ ა მ ნ ა მ“, „ნ ი ნ ა მ ნ ა“)⁶, საფერხისო სიმღერები და სხვა.

ერთ-ერთი აჭარული საფერხისო სიმღერის შესრულება ასეა აღწერილი: „გაყოფილი ვიყავით ქალები და კაცები. ხან კაცები დემწყებდენ, ხან ქალები. ორ-ორ თულათ ვიყავით დაყოფილი. ამ ქალებს ერთი მეთავე ყავდათ. ეს მეთავე რომ ლექსს იტყოდა, ერთი თული (რომელშიც სამი კაცი შედიოდა) მუბანებდა, მემრე მეორე აართმევდა. ზოგიც ამ სიმღერის დროს სამობდა. ვინც არც მღეროდა და არც სამობდა, ის ტაშს არტყამდა“⁷. როგორც ვხედავთ, აქ საქმე გვაქვს შესრულების აშკარა სინკრეტულ ხასიათთან. ეს ნიშნები ასევე ნათლად აქვს გამოხატული ჩეჩვისა და რთვის საფერხისო სიმღერებს.

გუნდური სინკრეტიზმის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ლაზურში დაცული გუნდური შეჯიბრის ტრადიცია: „ქალთა და მამაკაცთა ორგუნდოვანი ნადური სიმღერის დროს იწყება შეჯიბრება („გეჭგინაშა ბირაფა“ — სიმღერაში შეჯიბრება). მთავარ ფიგურებს კორიფეები წარმოადგენენ, ისინი ექსპრომტად თხზავენ საპასუხო ლექსებს და იქვე ჩუმად კარნახობენ თავიანთ გუნდს. გუნდი კორიფეს ნაკარნახევს სიმღერით იმეორებს“⁸.

ლაზურ ნადში, სააპეროდ გაყოფილ ჯგუფებში შეყვარებული ქალ-ვაჟი რომ მოხედებიან, მამაკაცთა კორიფე თხზავს და ჯგუფს ვაჟის სათქმელს ჩუ-

1 მ. ჩიქოვანი, ქართული ფოლკლორი, თბ., 1946, გვ. 39.

2 ა. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, „სამაია“, ქუთნ. „ცისკარი“, 1861, № 11.

3 შ. ა ს ლ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, ნარკვევები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ, I, თბ., 1954, გვ. 260.

4 ელ. ვ ი რ ს ა ლ ა ძ ე, ქართული ხალხური სატრფიალო ლირიკის ძირითადი სახეობანი, „ლიტერატურული ძიებანი“, მ, თბ., 1958, გვ. 288.

5 ა. მ ს ხ ა ლ ა ძ ე, აჭარის საოჯახო-საწესჩვეულებო პოეზია, ბათუმი, 1969, გვ. 91.

6 იქვე, გვ. 29.

7 ე. ზ ო ი ძ ე, გაშიორების ტრადიცია აჭარაში, ქუთნ. „ჰორიხი“, №5, გვ. 86, 1971.

8 ზ. თ ა ნ დ ი ლ ა ე ა, ლაზური ხალხური პოეზია, ბათუმი, 1972, გვ. 28.

ნად კარნახობს, ხოლო ქალთა კორიფე—ქალის სათქმელს. აქ „ნოდერიქ ყორიფელი ბიჭი და ეულანში ჰაჯით ღარღარათს—ნადი შეყვარებული ქალ-ვაჟის პირით ლაპარაკობს“⁹, რაც ქალ-ვაჟის შეფარვით გაშიარებას წარმოადგენს. ლაზურ ქორწილში სრულდება მენავე-მაყრების დიალოგური ლექს-სმღერები, რაც თავისი ბუნებით გუნდური გაშიარებაა¹⁰. სიმღერა-დიალოგები იმართება აგრეთვე ქალთა და მამაკაცთა გუნდებს შორის. ერთ-ერთი ამგვარია საქორწილო საცეკვაო სიმღერა „უჩა ბიჭი“ („შაგი ბიჭი“)¹¹, რომელიც ცეკვასთან ერთად სრულდება. გუნდური გაჯიბრების აღნიშნული ნიმუშები შესრულების ანტიფონური ჩასიათით სინკრეტიზმის თავისებური გამოხატულებაა.

ლაზურ გაშიარებაში შენონახული კორიფეს გადაამალვის ფაქტი საყურადღებოა თავისი იშვიათობით. ეს ეპიზოდი ავსებს განვითარების ჩავარდნილ საფეხურს: გუნდური ანტიფონია—ფსევდოგუნდური ანტიფონია (კორიფეს გადაამალვის გამო) — ინდივიდუალური ანტიფონია. კორიფეს გადაამალვა კი ის მომენტი უნდა იყოს, როცა გუნდური სინკრეტიზმი ჯერ კიდევ არაა დაშლილი, თუმცა, ძველი უცილობლობა დაკარგული აქვს. განვითარების შენდგომ საფეხურზე კორიფეებმა მოიპოვეს სააშკარაოზე გამოსვლის უფლება, რაც გუნდური სინკრეტიზმის საბოლოო დაშლას მოასწავებდა.

გარდა გუნდური გაბაასება-დიალოგისა. ცნობილია გუნდისა და კორიფეს გაბაასება-დიალოგი. ამის ნიმუშია. მაგალითად. აჭარულში დაცული პატარძლისა და გუნდის გაბაასება-დიალოგი:

- მაე აბრეშუმის საყაბე კ-ნ მოგიტანა?
- ჩემმა აღამ. საყვარელმა, მან მოგიტანა.
- ყურზე საყურე გიღია, ენ მოგიტანა?
- ჩემმა ჯანამ. საყვარელმა, მან მოგიტანა.
- ხელზე საათი გაბია, ენ მოგიტანა?
- ჩემმა აღამ. საყვარელმა, მან მოგიტანა.
- თითზე ბეჭედი რომ გაქვა, ენ მოგიტანა?
- ჩემმა ჯანამ, საყვარელმა, მან მოგიტანა¹².

ესაა საქორწილო ფერხული, რომელიც საპატარძლოსთან გამოშვებობების დროს სრულდებოდა. შესრულების წესი სინკრეტულია: „ახალგაზრდა ქალებს პირბადეჩამოფარებული, აცრემლებული საპატარძლო წრის შუაში ჰყავთ ჩაყენებული, ნელ-ნელა წრეს უვლიან და ლექსებს უმღერიან“¹³. წარმოდგენილ ნიმუშში გუნდისა და კორიფეს გაბაასება-დიალოგი თავისი ანტიფონური შესრულების ჩასიათით ცნობილ „მზე შინა“-ს ემსგავსება და უთუოდ აღრინდელ პერიოდს მიეკუთვნება.

ანტიფონია თანაბრად დამახასიათებელია საქართველოს ყველა კუთხის ზეპირსიტყვიერებისათვის. იგი ასევე შენარჩუნებულია ძველ ქართულ ტერიტორიებზეც, როგორცაა შავშეთ-კლარჯეთი¹⁴. ანტიფონური შესრულება ასევე გავრცელებული იყო ძველი და საშუალო საუკუნეების მსოფლიოს სხვა

9 ზ. თ ა ნ დ ი ლ ა ე ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 30.

10 იქვე, გვ. 125.

11 იქვე, გვ. 133.

12 ა. მ ს ხ ა ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 10.

13 იქვე, გვ. 60.

14 Н. Марр. Дневник поездки в Шапшети и Кларджети, ТР, Свб., 1911, гв. 53.

ხალხებშიც. მაგალითად, საბერძნეთში საგალობლები და სიმღერები ჩვეულებრივი გუნდების მიერ სრულდებოდა კითარისა და ფლეიტის აკომპანიმენტით და სოლისტების ჩართვით, რომლის დროსაც ხშირად რამდენიმე გუნდი ერთმანეთს ეჯიბრებოდა; ატიკაში გავრცელებული „სქოლიოები“, რომელიც *versibus alternis opprobria ructica* და გალექსილი „ედლა“, გერმანიაში გავრცელებული ფერხულის ფორმა, რომლის დროსაც ქალები და მამაკაცები პაექრობდნენ და ა. შ. საშუალო საუკუნეებში ვირგილიუსისა და ჰორაციუსის, აგრეთვე ხალხური სასიმღერო ანტიფონიზმის გავლენით პროფესიონალმა პოეტებმაც დაიწყეს ანტიფონური ნაწარმოებების შექმნა¹⁵.

ამებზეურ-დიალოგური წესით სრულდებოდა აგრეთვე ეპიკური ქმნილებებიც, მაგალითად, პოენა როლანდზე¹⁶ ანდა ქართული „მაღლა მთას მოდგა“ და „ეთერიანი“¹⁷.

გაჯიბრება-დიალოგს ადგილი აქვს რუსულ და გერმანულ საგაზაფხულო სიმღერების შესრულებისას, ფრანგულ და ესტონურ ქორწილში, დანიის, ბავარიის, ავსტრიის, ისლანდიის და სხვა ქვეყნების მკვიდრთა შორის სხვადასხვა საყოფიერო და საწესჩვეულებო ტრადიციებთან დაკავშირებით¹⁸.

როგორც ვხედავთ, ანტიფონური შესრულება პირველყოფილი სინკრეტიზმისათვის საერთოდ დამახასიათებელ მოვლენას წარმოადგენდა. სინკრეტიზმის რღვევის შემდეგ, როგორც ცნობილია, მისმა შენადგუნელმა ნაწილებმა (მუსიკა, ცეკვა, სიმღერა) ცალ-ცალკე არსებობა განაგრძეს. საინტერესოა, დაშლისა და ცალ-ცალკე გამოყოფის შემდეგაც თითოეულმა მათგანმა თავისებურად შეინარჩუნა სინკრეტიზმისდროინდელი ანტიფონურობა. აქედან მივიღეთ მოგვიანებით ლექსში შეჯიბრების, ანუ გაშაირება-დიალოგის, სხვადასხვა სახე: კათა, გუნდის ბანის ფონზე ორ სოლისტს შორის ლექსებით შეჯიბრება, ორი სოლისტის გაშაირება-შეჯიბრი გუნდის გარეშე¹⁹ და სხვა. გაშაირება-დიალოგის ამგვარ წარმოშობაზე მიგვანიშნებს ზეპირსიტყვიერების ისეთი პოეტურა ნიმუშები, რომლებიც შეიძლება შესრულდეს როგორც გუნდურად, ისე ინდივიდუალურადაც. პროფ. მ. ჩიქოვანი მსგავს ნიმუშად ასახელებს ფშავურ ლექსს „სიყვარული ვაყიკასი და ზეარამზისა“²⁰.

ანტიფონურ ნიმუშებადაა მიჩნეული აგრეთვე საყოფიერო ლექსები: „კოსია, ვისია ქალი ლამაზია“, „ქალო კრულო“, „გოგოვ შეჩერდი ერთ წაშა“. ამათ გვერდით შეიძლება დავასახელოთ აჭარული „წყალს ნათობი ჩაიოპქონდა“.

შეარსულების ხალხურ ტრადიციებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ვუნდური სინკრეტიზმის დაშლის შემდეგ ანტიფონური შესრულების სახე შეინარჩუნა არა მხოლოდ დიალოგურმა პოეტურმა ტექსტმა (გაშაირება მელოდიის გარეშე) და სიმღერამ, არამედ ისეთმა დარგებმა, რომელთა შესრულებაც ხშირად ყოველგვარი პოეტური ტექსტის გარეშე ხდება (მუსიკა, ცეკვა).

რამდენიმე სიტყვით ჩვენ აქ შევჩერდებით სიმღერაში, დაკვრასა და ცეკვაში გაჯიბრებაზე, როგორც გაშაირება-გაბაასების ტრადიციის წანამძღვრებზე.

¹⁵ ვ. კოტეტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 341—342.

¹⁶ A. H. Бессоновский, *Собрание сочинений*, т. I, Петербург, 1913, гл. 109—129.

¹⁷ იხ. ვ. კოტეტიშვილი, დასახ. ნაშრომი.

¹⁸ ვრცლად იხ. A. H. Бессоновский, დასახ. ნაშრომი, გვ. 109—129.

¹⁹ ვ. ვირსალაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 288.

²⁰ მ. ჩიქოვანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 262.

შრომის პროცესში ნაღური სიმღერების შესრულებისას კომპლექტის მხარეში ხშირად იმართებოდა თურმე სიმღერა-გაჯიბრებანი: „ნაღში ხდებოდა შეჯიბრება „გადაკიდება“ ხმასა და ცოდნაში: მთქმელი მთქმელს გადააკიდებოდა. ვამყივანე — ვამყივანეს, შემხმობარი—შემხმობარს, ბანი—ბანს და სიმღერა უფრო საინტერესო და მიმზიდველი ხდებოდა“²¹.

სოფელ ლიხაურის მკვიდრის 80 წლის რაჟდენ დავითის ძე გორდეღაძის გადმოცემით, კომპლექტურ ნაღს სანახაობითი მხარის გამო მოსაზღვრე გურიის სოფლებიდანაც ესწრებოდნენ თურმე²². სიმღერაში გაჯიბრებას ზოგჯერ იმდენად აზარტული სახე მიეცემოდა, რომ ნაღი სამუშაოს მოსცდებოდა. ამის გამო ნაღს წინასწარ გამოყოფილი ჰყავდა ზედამხედველი, რომელსაც „ხელმომყრავი“ ეწოდებოდა. „ყანა რომ გათავდებოდა იმ ხელმომყრავს თოხზე დასმიდნენ, იქიდან-აქიდან მოკიდებდნენ ხელს, ასწევდნენ და წეიყვანდნენ სახლისკენ, საპართო“²³, — იგონებს მთქმელი.

რა პრივილეგია ენიჭებოდა გამარჯვებულ მხარეს, რაში მდგომარეობდა „გადაკიდების“ აზრი და მიზანი?! გარდა იმისა, რომ მომღერალ-შემსრულებელი აზტყივებდა თავის უპირატესობას სხვა შემსრულებელთა მიმართ, გამარჯვება მას გარკვეულ უფლებებსაც ანიჭებდა: მუშაობის დაწყებისას შეეძლო აერჩია კარგი ნაპირი, სადილის დროს მოხერხებულ ადგილას დამჯდარიყო სუფრასთან, პირველს გადაეღო კერძი და სხვა. გამარჯვებულს მასპინძელი სხვებისგან გამორჩევით დამატებით კერძს ან შარბათსაც მიაზომევდა ხოლმე.

ნაღური სიმღერების შესრულებაში გაჯიბრებას სოფელ ხალას მესოერები, 84 წლის ხუსეინ კონცელიძე ასე აგვიწერს: „ძველათ იყო ნაღური სიმღერები: ხელთახვაი, ხასანბეგურაი, გორდეღაი, ნიანაერულაი, ყაზანაი, ჯიქურაი; მომღერლები ჯგუფ-ჯგუფად მღეროდნენ. ერთი რომ დაასთავებოდა, მეორე დეიწყებდა. ნაპირის თავში იყო მოხარშული ხარის თავ-ფეხი. რომელი მომღერლებიც მიეგებდა, იმას ერგებოდა საჭმელათ“²⁴.

სიმღერაში გაჯიბრებისას გამარჯვებულს, ხალხი ისევე აფანანს ვა პატივს სცემს, როგორც გამარჯვებაში გამარჯვებულს. როგორც პირველ, ასე მეორე შემთხვევაში ძლიერის აღიარებასთან გვაქვს საქმე. სიმღერაში შეჯიბრი მთელ დღეს არ წყდებოდა და ზოგჯერ სამუშაოს დამთავრების შემდეგაც გრძელდებოდა: „დილიდან მოყოლებული საღამომდე მომღერლები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სიმღერის ცოდნაში, ხოლო საღამოს, შრომის დამთავრებისას, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. „გადაკიდებოდნენ“ ხოლმე ხმაში, ხმით დამღევაში“²⁵.

სიმღერაში გაჯიბრება ზოგადღარტული სინამდვილისათვის დამახასიათებელი მოვლენაა. ცნობილია ლეგენდა შაშვეთელი დარისპანისა და კაკაბეთელი თედოს პაქრობის შესახებ, რომელიც თურმე რამდენიმე დღეს ვაჭარტლებულა და, ხალხის გადმოცემით, ერთობ სევდიანადაც დასრულებულა. სიმღერაში დამარცხებული კაკაბეთელი თედო უზბო-უეკლოდ გადაკარგულა, ხოლო შაშვეთელს ამის გამო სიმღერაზე საერთოდ ხელი აუღია. ამ მომხბლავ ლეგენ-

²¹ ქ. ნოღაიღელი, ნარკვევები და ჩანაწერები, I, ბათუმი 1971, გვ. 157.

²² ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (შემოკლებით: ბსკი) ფონდ. 2. საქმე 72, გვ. 59, 1963.

²³ ბსკი, ფ. 1, ს. 71, 1963.

²⁴ ბსკი, ფ. 1, ს. 59, გვ. 118, 1961.

²⁵ ქ. ნოღაიღელი, დაახ. ნაშრომი, გვ. 157.

დაწე ხალხს ლექსი გამოუთქვამს. რომელიც შემდეგ სიმღერად ქცეულა და „შაშვი-კაჯახის“ სახელწოდებით გავრცელებულა: მასში პოეტური გაპიროვნებით მოხდენილადაა ასახული ადამიანური ყოფა, ჩაქსოვილია სიმღერისადმი ქართული კაცის დაუცხრომელი ტრფიალი, მისი ამაღლებული ბუნება და კეთილშობილური ხასიათი.

სიმღერაში გაჯიბრების ტრადიცია კოლექტიური შესრულების ერთ-ერთი სახეა და შედარებით სრული ფორმით ქართული შრომის სიმღერებშია შემონახული. სიმღერის ანტიფონური შესრულება საქართველოში საერთოდ არ არის უცხო. პროფ. მ. ჩიქოვანი მიუთითებს: „ლექსებში „ნაღუსს“ თოხნის დროს ორი ნახევარგუნდი მღერის, როცა ერთი დაასრულებს. მეორე ჩამოართმევს“²⁶ და იქვე შენიშნავს, რომ ანტიფონურ შესრულებას დასავლეთ საქართველოში „ორბუნი“ ეწოდება.

სიმღერაში გაჯიბრებას ქორწილშიც ვხვდებით. საქორწილო-სუფრულ სიმღერებთან დაკავშირებული ზოგიერთი მომენტი შემღერება-შეჯიბრების თვალსაზრისითაც საყურადღებოა. სიმღერაში შეჯიბრი სუფრასთან დაჯდომამდეც იმართებოდა აქართულ ქორწილში. იუსუფ მემედის ძე ბეჟანიძის (ქედის რაიონი, სოფელი მერისი, 68 წლის) გადმოცემით. სიმღერაში გაჯიბრება ხდებოდა ჯერ კიდევ სიძის სახლთან პატარძლის მიყვანამდეც: „ექვს-ექვსი კაცი, კაი მომღერალი გოგოს და ბიკის მაყარში იქნებოდა და სიმღერაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ“²⁷.

აჭარის მთიანეთში გამართულ ქორწილებზე ხშირად შევსწრებოვართ სუფრის წევრთა ცალ-ცალკე მომღერალ ჯგუფებად გაყოფას და სიმღერაში გაჯიბრებას. ჯერ ერთი ჯგუფი წამოიწყებს რომელიმე სიმღერას და სხვები უსმენენ. შემდეგ სუფრის სხვა კუთხიდან გაისმის სიმღერა, ბოლოს ისევ პირველი იტყვის და ა. შ. შესარჩობებულ მომღერლებში ამ დროს პოეტური პაექრობის ენის აღვიძებს და რიგრიგობით შეხმიანება თანდათან ურთიერთგაჯიბრებაში („ვალდომში“) გადაიზრდება. მღერთან სხვადასხვა სიმღერას. გაჯიბრების დროს დაპირისპირებულმა მხარეებმა შეიძლება ერთი და იგივე სიმღერაც შეასრულონ. ეს ხდება უფრო მაშინ, თუ ერთი მხარე მეორის შესრულებულს დაიწუნებს. ამ დროს ისინი თავად ასრულებენ იმავე სიმღერას უკეთესად და ამით ხაზს უსვამენ თავიანთ უპირატესობას. ხშირად სიმღერაში გაჯიბრება იმდენად აზარტულ ფორმას იღებს, რომ სუფრის თავს უჭირს „ხელქვეითთა“ დამორჩილება და „ფრჩთა“ დასაშოშმინებლად სუფრის უმაღლეს სასჯელს—„ღვინის ჩარმას“ მიმართავს. სიმღერაში გაჯიბრება ხდება უძეტესად მეფისა და დედოფლის მსლებლებს შორის (იელი და მაყარი). გამარჯვებულ მხარეს მასპინძელი განსაკუთრებული კერძით უმასპინძლდება.

აქართულ ქორწილში, გარდა გუნდური პაექრობისა, გაჯიბრება იციან აგრეთვე პროფესიონალმა მომღერალ-შემსრულებლებმაც. ნეფის მხარის მომღერალ-შემსრულებლები (მეგარმონე, მელოლე, მეკიბნე, მეღუღუე) ეჯიბრებიან დედოფლის მხარისას. გაჯიბრება ხდება როგორც სიმღერაში, ისე დაკვრაში. დაკვრაში გაჯიბრება მუსიკალური პაექრობის მეტად საინტერესო სახეა. აი, როგორ აგვიწერს მას 62 წლის შთქმელი, სოფელ რიყეთის მკვიდრი რამიზ მემედის ძე გიორგაძე: „ზოგჯერ ერთ ქორწილში ორი მეკიბნე შეიყრიდა თავს.

26 მ. ჩიქოვანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 43.

27 ა. მ. ს. ხალაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 66—67.

ხან ერთი დუკრევედა, ხან მეორე. ერთი რომ მეიღებოდა, მეორე დუკრევედა. რომელცხას კიბონი გუმართლებდა, ის იყო პირველი მეჭიბნე, ხარისხიანი. ყველას უნდოდა მე ვაჯობო... ტაბახმელას, ქორწილში, მე და ქოჩახელია²⁸ შევხდით ერთმანეთს²⁹...

გაჯიბრებას წარსულში სახელის მოხვეჭასთან ერთად შეიძლება მუდმივი სამსახური და ლუკმა-პურიც მიეცა დამკვრელ-შემსრულებლისათვის: „მესაზღებოც იყენენ. შეჯიბრება ეწყობოდა. ვინც კარგა დაამღერებდა. იმას ბეგები წიფიყვანდენ ხიზმეთქრად (მოსამსახურედ) და ორ-სამ წელს იყო ბეგთან“³⁰. მსგავსი გაჯიბრებანი ამჟამადაც ეწყობა აჭარაში, გამარჯვებულის შეფასებას და აღიარებას უმეტესად თვითონ შესუფრენი კისრულობენ და მას ფულსაც უხვად აჩუქებენ ხოლმე.

ცალკე შეიძლება განვიხილოთ გაჯიბრება ცეკვაში. პაქრობა ხდება როგორც გუნდურად, ისე ინდივიდუალურადაც ერთისა და იმის. ან სხვადასხვა ცეკვას შესრულებაში გაჯიბრება უმეტესად ხდება ქორწილში, უფრო მეტჯერში და ხალისი ახლავს მეფე-დედოფლის მხლებელთა შეჯიბრებას. შუახვეის რაიონის ერთ-ერთ სოფელში გამართულ ქორწილში ადგილი ჰქონდა ცეკვაში პაქრობის საინტერესო ფაქტს. სრულდებოდა პოპულარული აჭარული ცეკვა-ხორუმი. მეფის მხარემ იგი ორ საბოლოოდ წარმოადგინა (მხრებზე შეყენებით), დედოფლის მხარემ დააპირა ცეკვის სამ საბოლოოდ წარმოადგენა. მაგრამ მეფის სიმაღლემ ხელი შეუშალა განზრახვას. მაშინ დედოფლის მხარემ მასპინძელს მოსთხოვა მრგვალად გამოეჭრა სეფა. მასპინძელმა საჩოთიჩო წინადადებას თავი აარიდა და სანაცვლოდ მთხოვნელებს ყოჩი დაუქლა. ასე „დაიხსნა“ თავი მოხერხებულმა მასპინძელმა ახირებული მთხოვნელებსაგან³¹.

ცეკვაში შეჯიბრი ხდება როგორც ქალებს, ისე მამაკაცებს შორის. არსებობს ცეკვიდან თავდახსნის („გამოხსნის“) ჩვევა. ზოგჯერ მაყრიონი მოითხოვს სადელამთილოს, სამამამთილოს და სხვა საპატიო პირთა ცეკვას. თუ ამ უქანასკნელთ სხვადასხვა გარემოების გამო არ სურთ იცეკვონ, მათ მაგივრად იცეკვებს შეილი, მამა ან მახლობელი. ცნობილია აგრეთვე ცეკვაში შენაცვლების („ჩაჭრის“) ტერმინი: თუ გაჯიბრებულთაგან ერთ-ერთი იღლება ან ცუდად იცეკვავს, მას ჯერ ამხნეებენ შაირებითა და ლექსების მიმღერებით. თუ საქმეს ამითაც არ ეშველა, მაშინ შეენაცვლებიან კიდევ. შენაცვლება თვითონ მოცეკვავის ჩუმი მინიშნებით ხდება. ზოგჯერ შემცვლელი მინიშნების გარეშე თვითონ შედის წრეში, „ჩაჭრის“ იმ პირს, ვისი შეკვლაც სტრს. და თვითონ აგრძელებს ცეკვას. ასევე შეიძლება მოხდეს მოპირდაპირე ბანაკიდანაც შენაცვლებათა გამო ცეკვა გრძელ. კეცხოვან და ჟინით აღსავსე საცეკვაო ესტაფეტას მოგვაგონებს.

ცეკვაში შენაცვლება თავისი შინაარსით შორეულ წარსულს უკავშირდება. — მაგალითად. ველური ტომების მიერ „ბიზონის“ ცეკვის შესრულებისას თუ რომელიმე ველური დაიღლებოდა, იგი მეორე ველურს თავის დახრათ

²⁸ ცნობილი აჭარული მეჭიბნე და მოშირიე ედემ კოჩახელილი (სურმანიძე).

²⁹ ბსკი, ფ. 1, ს. 80, გვ. 21. ჰიბონზე დაკრავში გაჯიბრება დადასტურებული აქვს აგრეთვე ა. მსხალაძეს. იხ. მისივე: ქართული ხალხური საკრავიერი მუსიკის ისტორიიდან, თბ., 1969, გვ. 24—27.

³⁰ ბსკი, ფ. 1, ს. 80, გვ. 23.

³¹ საკუთარი მასალებიდან.

აგებინებდა, რის შემდეგაც ცვლიდნენ დაღლილს³². „ბზონის“ ცეკვის დროს დაღლილის გამოცვლა მაგიასთან იყო დაკავშირებული. მოცეკვავენი ამ შემთხვევაში ბზონებს განასახიერებენ და მას პირდაპირი კავშირი არა აქვს ცეკვაში გაჯიბრებასთან. თუმცა, ჩვენს ყურადღებას იქცევს თვითონ ცეკვაში შენაცვლების ფაქტი, რაც აჭარულ სინამდვილეში შენარჩუნებულ ცეკვაში შენაცვლებას ჩვეულის სიმძლეზეც უნდა მიგვანიშნებდეს. ცეკვაში გაჯიბრების ტრადიციის ნაყოფს უნდა წარმოადგენდეს აგრეთვე ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების მრავალფეროვნებაში ცეკვა „შეჯიბრის“ ანსებობაც. აგრეთვე კალეულ ცეკვებში (განდაგანა, ფერხული, მთიულური და სხვ.) ჩართული სოლო პარტიები, რომელთა შესრულებას ურთიერთგაჯიბრების სულისკვეთება გააჩნია.

ცეკვაში გაჯიბრების ტრადიცია არც ლაშხებისთვისაა უცხო. ნიკო მარს ცნობით, ათინელ ლაშხებში შემოჩინილი ყოფილა ჩვეულება ცეკვები ექსპრომტებთან ერთად, რაც წმინდა ლაშხად „იბიბრუ“-ს სასულწოდებათაა ცნობილი, სოლო მისი არალაშური სახელწოდებაა „ოტრადადუ“. „ორად გაყოფილი ჩვეულება რიგრიგობით ცეკვავენ. წარმოთქვამენ ექსპრომტებს და ერთმანეთს ეჯიბრებიან“³³.

ცეკვაში გამართული პაექრობა, ჩვენთვის საინტერესოა, იმდენად, რამდენადც ამ დროს ხშირია პოეტური ტექსტების ჩართვა-მიმღერება, რაც უმეტესად შაირებს წარმოადგენს. სიმღერით წარმოთქმული შაირული აკომპანეგენტი კიდევ უფრო მეტ ცეცხლოვანებას მატებს და ალამაზებს ცეკვებს. საცეკვაო პაექრობის შემდეგ დგება ყველაზე საპატიო მომენტი: მექორწილენი მეფე-დედოფლის ცეკვას მოითხოვენ. სიმბოლურია ეს ფაქტიც: მეფე-დედოფლის ცეკვა „გადაადებული“ მხარეების შემარიგებელია თითქმის და თვითონვე იქცევა ქართული ცეკვის უდიდეს ზეიმად.

ზემოთ განხილულ სიმღერაში, მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრასა და ცეკვაში გაჯიბრების ტრადიციის საწყისი ერთია და იგი ასევე პირველყოფილ სინკრეტობაში უნდა ვეძებოთ. ამაზე მეტყველებს ცეკვაში გაჯიბრების დროს მოცეკვავეთა გასამხნეებლად შაირის, ძილექსების, მიმღერების და სხვა ჩვევა.

Э. А. ДАВИТАДЗЕ

ПРЕДПОСЫЛКИ ТРАДИЦИИ ПОЭТИЧЕСКИХ ПРЕНИИ И СОВЕСЕДОВАНИИ В ГРУЗИНСКОМ ФОЛЬКЛОРЕ

Резюме

Синкретизм --- основная форма первобытного искусства, характерной чертой которого является антифоническое исполнение. После распада синкретизма его составные части (музыка, танцы, песни), существуя отдельно друг от друга, сохранили все же прежний антифонический характер. В Аджарии до сих пор сохранилась традиция соренований в песнях, танцах, игре на музыкальных инструментах, послуживший как бы стимулом возникновения и дальнейшего формирования поэтических прений и соренований (гашанреба-габаасеба).

³² ვრცლად იხ. Л. Левин-Брюль. Первобытное мышление. 1930, გვ. 149; ჩიქოვანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 24.

³³ ი. Марр. Из поездки в Турецкий Лазистан, გვ. 629.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

Н. А. КЕНЧОШВИЛИ

АЛЛЕГОРИЯ В НОВЕЛЛИСТИКЕ БХИШАМА САХНИ

Многозначность идейно-художественной проблематики Бхишамы Сахни обуславливает неоднозначность его стилистической манеры.

Помимо социальных, бытовых новелл, созданных в строгой манере реалистической школы письма, Сахни пробует свои силы и в жанре литературной сказки. Он всегда чутко относился к традициям национальной словесного искусства, но наиболее непосредственная оригинальная связь с этой традицией обнаруживается в его аллегорических новеллах.

Как известно, к форме сказки прибегали писатели самых различных национальных литератур. Естественно, что к ней обращаются писатели такой «сказочной» страны Востока, как Индия. К сказке обращались и великий Тагор, и Премчанд, а сегодня эту традицию продолжают К. Чандар, Р. Ядав, Дх. Бхарати, Х. Прасад, Хай Ансари, Бхишам Сахни и др.

«Часто литературная обработка народных сказок есть средство выражения идеологических установок того или иного писателя»¹. Эти слова справедливы и в отношении литературных сказок Сахни: «Необыкновенная косточка» — (Анокхи хадди), «Рани Мехто» — (Рани Мехто) и «Странствующий прах» — (Бхатакти Прах).

Содержание сказки-аллегии «Необыкновенная косточка» таково: властолюбивый, но мудрый Магараджа Удёнпир решил присоединить к своему княжеству свободный рыбацкий городок. Началась кровопролитная война. На второй день к Магарадже явился старик из этого городка. Он достал из кармана маленькую косточку убитого в бою и попросил у властелина столько золота, сколько весила эта косточка. Она оказалась тяжелее многих многих слитков золота. Тогда старик порезал руку и, когда капля его крови упала на золото, оно сразу перевесило косточку. На следующий день Магараджа и его войска покинули поле боя.

Смысл содержания сказки в том, что человеческая жизнь бесценна и «капля человеческой крови дороже самых тяжелых слитков золота»². Автор обличает преступность войны, бесчеловечность посягательства на свободу народа. Эта сказка, на наш взгляд, является своеобразным, завуалированным, художественным отголоском происходящих общественно-политических событий в Индии, а именно — оккупации Кашмира пакистанцами в октябре 1947 года. Кашмир тоже сохранил свободу благодаря воле прогрессивных сил.

В сказке ощущаются реалии природы Кашмира, чарующие ландшафты гор, гималайские кедры, озеро и т. д. Здесь же следует вспомнить, что «оборона города (Сринагар — столица Кашмира. — Н. К.) была организована народными силами под руководством демократического крыла национальной конференции и коммунистов»³. Именно

¹ Д. Н. Г. Шкири, Сказка и жизнь, М., 1959, стр. 122.

² См. предисловие к книге «Ослы и павлины» (индийские аллегии), М., 1965, стр. 3.

³ История Индии, М., 1973 г., стр. 482.

поэтому, на наш взгляд, «Необыкновенную косточку» можно причислить к жанру политической аллегории, подобно «Путешествию Гулливера» Свифта, в которой писатель отзывался на события периода правления королевы Анны⁴.

В данной аллегории косточка убитого воина и капли крови являются главными символично-аллегорическими образами, тесно связанными с идейным замыслом автора, раскрывающегося в основном в финале сказки. Магараджа обнаруживает, что нет цены человеческой крови, что все золото мира — ничто по сравнению с жизнью. Вот почему старик говорит Магарадже: «У вас нет столько золота, сколько несут эта косточка»⁵.

В отличие от народных сказок в «Необыкновенной косточке» большое внимание уделяется описанию природы: «Лучи заходящего солнца украшали гордо стремящиеся ввысь вершины гор, у подножия которых лежно колыхались волны широкого голубого озера. На склонах вершин шумели гималайские кедр, озеро походило на бездонное огромное зеркало природы». Ландшафт, описанный в сказке, символизирует красоту мира и любви. Антитезой красоты природы является жестокость войны: «Пануганные вторжением войск Удэгира, птицы и звери покинули леса. Озеро, где раньше с песнями рыбачили жители свободного городка, теперь от крови раненых стало красного цвета. От дождя стрел воинов Магараджи раскалывались камни, падали деревья».

Использование фольклорных приемов служит Сахи для решения различных морально-этических проблем, однако он всегда сохраняет в них принцип использования символично-аллегорических образов. («Рани Мехто») — «Раджа Ван-Ват до полудня занимался государственными делами, а после полудня снимал княжескую одежду, надевал рабочую и недалеко от своей хижины плел веревки допоздна». Не случайно писатель дает герою имя Раджа, т. е. плетущий веревки. Продажей веревки Раджа зарабатывал себе на жизнь. Его примеру следует его жена. «У меня все есть, мне ничего не надо. Мой Раджа собственными руками зарабатывает себе на жизнь, почему же я не должна работать?» Вот жизненное кредо Рани Мехто — идеальной жены.

Однако Рани Мехто поддается влиянию своих знатных друзей, которые разжигают в ней алчность, тяготение к роскоши, в результате чего между супругами возникает конфликт. Когда Раджа дарит серьги Рани Мехто, она раздраженно отвечает: «Серьги и прислуги носят». Тяга к богатству постепенно поглощает все лучшие духовные качества Рани Мехто.

Дальнейшая эволюция характера Рани Мехто уже связана со сказочными явлениями. Когда Рани Мехто, отяжелевшая от украшений, подбежала к колодезю, чтобы набрать воды для большого мужа, то вода в нем почернела и опустилась ниже. Она вернулась ни с чем. Попыталась второй раз, но лочерневшая вода все ниже и ниже опускалась. В отчаянии Рани Мехто сорвала с себя украшения и выбросила. Затем она опять подбежала к колодезю и опустила туда ведро. вода на этот раз поднялась вверх и стала прозрачной; Рани возвращается домой с водой, но любимого мужа уже не застает в живых.

⁴ См.: The modern philology. May 1976; vol. —73. № 4. (The problem of political allegory. p. 540—47).

⁵ Цитаты из сказок даны в переводе с хинди автором статьи.

Чистая вода колодца является основным аллегорическим образом данной сказки Сахни. Образ воды выступает как бы в роли аллегорического персонажа — «судьи», позволяющего автору выразить свое отношение к сложной морально-этической проблеме отношения человека к богатству, к осмыслению сущности счастья. Сахни показывает, что источник счастливой жизни не в богатстве, что замена моральным принципом ведет к краху. Об этом отчетливо явствует заключительное предложение сказки: «Говорят, Раджа умер, Раши Мехто сошла с ума, а княжество их разорилось».

О характере связи творчества Сахни с фольклором можно судить и по сюжетной морфологии его литературных сказок. Например, в аллегории «Раши Мехто», как и в «Необыкновенной косточке», Сахни не использует типичную формулу «жил некогда», «жил-был», «некогда в стране», «жил однажды», «у одного царя» и т. д. традиционных индийских сказок, а применяет индивидуальную: «Говорят, когда-то в Кангре» и т. д. или же: «когда Магараджа Сварандеша Удгиру исполнилось пятьдесят лет» и т. д. («Необыкновенная косточка»). Однако в аллегории Сахни «Раши Мехто» медальная формула «Раджу звали Ван-Ват потому, что он целыми днями сидел, плел веревки и продавал», являющаяся символично-аллегорической характеристикой персонажа, весьма схожа с традиционной медальной формулой народных сказок⁶. Мотив художественных свойств воды вообще характерен для фольклора; мотив искушения также не нов для фольклора.

В общественно-политической жизни Индии 50–60-х годов важную роль сыграл «курс Перу», ведущий к социальному и экономическому преобразованию страны. Для индийского народа жизнь Перу была примером героического деяния во имя счастья народа. Такое восприятие личности в истории нашло отражение в одной из лучших сказок Сахни — «Странствующий прах». Эта сказка-аллегория по своему идейному звучанию является революционно-романтической, ибо в ней автор проводит мысль о бессмертии людей, посвятивших себя служению народу, делу прогресса.

В сюжетной основе данной сказки лежит завещание Перу о том, чтобы после его смерти часть его праха бросили в реку, а часть развеяли по Индии. Содержание сказки «Странствующий прах» следующее:

В стране жил один юноша, красивый и умный. Однажды ночью он услышал плач, доносящийся из какой-то хижины. Он встал, пошел на эти звуки и больше домой не возвратился. В то время в стране властвовал тиран. Юноша вместе с народом стал бороться за свободу, много раз подвергался опасности, но в конце концов тиран был побежден, и, заслужив любовь и доверие народа, юноша стал королем. Когда он постарел, перед смертью завещал, чтобы часть его праха бросили в реку, а часть развеяли по стране. Народ так и поступил. И каждый раз, когда в стране выдавался обильный урожай и народ благоденствовал, то прах ночью сверкал. А если страну постигали несчастия и беды, то прах начинал блуждать по стране, словно что-то хотел сказать народу.

Такова стержневая линия сюжета этой аллегории.

Следует сказать, что жанровый характер «Странствующего праха» во многом перекликается с романтико-аллегорическим рассказом

⁶ К примеру, из грузинской народной сказки «Золотух»: «Целые дни он сидел у очага, дул на золу да копался в ней. Прозвали его за это Золотух». Грузинские народные сказки, Тбилиси, изд. «Мерани», 1971, (на русском языке), стр. 252.

Горького «Старуха Изергиль». Об этом свидетельствует некоторое сходство структурных элементов повелл этих авторов. В рассказе «Старуха Изергиль» в лице рассказчика выступает старуха, так же, как в аллегории «Странствующий прах». Близость рассказов «Старуха Изергиль» и «Странствующий прах» обнаруживается и в построении диалога:

— Откуда эти искры? — спросил я старуху.

— Эти искры от горящего сердца Данко⁷. («Старуха Изергиль»).

— Смотри, бабушка, на поле местами что-то блестит.

— Это прах короля блестит. («Странствующий прах»).

Ни в одном своем рассказе Бх. Сахни не выразил так сильно стремление к революционному преобразованию, борьбе за высокие идеалы, любовь к своему народу и мечту о том, какой бы хотелось видеть свою страну, как в сказке «Странствующий прах». Не случайно заглавие этой сказки Бх. Сахни дал одному из своих оборников повелл.

Характерной особенностью романтической притчи «Странствующий прах» является то, что Бх. Сахни славит яркую и значительную личность, призывающую народ к борьбе против тирании за счастье людей. Автор верит в исторический прогресс.

Три литературные сказки Сахни свидетельствуют о стремлении автора откликнуться на важные явления общественной и духовной жизни в форме обобщенной аллегории, близкой к образам и калямам, созданным народным художественным творчеством.

⁷ М. Горький. Рассказы и повести, М., 1976, стр. 31—32.

კორნელი ლანელია

უცხო ენათა გავლენის კვალი ძველი ქართული ჟერილოგითი ძეგლების ენაში

II. ე ი დ რ ე უღეტრიანი კონსტრუქციები ძველ ქართულში*

ე ი დ რ ე უღეტერი ძველ ქართულში პოლისემიურია. წარმოშობით ის რე-ნაწილაკდართული ვითარებით (ნიმართულებით) ბრუნვაში დასმული ვინაცალსახელური ფუძეა, როგორც ეს პირველად აღნიშნა ნ. მარშა¹ და შემდეგმ გაიზიარეს სხვებმა². ვი ფუძემ ნაცალსახელური მნიშვნელობა არსებითად ლუბიექტის ბრუნვებში შეინარჩუნა (სახ. ვი-ნ, მოთხრ. ვი-ნ, მიც. ვი-ს) და ნათესაობითში (ვი-ს<ვი-ის). სხვა ბრუნვებში კი მას შეეზარდა ბრუნვის ბრუნვები და ზმნიზედის თუ კავშირის მნიშვნელობა შეიძინა (მოქმ. ვი-თ<ვი-ით [შდრ. ვა-თ-არ], ვით. ვი-დ [შდრ. ვი-დ-რე]).

ე ი დ რ ე უღეტრის ეტიმოლოგიური და შექმნილი მნიშვნელობების გათვალისწინება შესაძლებლობას იძლევა. წარმოვანიშნოთ ამ სიტყვის არა მარტო ამინტიური ევოლუტია, არამედ ისიც, თუ წმინდა ქართული ეტიმოლოგიის უღეტრის როგორ დაეკისრა ძველ ქართულში უცხო ენობრივ ოდენობათა ვადმოცემის ფუნქტია უპირველესად ბიბლიურ თარგმანებსა და შემდგომ სხვა ორიგინალურ ძეგლებშიც.

ე ი დ რ ე უღეტრის მნიშვნელობები ძველ ქართულში არსებითად ცნობილია სპეციალისტთათვის. პროფ. ი. იმნაიშვილი ე ი დ რ ე-ს ორ მნიშვნელობას გამოყოფს „ქართული ოთხთავის სიმფონია ლექსიკონში“³. 1. კავშირი=ვიდრე, სანამ, -მდე. 2. სად, საით (კენ), куда⁴. ი. იმნაიშვილის შრომაზე დაყრდნობით ამ სიტყვის ორ მნიშვნელობას აღნიშნავს ს. სერგებრიაკოვიც⁵. უფრო ვრცლად და საფუძვლიანად არის მსჯელობა ე ი დ რ ე-ს ფუნქციებზე პროფ. შ. შიძიგურის შრომარაფიაში. სადაც ამ სიტყვის ოთხი მნიშვნელობაა გამოვლენილი⁶: 1. დროის კავშირი; 2. ლოკალურობის, გარკვეულ პუნქტამდე მიწეენითობის

* I წერალი. რომელიც ეგებოდა სინტაქსურ კონსტრუქციას ძველ ქართულში, დააბეჭდა: საქართველოს მეცნ. აკადემიის „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1975, № 4.

¹ Н. М. Марш. Грамматика древнеинтеративного грузинского языка, Ленинград, 1925, т. 102. შ ი ძ ი გ უ რ ი. Древнегрузинско-русский словарь, к 1—2 главам евангелия Марка. 1913, გვ. 7.

² ა. შ ა ნ ი ს ჯ ე. ქართული გრატიკის საფუძვლები, I. თბ., 1973, გვ. 607. ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, სახელთა ბრუნვა და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში. თბ., 1957, გვ. 506. რ. ნ. ი. ჭ. ბ. ე. ა. მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში: თსუ-ს შრ. X. 1939, გვ. 174. შ. შ ი ძ ი გ უ რ ი, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისათვის: კავშირები და საკავშირებელი სიტყვები, თბ., 1957, გვ. 293.

³ ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, თბ., 1948, გვ. 180 — 182.

⁴ Древнегрузинско-русский словарь (по двум древним редакциям Четвероголава), составил С. Б. Серебряков, Тб., 1932, გვ. 63—64.

⁵ შ. შ ი ძ ი გ უ რ ი, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისათვის: კავშირები და საკავშირებელი სიტყვები, თბ., 1957, გვ. 293—296.

აღნიშვნა: 3. მიწვევითობის აღნიშვნა დროში; 4. ვითარებით-შედარებითი კავშირი.

საკითხავია, ვიდრე ეს ზემოაღნიშნულ მნიშვნელობებს შორის როგორ-ურთიერთობაა. რომელი რომლისგან განვითარდა. სწორად არის აღნიშნული. რომ ვიდრე ეს იატორიულად ლოკალური ფუნქცია უნდა ჰქონოდა. უნდა აღნიშნა მიმართულება აქედან იქით. ე. ი. ვიდრე =სად, საით: შემდეგ სივრცეში ორიენტაცია საფუძველი ხდება დროში ორიენტაციისა და ვიდრე იძენს დროში მიწვევითობის შინაარსს მარტივ წინადადებაში. ამის შემდგომ ვიდრე დროს ეკუთვნის ხდება რთულ ქვეწყობილ წინადადებაში. დაბოლო-ბის იძენს შედარებითი კავშირის მნიშვნელობასაც.

ჩვენი დაკვირვებით. ვიდრე-ს ექვსი მნიშვნელობა უნდა გამოიყოს ასეთ-თანმიმდევრობით: 1. ზ მ ნ ი ზ ე დ უ რ ი შ ი ნ ა ა რ ს ი თ : მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ი ა აღნიშვნა სივრცეში. ვიდრე =სად. საით: უფალო, ვიდრე ხუალ (ი. 13, 36). 2. თ ა ნ დ ე ბ უ ლ ი ს შ ი ნ ა ა რ ს ი თ : მ ი წ ე ე ნ ი თ ო ბ ი ს, ზღვრის აღნიშვნა სივრცეში (ჩვეულებრივ -მდე თანდებულთან სახელეზთან): განვიდოდეთ ჩუენ ვიდრე ბეთლემდე (ლ. 2, 15). 3. თ ა ნ დ ე ბ უ ლ ი ს შ ი ნ ა ა რ ს ი თ : მ ი წ ე ე ნ ი თ ო ბ ი ს აღნიშვნა დროში (ჩვეულებრივ -მდე თანდებულ-ან დროის გამოსწავლელ სახელეზთან): ბრძანე დაკრბალვად საფლავეი ივ-ვიდრე მესამედ დღემდე (მ. 27, 64). 4. თ ა ნ დ ე ბ უ ლ ე რ -კ ა ე შ ი რ ი ს შ ი ნ ა ა რ ს ი თ : მ ი წ ე ე ნ ი თ ო ბ ი ს აღნიშვნა დროში ვით. ბრუნვითან დას-მულ -მდე თანდებულთან საწყის თან მარტივ წინადადებაში: მუნ დაადგე-რით ვიდრე გამოსლვამდე მიერ (მ. 10, 11). 5. წ მ რ ნ ა დ რ ო რ ს კ ა ე შ ი რ ი ს შ ი ნ ა ა რ ს ი თ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში (მთავართან აკავშირებ-დროის გარემოებით დამოკ. წინადადება): წარბარეს იგი, ვიდრე ჩუენ მე-ინა (მ. 28, 13). 6. ვ ი თ ა რ ე ბ ი თ -შ ე დ ა რ ე ბ ი თ ი კ ა ე შ ი რ ი ს შ ი ნ ა ა რ ს ი თ :

ა) ე. წ. ... ხ ვ ა ო ბ ი თ ი შედარებისას⁴⁷: უმჯობეს არა შენდა. რაითა წარწყმდეს ერთი ასოთა შენთაგანი, ვიდრე არა ყოველი გუამი შენი შთავრ-დომად გეპენისა ცეცხლისასა (მ. 5, 29). უმჯობეს არს ჩემდა კელთა მისთა-გან სიკუდილი. ვიდრე ჩემი და მისი შეარება (მუშ. 14, 9).

ბ) უფროობითი ბარისხის ფორმასთან ახლავს იმ საგნის სახელს, რომე-ლიც ნაკლებად შეიცავს ზედსართავით გამოცემულ ნიშან-თვისებას: უმოლ-ხინეს იყოს ქუეყანა იგი სოდომისა და გომორისა და ღვესა საშველისასა. ვიდრე ქალაქი იგი (მ. 10, 15).

ვიდრე ეს ზემოაღნიშნული მნიშვნელობებიდან ზოგი მათგანი დაკისრე-ბული აქვს უცხო ენობრივი ერთეულების გადმოსაცემად და, ცხადია, ასეთი მნიშვნელობები ქართულისთვის არაბუნებრივ. უცხო სინტაქსურ კონსტრუქ-ციებში ცნაურდება. ასეთი პლენასტური კონსტრუქციები პირველ ყოვლისა ბიბლიის ძველ ქართულ თარგმნებში იკადება ფეხს და შემდგომ ლიტერატუ-რული ტრადიციის ძალით — ორიგინალურ ძეგლებშიც. თუ ასეთი კონსტრუ-ქციების უცხოურობა დღემდე შეუმჩნეველი და აღუნიშვნელი იყო, ალბათ იმიტომ. რომ ვიდრე და მდე უღეტრები წმინდა ქართული ოდენობებია და უმეტეს შემთხვევაში ბუნებრივ ქართულ კონსტრუქციებში მოწაწილ-ობენ. ასეთ შემთხვევაში რომ პოლისემიურ ვიდრე ეს ზოგჯერ უცხო ენობ-

⁴⁷ ი. 29:—29: 15.

⁴⁸ ვიდრე... დასახ. წმინდა-მ. კ. 24—29.

ამ მხრივ რამდენადმე ქართულის ანალოგიური მდგომარეობაა სომხურში: ბერძნული ზო: წინდებელიანი ნათ. პრუნეაში დასუსული სახელი მიწენი-თობის შინაარსისა გადმოცემულია *ქ ა ნ ყ* წინდებელიანი აქუსატივეში დასუსული სახელით. რომელსაც წინ უძღვის კიდევ ზო: -ის ზუსტი ფარდი *ქჩხკ* („ეჭრე“) წინდებული. ვფიქრობთ, ბერძნული გავლენა სომხურ თარგმანშიც უნდა გელაენდებოდეს. ნ. მარს კი სხვაგვარად პქონდა წარმოდგენილი ასეთი კონსტრუქციის არსი, როცა მასში გაძლიერებით თანდებულებს („усилительные предлоги“-ს) ხელაქდა. მისი აზრით, „*ყ* означают между прочим и до, но *ქჩხკ* *ყ* только до“¹⁰. რაც შეეხება სიახულ ტექსტს, მასში ბერძნული ზო: -ის ბაღდად სისტემებზე ნახმარია ყველამ თანდებულო, რომლის ზუსტი მნიშვნელობაა „მდე“¹¹ და მიცენითის მნიშვნელობით ნახმარ ლ წინდებულისა სახელს უძღვის წინ. კარგი იქნებოდა გვეოდნოდა, რომ უცხოენოვან პირველწყაროთა წინდებულებების მჩობილი გადმოცემა ქართულ ტექსტში პირველმთარგმნელთა ნაშრომში იყო თუ რელაქტორ-შემგერებელთა ხელში გამოვიდა გადამუშავებულ თარგმანში ვაჩნდა. მაგრამ დღეს ამის მტკიცედ დადგენა შეუძლებელია, რადგან ბიბლიის უძველესი ქართული თარგმანის შემოცველ IV—V საუკუნეების ხელნაწერებს ჩვენამდე არ მოუღწევია. მაგრამ შემოაღნიშნულ კონსტრუქციაში ვიღრე-ს ხმაარება რომ მეორეულია, ამას შემდეგი ფაქტი გვაფიქრებინებს: ვიღრე არ არის -მდე/-მდის თანდებულის ზუსტი ფუნქციური ბაღალი: ოდენ-მდე/-მდის თანდებული ვიღრე-ს გარეშე დაუბრკოლებლად და ზუსტად გადმოსცემს მიწენითობას (ასეთი შემთხვევა ძველ ქართულში იშვიათი როდია). მაგრამ ამავე შინაარსის გადმოცემა ოდენ ვიღრე-ს (-მდე-ს გარეშე) საერთოდ არ ძალუძს. ყოველ შემთხვევაში უიშვიათესია ასეთი კონსტრუქცია: იწყე. უკანამსკენითიდან ვიღრე პირველთა მათ (მ. 20,8 DE) (შღრ. ვიღრე პირველთა მდე C). მასასადამე, სივრცეში მიწენითობის ფუნქციას ვიღრე დამოუკიდებლად კი არ ასრულებს, არამედ -მდე-ს გვერდით და მისივე ძალით, ე. ი. ფუნქციონალურად ქართული კონსტრუქციისთვის ვიღრე ზედმეტია, რადგან ის დანამატია უცხო წყაროთა გავლენით. მეორეც, -მდე თანდებულის კონსტრუქციაში ვიღრე-ს მეორეულობას მიანნიშებს შემდეგიც: როცა წინადადებაში გამოისველითობა და მიწენითობა ერთდროულად აღინიშნება, გამოხატვის საშუალებებში თანაფარდობა, სიმეტრია და რღვეულია: გამოსველითობა ყოველთვის ცალფად აღინიშნება (მოქმედებით თან-ვან თანდებულისი მოქმედებით), მიწენითობა კი — ორმაგად (-მდე თანდებულთა ვიღრე წინდებულთა): შეკრბნეს რჩელნი მისნი თხთხაგან ქართა კიდითგან ცისათ ვაღრე კიდემდე მისა (მ. 24, 31). ელვად გამოჩნდის კიდითგან ცისათ და ბრწყინავნ ვიღრე კიდემდე მისა (ლ. 17, 24).

ვფიქრობთ, ასეთ შემთხვევაში ვიღრე-ს მეორეულობა ეძებს არ იწყებს. ვიღრე-ს მეორეულობასა და ზედმეტობას ძველადვე გრძნობდა სოფი ატორი და უცხო წყაროებში წინდებულთ გადმოცემულ მიწენითობას ვიღრე-ს გარეშე მხოლოდ -მდე თანდებულთ გადმოსცემდა. ასევე ეს სოფიერ აღნიშნის

¹⁰ Н. М а р р. Грамматика древнеармянского языка. СПб. 1903. გვ. 286.

¹¹ С. В r o c k e l m a n n, Syrische Grammatik, Leipzig, 1932. გვ. 129.

ოთხთავში, რაც ბედნიერ შემთხვევას უნდა მივაწეროთ, რომ გალატრჩა ბერძნულ ტექსტთან ზედმეტად დაახლოების მიზნით ჩატარებულ რევიზიამ შესწორებას: კატესამგელი ტამრისაი მის განიპო ორგან ზეთგან ქუე ენამდე (მრ. 15, 28C), შღრ. ...განიპო ორად ზმთგან ვიდრე ქუე დემდე (DE). კატესამგელი... განიპო ორგან ზენათგან მიქუე ენამდე (მ. 27, 51C), შღრ. განიპო ორად ზმთგან ვიდრე ქუე დემდე (DE). ეგრეცა (ყო) მეორემან და მესამენან ნიმეშვიდე მდე ს. 22, 26 C, შღრ... ვიდრე მეშვიდე მდე (DE). ასეა გიორგისეულშიც.

მეწუხებულ არს სული ჩემი ნისიკუდი დემდე (მ. 26, 38C). შღრ. მწუხარე არს სული ჩემი ვიდრე სიკუდი დემდე (DE. იხ. მ. 11, 12; 24, 21, ლ. 23, 5...).

ადიშურ რედაქციაში ნახმარ მი/მო წინდებულებს, რა თქმა უნდა, ვიდრეს ფუნქციურ ბაღდად ვერ ჩავთვლით¹². როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მი/მო, -მდე, ვიდრე სხვადასხვაგვარი ოდენობებია ქრონოლოგიური თუ კილოტრი თვალსაზრისით. მი/მო წინდებულების ძალა -მდე-ს გვერდით ადარც ივრძნობა. იგი რუდიმენტითაა შემორჩენილი -მდე-ს გვერდით; ეს ორიგინალური ძეგლებიდანაც ჩანს: რომელი მოაქამდე დის (იოვ. ზედან. 156, 33), საზღვარი მათდა არს ზღუა იგი პონტოისაჲ, სამკვდრებელი ყოლადვე ქრისტეანეთაჲ, მისაზღვრამდე ქალდიამასა (ჰაბ. 59, 3, ქვ.).

შემთხვევითი არ არის, რომ ვიდრე წინდებულის გარეშე ოდენ -მდე თანდებულთ მიწვენილობის გადმოცემა, რაც ბუნებრივი ქართული კონსტრუქციაა, პრინციპულად ახასიათებს ადიშური რედაქციის ტექსტს. ეს ფაქტი თავად იმას უნდა გვაუწყებდეს, რომ ადიშის ხელნაწერში დაცული ტექსტი არსებითად თავდაპირველი სახით, ყოველ შემთხვევაში ნაკლებად შეცვლილი სახით უნდა იყოს მოღწეული. ამდენად, აღრე დასმულ კითხვაზე — მიწვენილობის მრჩობლი გადმოცემა (მდე+ვიდრე) თავდაპირველ თარგმანს ახასიათებდა თუ მერმინდელ, შეჯერებულ ტექსტს, შეიძლება დაბეჯითებით არა ნავრამ შინც ვუპასუხოთ: მრჩობლი, პლენონასტური კონსტრუქცია ბიბლიის სხვადასხვა წიგნის ძველ თარგმანებშიც იქნებოდა მეტ-ნაკლებად (მთარგმნელთა ვანსხვავებული ენობრივი პოზიციის გამო), მაგრამ ასეთი კონსტრუქციის მოხშირება-მოშუპრება და თითქმის ნორმატიულობამდე აყვანა უნდა მომხდარიყო აღრეული ბიბლიური თარგმანების ბერძნულ წყაროსთან საგანგებო შეჯერების შედეგად.

ათონელთა ლიტერატურული სკოლის ერთ-ერთი მიზანი ძველი ქართული თარგმანების ბერძნულ წყაროსთან კიდევ უფრო დაახლოება იყო. ამიტომაც, რომ კიორგისეულ რედაქციაში ვიდრე წამატებულია, ძველში კი არ არის: არამეუ სუფევდა სიკუდილი ადამისითგან მოსესადმდე (პრომ. 5, 14 AB). შღრ. ადამისითგან ვიდრე მოსესამდე (CD).

როგორც მოსალოდნელი იყო, ასეთი პლენონასტური კონსტრუქცია ბიბლიის ძველ ქართულ თარგმანებზე აღზრდილ ქართველ მწერალთა ორიგინალურ თხზულებებშიც ვლინდება. ოღონდ ნაკლები სიხშირით: და ეგრეთ წმიდაჲ შენაჲ-უ თრევით მოითრია... ეკლესიით ვიდრე ტამრადმდე (შუშ. 21, 23). განათლებულ იყო გარემოის კიდეთა მის მდინარისათა კლდმ იგი

¹² შღრ. მ. ბიბლიურთ, დსახ. ნაშრომი, გვ. 294.

სმთგან ვიდრე ქუეღმდე (პაბო 75, 16); და შეწევნითა ქრისტესითა ალ-
ქა სკლიაროსი და ვიდრე სპარსეთამდე მეოტად წარიქცია (იოვ. და
ეთ. 21, 2).

აღსანიშნავია, რომ როგორც ნათარგმნ, ისე ორიგინალურ ძეგლებშიც მი-
მართულე ბაშმიწვევნი თობას ნხოლოდ ვითარებითი (მიმართულები-
თი) ბრუნვა გადმოსცემს, არც-მდე და არც ვიდრე აუცილებელი არ არის.
ეს, რა თქმა უნდა, უძველესი ვითარების ამსახველია. ამ მხრივ სრულ ანალო-
გიას წარმოადგენს გამოსვლითის ფუნქციით ოდენ მოქმედებითი
ბრუნვის ხმარება (-გან თანდებულიანი მოქმედებითი გამოსვლითის მნიშვნე-
ლობით მეორეულ მოვლენად მიიჩნევა)¹³, როცა მოქმედებითს გამოს-
ვლითობის (აბლატივის) ფუნქცია აქვს, მის გვერდით ნახნარ ვითარებითს
(მიმართულებითს) უფრო მიწვევნი თობის შინაარსი ექნება (ე. ი. მოძრა-
ობის გამომწვეველ ზმნებთან სიერცეში დასაწყისი პუნქტის გვერდით
დასასრული. ბოლოც აღნიშნება): მოგუნი აღმოსავალით
მოვიდეს იერუსალმში (მ. 2, 1). განვიდა გარე ქალაქით ბეთან-
ად (მ. 21, 17) აღმოვიდოდა იოანებცა გალილეაჲმთ... ჰუროიანტანად.
ქალაქად დაეთისა (ლ. 24).

აღსანიშნავია, რომ თვით მიწვევსა ზნასათანაც კი მიწვევნი თობის
გამოხატვას ოდენ ვითარებითი (მიმართულებითი) ბრუნვა ართმევს თანს: ვი-
თარცა მიიწინებს იგინი ქუეყანად აფხაზეთისა (პაბო, 59, 7).

11. ვიდრე იხმარება თანდებულური მნიშვნელობით და აღნიშ-
ნავს მიწვევნი თობას დროში. მაგრამ მიწვევნი თობას დროში
ვიდრე-ს გარეშე ზუსტად გადმოსცემს-მდე თანდებულიც. აქაც ზემოგან-
ხილული შემთხვევის ნაკვასად პლეონასტური კონსტრუქცია გვაქვს. ოღონდ
უნდა გაიჩინოს ორი ტიპის მოვლენა:

ა) ვიდრე წინდებულად ახლავს ისეთ-მდე თანდებულიან სახელებს.
რომლებიც ლექსიკურად დროის მონაცევთს აღნიშნავენ:

ბრძანე დაკრძალვად საფლავი იგი ვიდრე მესამედ დღედმდე (მ. 27,
64). *χθίστασι ἡν θάψασι: αὐτῶν: τὸν ἄψυχον ἕως τῆς τρίτης ἡμέρας...* *მქნჯს
გსრქსა ათორცა*; ყვდამშ ლათლშთა ძაჲმნი.

აცადეთ იგი ერთად აღორძინებად ურთიერთას ვიდრე ეამადმდე
შეისა (მ. 13, 30). *ἔψαθε τριημέρας: αὐτῶν: ἕως τῆς τριῆρας: αὐτῶν,
...მქნჯს 'ქნიშბა*; ყვდამშ ლახსად...

იყო შენ დაღებებულ... ვიდრე დღედმდე ყოფად ანისა (ლ. 1, 20).
*ἔγω: αὐτῶν... ἔγω: ἡς ἡμέρας: ἔγω: τῶν: τῶν... 'მქნჯს ვიონ' კიონამ
სუქი ქნიქიქი*. ყვდამშ ლგაჲმნი.

დაბნელდა ყოველსა ქუეყანასა ვიდრე მეცხრედ ეამადმდე (მ. 27,
45). *αὐτῶν: ἔγνετο: ἐπὶ: πᾶσαν: τῆν: γῆν: ἕως: ἡμέρας: ἑνῆς: ἡμέρας.* *მქნჯს ვიხნნ ძამ,*
ყვდამშ ლგაჲყე თგმაჲ.

ბ) ვიდრე წინდებულად ახლავს-მდე თანდებულიან საწყისს:
და იყო შენ ვიდრე აღსრულე ბადმდე პეროდესა (მ. 2, 14).

καὶ ἦν ἐκεῖ ἕως τῆς ἑλεσταιῆς Ἡραθῆου, ἡ ἡμέρα: ἡ ἡμέρα: ἡ ἡμέρα: ἡ ἡμέρα: *მქნჯს ვიქსან
სხრიქიქი*, ყვდამშ ლგაჲეთქ ლგპრანედეს.

¹³ ქ. ძოწენიძე. -გან თანდებულიანი მოქმედებითი ბრუნვის ფუნქციონათის ძველ-
ქართულში: იქ. I, 1946, გვ. 201.

მუნ დაადგერით ვიდრე გამოსლვადმდე მიერ (მ. 10, 11).

ⲁⲕⲁⲓ ⲛⲉⲓⲛⲁⲧⲉ ⲛⲁⲥ ⲁⲛ ⲛⲉ ⲛⲉ ⲛⲉ ⲛⲉ... *ანჟ ქრჩქეჲ მჩხჯღ სქანჩქეჲ ანაჟ.*
 ყკღამ ღენჲყვე.

ვიდრე ქათმისა პმოზადმდე სამგზის უვარ-მყო მე (მ. 26, 34).

ⲛⲉⲓⲛ ⲁⲗⲁⲧⲁⲣⲁ ⲡⲱⲛⲟⲗⲁ; Თⲉⲓⲥ ᲁⲛⲁⲣⲟⲗⲁⲥ Მⲉ, ...*მჩხჯღ Თⲁⲗⲟⲗ Ვⲱⲛⲱⲗ Ვⲟⲛⲉ...*
 ყკღამ ღენჲყვე თარნაგლ.

მამასაღამე, დროში მიწევენითობის შემთხვევაში ქართული ვიდრე-ს ბაღლად ბერძნულ წყაროშია: ჰაჲ, ᲁⲕⲣⲓ, Მⲉⲓⲛ..., ხოლო სომხურისაში—ყოველთვის მხოლოდ *მჩხჯღ*. ქართულისაგან განსხვავებით, სომხურში მიწევენითობა საწყისებთან გაღმოიკემა ცალმაგადაც, ოდენ *მჩხჯღ* თანდებულთ (მ. 10, 11; მ. 26, 34...)... სირიულშიც ყკღამ თანდებული იხმარება (გარდა მ. 26—34 ადგილისა), რომელიც მიცემითი ბრუნვის მნიშვნელობით ნახმარ ღ წინდებულისა სახელს უძღვის წინ.

ქართულში ა და ბ ტიპის მაგალითებს შორის შემდეგი სხვაობა იგრძნობა: პირველ (ა) შემთხვევაში ვიდრე წინდებულს აშკარად თანდებულის ფუნქცია აქვს და მნიშვნელობით უახლოვდება -მდე-ს. ხოლო მეორე (ბ) შემთხვევაში ვიდრე-ს მკრთალად აქვს შერჩენილი თანდებულური მნიშვნელობა და დროის კავშირის ფუნქციას ამჟღავნებს. ეს იმიტომ, რომ საწყისიანი კონსტრუქცია შეკუმშული სახეა დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებისა: საკმარისია საწყისი პირიელ ფორმად იქცეს. რომ ვიდრე აშკარად დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების მთავართან შემაერთებელი კავშირი გახდება: იყო მუნ ვიდრე აღსრულებადმდე პეროდესა ||—იყო მუნ, ვიდრე აღსრულებოდა პეროდე. სწორადაა აღნიშნული, რომ ვიდრე-ს დროული ნიუანსი მეორეული მოვლენა საწყის ფორმასთან¹⁴.

ორივე შემთხვევაში, ვიდრე მეორეულია. დანამატია. ზემოდანახელე-ბული ორივე ტიპის პლენასტური კონსტრუქცია ბიბლიის ძველი ქართული რედაქციების გავლენით ორიგინალურ ძეგლებშიც არის შეღწეული. მაგალი-თები:

ა ტიპისა: და ვიდრე მუნ ჟამადმდე მოვიდიან შვილნი იგი მისნი ხ-ლედ დედისა თვისისა (შუშ. 23, 25). და ვიდრე აქამომდის იქმნებო-ან კურნებანი სნულთანნი (ევსტ. 45, 18). დაადგრა მდგომარჲ ზედა ფერბთა თვისთა ვიდრე განთიადმდე (პაბო 67, 17). და დგა იგი ზე ჰაერთა ვიდრე სამჟამადმდე (პაბო 74, 20). ხანცთას შინა ელოცების ყოველთა დაფანჩულთა ვიდრე დღენდელად დღემდე (ხანცთ. 260, 23). ნეტარი ჯამაი ჩუენი ღწნოსა არა ოდეს იკმარებნ... ვიდრე სიბერედმდე (იოვ. და ეფთ. 70, 1).

ბ ტიპისა: ხოლო (აღკდაჲ) ბორკილთაჲ არა თაეს-იღვა წმიდამან შუშანიჲ ვიდრე აღსასრულამდე მითურთ (შუშ. 22, 17). ვერვინ განმანშოროს მე ქრისტესგან ვიდრე სულისა ჩემისა აღმოსლვადმდე (ევსტ. 42, 26). ნებითა ღმრთისაჲთა ვიდრე სიკჲდილამდე თუთ ეკმსახურო თაჲ-სა ჩემსა (ხანცთ. 255, 27). რომელიცა ფრიალთა წელიწადთა წინამძღურობდა ხანცთას კეთილად ვიდრე სიკჲდილამდე (ხანცთ. 278, 40).

¹⁴ შ. მანუჩარი. დასახ. ნაშრომ., გვ. 295.

შეგრამ. როგორც მოსალოდნელი იყო, მიწვევებითობას დროში ვიდრე-ს გარეშე ოდენ -მდე თანდებულნი სანელი ვადმოსცემს. ასეთი ბუნებრივი ქართული კონსტრუქციის შემთხვევები ორიგინალურ ძეგლებში იშვიათი როდია: ღამის თევით დაადგრის ვანთიადმდე (და არა: ვიდრე განთიადმდე) (ჰაზო 67, 5), პურობლი იყო იგი მუნ ყაშადმდე სამისა წლისა (და არა: ვიდრე ყაშადმდე სამისა წლისა) (ჰაზო 5ა, 5), აწ სიტყუა: ჩემი დადუმნების თქუნდა მომართ უფლისა დიდებით მოსლვადმდე, რამეთუ მე ჰემსას მივიწიე და მუნ ღამიინებია მეორედ მოსლვადმდე ქრისტესა (და არა: ედრედ მეორედ მოსლვადმდე ქრისტესა) (ხანცთ. 286, 31).

III. ვიდრე ვითარებით-შედარებით კავშირად გამოიყენება ე. წ. „სხვაობითი შედარებისას“. „სხვაობითი შედარება“ ორგვარია: ა. დიამეტრულად საბირისპირო ნიშანზე დამყარებული: ბ. ხარისხში განსხვავებაზე დამყარებული¹⁵. პირველ შემთხვევაში ვიდრე ბუნებრივ ქართულ კონსტრუქციებში მონაწილეობს და მასზე სიტყუვას არ გაეაგრძელებთ, მხოლოდ ორიოდ მაგალითს დავასახელებთ: უმჯობეს არს წენდა, რათა წარწყუნდეს ერთი ასოთა შენთაგანი, ვიდრე არა ყოველი გუამი შთაქრომად გეგნისას ცეცხლისასა (მ. 5, 29). ვიდრე უკუდავთა მათ მატლთა შევმასა, უმჯობეს იყავნ ამათ მოკუდავთა შევმა აქავე ამას ცხორებასა (შუშ. 25, 28). უმჯობეს არს ჩემდა კელთა მისთაგან სიკუდილი, ვიდრე ჩემი და მისი შეკრება (შუშ. 14, 9).

მეორე შემთხვევაში კი, როცა ვიდრე ნახშირია უფროობით ხარისხთან დაკავშირებული სახელის წინ, უცხო ენათა გავლენა უნდა შევადგინებოდეს. მხედველობაში გვაქვს ასეთი ნაკლებად ტიპური მაგალითები:

უმოლხინეს იყოს ქუეყანა იგი... ვიდრე ქალაქი იგი (მ. 10, 15).

¹⁵ *Ἀνεχτέτερον ἔσται: ἢ Σιბήτιον... ἢ ἡ πῖλῃ: ἔξαισῃ. ἡ ἑρρασιὸν ἔχει სιρქინ...*
ქან კოყაჲქინ აქნაქი, 'ავ ღამდინთ...

ქუეყანა იგი სოდომისა ...უმოლხინეს იყოს ვიდრე შენ (მ. 11, 24)
 ἢ Σιბήτιον ἀνεχτέτερον ἔσται... ἢ αἰῖ. სიρქინ სიციქამაუცი ἡ ἑრρασιὸν ἔχει...
ქან ესე ...'ავ ლექი).

იესუს უმრავლესნი მოწაფენი უსხენ... ვიდრე იოვანეს (ი. 4, 1).

¹⁶ *Ἰησους πλείονας μαθητὰς ποιεῖ... ἢ Ἰωάννης. ἵνα ἡ ἑρρασιὸν ἔχει... ἡ ἑρρασιὸν ἔχει... ἡ ἑρρασιὸν ἔχει...*
ქან ἡ ἑρρασιὸν ἔχει... ἡ ἑρρασιὸν ἔχει...

ყველა დასახელებულ მაგალითში ვიდრე-ს აქვებობას განპირობებს უცხო წყაროებში არსებული შედარებითი კავშირებ, ბერძნული ἢ, სომხ. *კან*, სირ. *მენ*, 'ავ.

თუ ბერძნულ წყაროში უკავშირო შედარება, ქართულ თარგმანშიც არ ჩანს ვიდრე. თავად ბერძნულისათვის ბუნებრივია კომპარატივისა და სუბერლატივის ფორმებთან სახელის დაკავშირება არა ἢ კავშირით, არამედ უიმიზოდ, ნათ. ბრუნვის ფორმით, როგორც ეს ქვემოდასახელებული მაგალითებიდანაც ჩანს. ხარისხის ფორმასთან სახელის ἢ-თი დაკავშირება ებრაიზმად ითვლება: სეპტანტის თარგმანს დაჰყუა ხარისხის კავშირანი კონსტრუქცია, ხოლო სეპტანტიდან ის შეითვისეს ახალი ალექსის ტექსტის ავტო-

¹⁵ შ. კიკიჭურა, დაახ. ნაშრომი. გვ. 159.

რებმა¹⁶. ცხადია, ქართულში ამ კონსტრუქციამ ბერძნულის გავლენით სცადა უცხოს მოკიდება. მაგრამ არ გავრცელებულა.

სომხურბრძანების კი ბუნებრივია და მიღებული: ხარისხში ასაყვანი სიტყვის შემდეგ წის კან („ცირა“, „ამ“) შედარებითი კავშირი და შემდეგ მოსდევს ყ თანდებულიანი ბრალობით ბრუნვაში დასმული ის სიტყვა, რომელსაც უღარებენ ხარისხში ასაყვან სიტყვას (ზოგჯერ ყ თანდებული არ ატლავს სიტყვას; მ. 10, 15; 11, 24; ლ. 10, 12); მისი დას დაყრდნობა უფროსი მეთოდისა, სიტყვისიტყვათ: (უფრო) დიდი ვიდრე მეფე“. ნილსე ველიკიმი, ყემ პირი¹⁷. არსებითად მსგავსივე ვითარებაა სირიულში: შედარებითი ხარისხის გადმოსაცემად ზედს. სახელი სუბატუს აბსოლუტუსში დგება (პრედიკატის როლში) და ის სიტყვა, რასაც უნდა შეუღარდეს ზედსართავით დასასიათებელი საგანი, შედარებითი მენ კავშირით უერთდება დასასასიათებელი საგნის აღმნიშვნელ სიტყვას: შაფირა რახელ მენ ხაზაჰ- „(უფრო) ლამაზია რახელი ვიდრე და მისი“. სირიულში მენ-ის მნიშვნელობით, რომ გორც ეს ზემოდასახელებული მავალითებიდან ჩანს (ლ. 10, 12; მ. 10, 15; მ. 11, 24), ავ კავშირიც გამოდის და ასეთ შემთხვევაში ის სიტყვა, რომელსაც უღარებენ ხარისხში ასაყვან სიტყვას, მიცემითი ბრუნვის მნიშვნელობის ლ წინდებულისანი ფორმითაა წარმოდგენილი.

როგორც ნათარგმნი. ასევე ორიგინალური ძეგლებისათვის ქართულში ტიპურად დამახასიათებელია სხვაგვარი კონსტრუქცია: იმ საგნის აღმნიშვნელი სახელი, რომელიც უფროობითი ხარისხის ფორმით გამოხატულ ნიშან-თვისებას ნაკლები ოდენობით შეიცავს, ზედსართავთან სინტაგმას ქმნის ვიდრეს გარეშე, ოდენ მიცემითი ან ნათესაობითი ბრუნვის ფორმით. თუ გავითვალისწინებთ უფროობითი ხარისხის ფორმის ვენეზისს ქართულში¹⁸, შესადარებელი საგნის სახელის დასმა მიცემითსა და ნათესაობითში¹⁹ უნდა მივიჩნიოთ ძირითად და ბუნებრივ კონსტრუქციად. უამრავიდან ვასახელებთ რამდენიმეს.

ბიბლიური თარგმანებიდან: რაოდენ უმჯობეს არს კაცი საცხოვარსა (მ. 12, 12). რთჳთჳს ბიძაჲნი მუშრათიჲს რიჲჭიჲსა. ჩსკ არჳ ირჯაჲსი ათიჲს ქ მარჳ ქან იიჯისარ;... მენ ყერბს.

ჰე, ვეტყვ თქვენ, და უმეტეს წინაწარმეტყუელისა (მ. 11, 9), ვაჲ ლეჳა სჳს, ვაჲ პერჳთარჳერიჳ რიჲჭიჲსი. ...ს ათიჲს ქი ქან იმარჳარჲ;... მენ ნებოე.

უფრო მსამისა სიყუარული არავის აქუს (ი. 15, 13). დაჲწიჳა რაჲსჳდჳ ჰეჳაჳს ობჳჳ ლეჳი. მჩჳს კან იჳი სჳს ოჯიჳს ანჳჩჳს;... მენ ჰნწა.

ხარისხის ფორმასთან დაკავშირებულმა სახელმა რომ საბოლოოდ მიცემითზე აიღო ხელი და ნათესაობითი არჩია, ამაში ბერძნულ წყარო-

¹⁶ Н. И. Глубоковский, Библиейский греческий язык в переводах Ветхого и Нового Завета (перевод). Киев, 1914, гл. 18.

¹⁷ Н. Марр, Грамматика древнеармянского языка. СПб., 1903, гл. 115. ი. შილაკაძე, ძველი სომხური ენის გრამატიკა, თბ., 1975, გვ. 133, 221.

¹⁸ ა. შანიძე, პირის ნიშანი ბრუნვიან სიტყვასთან ქართველურ ენებში: თსუ-ს შრ., ტ. 1, გვ. 333—334. მის ივე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1, 1973, გვ. 143.

¹⁹ ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვითა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957, გვ. 443—451.

საც უნდა ედოს გარკვეული წილი: ბიბლიური და სხვა ქრისტიანული ლიტერატურული ძეგლების ბერძნულიდან მომდინარე ქართულ თარგმანებში პირველწყაროს (ბერძნულს) კვალობაზე მეტი მასშტაბური უნდა გამხდარიყო ხარისხის ფორმასთან სახელის დასაკავშირებლად ნათესაობითი ბრუნვის გამოყენება: სომხური და სირიული ტექსტის გავლენა ან შემთხვევაში გამორიცხულია, რომლებშიც ხარისხი მხოლოდ კავშირიანი კონსტრუქციით არის გამოხატული.

ორიგინალური ძეგლებიდან: უფრო მას არს ყოველსა რჩულსა ქრისტიანობა (ევსტ. 31, 29). და იქნა ღწონო უჰამოვენეს პირველისა მის ღწონისა (ევსტ. 29, 24). არა უნაკლულ მსიყო შენ პირველთა მათ მადლითა კურნებისადათა (ევსტ. 44, 31). საქმით კულა უხუცეს ხარ ჩემსა (ხანტო. 254, 10). მოწასტისა ჩემისა მამანი სათნობითა უხეშთა ეს არიან უამისა ამის მონაზონთა (ხანტო. 264, 14). არანედ იყუნენ იგინი მტკიცედ უფრო მსკლდეთა მყართა (ხანტო. 262, 30). უმჭობეს მისსა აწიყოს სხუად მდდელ მწყსად თქუნდაო (ხანტო. 283, 32). უმჭობებუსსა ყოველთასა განაწესებს (იოვ. და ეფთ. 1, 1), რომელთა-იგი უმეტეს ყოველთათნობათა მოწყალებად შეეტკბო (იოვ. და ეფთ. 32, 9).

იმის დასამტკიცებლად, რომ ძველ ქართულში ვიდრე-ს ხნარება სივრცესა და დროში მიწეენითობის ფუნქციით ან უფროობითი ხარისხის ფორმასთან მეორეულია და უტხოენოვანი (პირველ ყოვლისა ბერძნული) ტექსტების გავლენით ჩანს ფენომოქიდებული, გამოდგება საშუალო ქართულის ძეგლთა ჩვენება: ყველა შემოაღნიშნული მეორეული ფუნქციით ვიდრე-ს ხნარება XII საუკუნისა და მის აქეთა ხანის საერო ძეგლებში მკაცრად იზღუდება, კანტიკუნტად თუ მოიპოვება (ევსტ. რა თქმა უნდა, ლიტერატურული ტრადიციის ინერციით) და საბოლოოდ ის ამ ფუნქციებს კარგაფს. ამას ემატება ხმარებლური მნიშვნელობის დაკარგვა. საბოლოოდ კი ვიდრე-ს მხოლოდ ორი მნიშვნელობა შერჩა: დროისა და ვითარებით-შედარებითი კავშირისა (კონტრასტულ-სხვაობითი შედარებისას)²⁰. ვიდრე-ს მეორეული, იძულებითად დაკისრებული ფუნქციებისაგან თანდათანობითი განტვირთვა ერთი კონკრეტული მაგალითია იმისა, თუ როგორ ცდილობდა მტკიცე საწერლო ტრადიციის მქონე ქართული ენა, თავი დაეღწია უტხო ენათა მძლავრი გავლენისაგან და განეთარების ორიენტირად საკუთარი. ზუნებრივი გზა შეენარჩუნებანა.

ამ მხრივ დამახასიათებელია და არა შემთხვევითი, რომ რუსთველის „ვეფხისტყაოსანში“ ვიდრე (ვირე) მხოლოდ და მხოლოდ (!) დროის კავშირად გამოიყენება (სულ 16-ჯერაა ნახმარი და 16-ჯერვე დროის კავშირად!); ვირე მომკლევდეს, მოკვედები (582, 3). ცხენსა მისცა საძოვარი, ვირე წვადი შეიწოდეს (196, 1)...

უფროობითი ხარისხის ფორმასთან დაკავშირებული სახელი კი მხოლოდ მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვით არის წარმოდგენილი, თანაც უფ-

²⁰ ახალ ქართულში -მდე თანდებულისა სახელთან ვიდრე-ს (იშუათად) ხმარება გრამატიკულ არქაიზმად უნდა ჩაითვალოს: ახალგაზრდობიდან მოყოლებული ვიდრე მოხუცებულობა-მდე.—დაწესებული მეორეადი წილიდან ვიდრე ჩვენს დრომდე (ილია): ქგლ, IV, 1955, გვ. 63.

რომშითის მოკლე (ძველ) ფორმასთან ძველი, დატიური კონსტრუქციაა გამოყენებული, გრძელ (გვიანდელ) ფორმასთან კი — გენეტიური ('გვიანდელი) კონსტრუქცია.

დატიური კონსტრუქცია: რა უარეა მამაცა (798,4); პირი მისი უნათლეა სინათლესა ზესთა ზესა (685,3); ვინ მზესაცა უნათლეა (1431, 4).

გენეტიური კონსტრუქცია: ვარ უმაგრესი რვალია (563,1); არს უმჟავესი წმახისა (896,4); ხარ უმჯობესი დედისა (1141, 1).

„ანინდარეკანინაში“ ვიდრე ძირითადად დროის კავშირად გამოიყენება: ვირე არ შეარყვიან, არ გაილუძის (38, 10); წაუღო, ვირე მშუიღობით ხართო! (39,4) (იხ. 56, 12; 72, 4; 83, 9; 85, 4; 2:1. 11...), მაგრამ მიწვევითობის ფუნქციაც არ არის მთლად დაეფუძებული: წინა მივეგებნეთ, ვირე შეეოსელამდის ქუყყანასა ჩუენსა 130 4); თიცხელოში გარდაიქანის დილითგან ვიდრე მწუხრამდის (254, 4) (იხ. 139, 5; 152, 10; 168, 6; 254, 4). ხოლო უფროობითი ხარისხის ზედსართავთან დაკავშირებული სახელი ვიდრეს (ვირეს) გარეშე არის წარმოდგენილი ნათესაობითის ან იშვიათად მიცემითის ფორმით: ქალისა სახე კედელსა ზედან ეწერა, რომლისა უშუენიერესი აა ინახოდა (265, 3). ვნახე ჰაბუკი ჩემსა უკეთესი თუალითა ჩემითაო (170, 5) (იხ. 257, 10; 277, 7; 288, 2...).

„ვირაშინაში“ ვიდრე (ვირე) არსებითად დროის კავშირია: ვირე შაქს ნაძვი ნაყოფიანი, არ ვეძებ ანწლსა მყარლსა (21,8); ვირე ცოცხალ ვარ, აღარ ვახსენებ (101, 3); მე რამინის სიყვარულსა არ მოვსწყდები, ვირე სიცოცხლე არ მომწყდეს (101, 30) (იხ. 33, 12—19; 55, 16; 70, 22; 77, 2...). იშვიათად შედარებით კავშირდაც გამოიყენება: დედანი ნებისაყენ უფრო იზიდვენ, ვირე სახელისაყენო (73,8); ...უკეთ გააქვენებ ასპარეზობასა შიგან, ვირე ლაშქრობისა და შებმისა ეამსა (117, 24).

შედარებითი ხარისხის ფორმასთან დაკავშირებული სახელი არსებითად მიცემით და ნათესაობით ბრუნვაშია წარმოდგენილი: ჩემსა უკეთეს ცემ იყო და უერთგულესი (110,9); სამოთხე ღმრთისა უამეა (102, 6 ქე.) (იხ. 60, 2; 60, 19; 73, 1; 87, 4 ქე.; 88, 11; 93, 4; 99, 20; 102, 6 ქე. 115, 15...). მაგრამ ამის გვერდით გვხვდება ძველი ქართლისთვის სრულიად უცნობი კონსტრუქცია: უფროობით ხარისხთან დაკავშირებული სახელი წარმოდგენილია განთანდებულაინათესაობით ში: ლარი და საჭურქლე — მთისაგან უმძიმესი იყო, და შეჭრეება — ბზისაგან უსუბუქე (7, 21); ახალ სმლისაგანცა უკეთეს ცემს იცენეს (7, 24); ყოველთა ცისა მნათობთაგან უნათლესი (32, 8); მიჩუენა ანაზღუელად ქაჯისაგან უტურფესი პირი (62, 13) (კიდევ იხ. 7, 35; 11, 18; 46, 7; 60, 3 ქე.; 91, 13; 97, 27; 101, 6 ქე...). ასეთ შემთხვევაში ქართულ თარგმანზე სპარსული ორიგინალის გაველენა უნდა მქაუნდებოდეს.

სპარსულში *tar* (tar) მწარმოებელიანი შედარებითი ხარისხის ფორმასთან დაკავშირებულ რმ სახელს, რომელსაც ხარისხით დახასიათებული საგნის სახელი უღარდება. კავშირის როლში ახლავს *az* წინდებული²¹. რომელიც

²¹ იოს. აბულოაძე, სპარსული ენის სახელმძღვანელო, თბ., 1953, გვ. 37.

* მისალოდნელი იყო: ვირე.

ჩვეულებრივ ქართული -გან თანდებულის მნიშვნელობისა. მაშასადამე, „ვის-რამიანში“ უფროობითი ხარისხის ფორმასთან დაკავშირებული სახელის დასმა -გან თანდებულის ნათესაობითში სპარსული შედარებითი ხარისხის კი (აზ) წინდებულის კონსტრუქციის კალკია.

მაშასადამე, საშუალო ქართულის ადრეულ (XII ს.) ძეგლთა მონაცემები უეჭველს ხდის, რომ XII საუკუნიდან ვიდრე-ს (ვირე-ს) მეორეული, უცხო ენათა გავლენით შექმნილი ფუნქციები თანდათანობით დაიწყებდას ეძლევა, და ეს პროცესი სხვადასხვა ავტორთან განსხვავებული ინტენსივობით მქალავდება. რუსთველი რომ ვიდრე-ს მეორეული ფუნქციით სრულებით არ ხმარობს, ამაში უნდა ვლინდებოდეს არა მარტო გენიალური პოეტის შეგნებული მიდგომა დედაენისადმი, არამედ ისიც, რომ პოეტური ენა ნაკლებად არის პროზის ენის ნორმათა ტყვეობაში და ანდენად ის უფრო დაზღვეულია ბიბლიის ძველ ქართულ თარგმანებში ფუნქციონირებული უცხო ენობრივი კონსტრუქციების გავლენისაგან.

დასკვნები: ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში ვიდრე უდეტერი პოლისემიურია და რამდენიმე მეტყველების ნაწილის როლში გამოდის: (ზმნი-ზედისა, თანდებულისა, კავშირისა). ავლენს ექვს სემანტიკურ ნიუანსს. ვიდრე-ს ფუნქციებს შორის მიმართება-კავშირი ასე წარმოგვიდგება:

I. ზ მ ნ ი ზ ე დ ა : I. მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ი ს ა ღ ნ ი შ ვ ნ ა ს ი ვ რ ც ე შ ი (ვიდრე=სად, საითყენ).

II. თ ა ნ დ ე ბ უ ლ ი : 2. მიწეენითობა-ზღვრულობის აღნიშვნა სივრცეში -მდე თანდებულის სახელებთან.

3. მიწეენითობა — ზღვრულობის აღნიშვნა დროში -მდე თანდებულის სახელებთან.

III. თ ა ნ დ ე ბ ლ უ რ ი კ ა ვ შ ი რ ი : 4. ზღვრულობის აღნიშვნა დროში -მდე თანდებულის საწყისთან.

IV. კ ა ვ შ ი რ ი : 5. დ რ ო ი ს ა (რთულ ქვეწყობილ წინადადებაში).

6. ვ ი თ ა რ ე ბ ი თ-შ ე დ ა რ ე ბ ი თ ი : ა) სხვაობითი შედარებისას, ბ) ხარისხში განსხვავებისას.

აღნიშნულ ფუნქციათაგან ვიდრე-ს ზოგიერთი დაკისრებული აქვს უცხო ენათა წინდებულების გადმოსაცემად და, ანდენად, ისინი მისთვის მეორეულია (სქემიდან: 2, 3, 4 და 6ბ). პირველ სამ შემთხვევაში ვიდრე-მდე-სთან ერთად ქმნის არაბუნებრივ მორფოლოგიურ პლეთონაზმს. ამ დროს ვიდრე არასპირო ზედმიწევნითობით გადმოსცენს ბერძნულ ზა; (ზოგჯერ *αχρ*; *αχρ*—საც), სომხურ *ძիხე* და სირიულ ცუდამ თანდებულებს (წინდებულებს). ასეთი პლეონასტური კონსტრუქციის საფუძველია შემდეგი: უცხოენოვან ბიბლიურ ტექსტებში ნახმარი წინდებულები სხუთ მორფოლოგიურ ფარდად ქართულში გამოყენებულია ბუნებრივი-მდე თანდებული. მაგრამ ამასთანავე სამწერლო ენა, თარგმანის პირველწყაროებთან დაახლოების მიზნით, ცდილობს, უცხო ენათა წინდებულები წინდებულთვე იყოს გადმოტანილი და ვიდრე-ს აკისრებს წინდებულურ ფუნქციებს. შედეგად მიღებულია კომპრომისული ფორმა: მორფოლოგიური საშუალებები ქართულია, კონსტრუქცია კი — ნარევი (ქართულ-უცხოური). ეტიკობთ, ასეთი კონსტ-

რტქციები თავდაპირველად უძველეს ბიზლიურ თარგმანებში უნდა გაიხილიყო, ხოლო შემდეგ ნისო მოხსიერება და თითქმის ნორმა მდებარე აყვანა ძველი თარგმანების სერბულ წყაროსთან სავანებო შეჯერების შედეგი უნდა იყოს (აქის საფუძველს იძლევა ადრისა და ჯრტქ-პარტლის ოთხთავების ჩვენებათა შეპირისპირება). ბიზლიური ტექსტების გავლენით ორიგინალური ძეგლების ავტორებზე ხმარობენ ვიღარე-ს მეორეული ფუნქციებით.

ვიღარე-ს ხმარება შედარებით ხარისხის ფორმასთან დაკავშირებული იმ სახელის წინ. რომელსაც ხარისხში ასაყვანი სახელი უღარდება, ისე ბერძნულის გავლენას უნდა მიეწეროს (თავად ბერძნულში ხარისხის რკავშირიანი კონსტრუქცია ებრაიზმია). ამას გვაფიქრებინებს შემდეგი: როცა ბერძნულ წყაროში ხარისხს უკავშირო, ბუნებრივი გენეტიური კონსტრუქციაა, ქართულ თარგმანშიც არ ჩანს ვიღარე-ს კავშირი, თუმცა ასეთ შემთხვევაში სომხურსა და სირიულ ტექსტებში შედარებითი ხარისხი მხოლოდ კავშირიანი კონსტრუქციით ეადმოიყვამ (სომხურში *ჟან*-ით, სირიულში *მენ* და *ავ*-ით).

XII საუკუნიდან, როცა საერო ლიტერატურა ძლიერდება, ბიზლიური თარგმანების ენობრივი გავლენა სამწერლო ქართულზე სუსტდება. ამიტომ საკლებით ლოგიკურია, რომ საერო ხასიათის ძეგლებში ვიღარე-ს მეორეული, იძულებითი ფუნქციებით ხმარება მკვეთრად იზღუდება (თუმცა ლიტერატურული ტრადიციის ძალით აქამდე კიდევ შეიძინევა) და ბოლოს სულ აღიკვეთება (დამახასიათებელია, რომ რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“ ვიღარე-ს მხოლოდ დროის კავშირად იცნობს). ეს ფაქტი ერთი კონკრეტული მაგალითია იმისა, თუ როგორ ცდილობდა ძველი სამწერლო ტრადიციის მქონე ქართული ენა, თავი დაეღწია უცხო (ბერძნული) ენის მძლავრი გავლენისაგან, რათა თანდათანობით დაეძლია ამ გავლენის შედეგები და განვითარების საკუთარ გზას არ ასცდენოდა.

დასო ვმებანი

- მ.: სახარება მათში: ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, გამოსცა ა. შანიძემ, თბ., 1945.
- 2. შრ.: სახარება მარკოზისი: იქვე.
- 3. ლ.: სახარება ლუკასი: იქვე.
- 4. მ.: სახარება იოანესი: იქვე.
- 5. ბრომ.: პროპელთა მართ ეპისტოლე: პავლეს ეპისტოლეთა ქართული ენისებო, გამოაცემად მოამზადეს მ. მონეიძემ და კ. დანელიამ. ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1974.
- 6. შუშ.: მარტულობა შუშანიკისი: ძველი ქართული ავოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, დასაბუქდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ლ. ათანულოვლიმა, ნ. ვოკუაძემ, ც. ჭურციკიძემ, ც. ჭაჩიავამ, ც. ჭაბავამ, ილ. აბულაძის ხელშეკრულებითა და რედაქციით, თბ., 1963.
- 7. ევხტ.: მარტულობა ევხტათი მცხეთელისა: იქვე.
- 8. ჰაბო: მარტულობა ჰაბო ტფილელისა: იქვე.
- 9. ხანტო: ცხოვრება გრიგოლი ხანტოელისა: იქვე.
- 10. თო. შელამნ.: ცხოვრება იოანე შედქელისა: ძველი ქართული ლიტ. ტრეტაობათა, I, შედქელი ს. ყუბანეიძის მიერ, თბ., 1915.
- 11. იოვ. და ვუთო: ცხოვრება იოვანესი და ვუთოქსი, ენო. კ. ლამხაია ივ. ჭავჭავაძის გამოცემა, გამოსცა ა. შანიძემ, თბ., 1916.

12. ვეფხ.: შ. რუსთაველი, ვეფხის ტყაოსანი, ა. ბარამიძის, კ. კეკელიძის და ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1951.
13. ვიხრ.: ენსრაშიონი. აღ. გეანთარიას და მ. თოდუას რედაქციით, თბ., 1961.
14. ამირანდარეჯ.: ამირანდარეჯანზე, ვამოსაყემად მოაწუხადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ლ. ათაბეღლიშვილმა, თბ., 1967.
15. Novum Testamentum Graece cum apparatus critico curavit D. Eberhard Nestle..., Stuttgart, 1950.
16. The New Testament in Syriac, London, 1962.
17. ლის ნარკთასქარან... შავქათათსიერერქ ლ. შიქნანნი. შინრათსან... ქსნისქი, 1905.

К. Д. ДАВЕЛИА

СЛЕДЫ ВЛИЯНИЯ ИНОСТРАННЫХ ЯЗЫКОВ В ДРЕВНЕГРУЗИНСКИХ ПИСЬМЕННЫХ ПАМЯТНИКАХ

Синтаксические конструкции с наречием ვიდრე в древнегрузинском

Резюме

В древнегрузинском языке наречие ვიდრე полисемантически и обозначает: 1. Наречие: направленность в пространстве, ვიდრე-куда. 2. Предлог: достигаемость в пространстве у имен с послелогом -მდე, ვიდრე=до. 3. Предлог: достигаемость времени у имен с послелогом -მდე, ვიდრე=до. 4. Наречие-союз: достигаемость времени у отглагольных имен с послелогом -მდე, ვიდრე=до, пока. 5. Союз времени в сложноподчиненном предложении, ვიდრე=пока. 6. Союз образа и сравнения, ვიდრე=чем.

В тех случаях, когда ვიდრე с послелогом -მდე, («до») обозначает достигаемость в пространстве или времени, сказывается влияние иностранных языков (прежде всего греческого). Несмотря на то, что имеющиеся в иноязычных библейских текстах предлоги (греч. ἕως, ἄχρι... арм. *ի/ինչ*, сир. 'dapi) точно передаются послелогом -მდე, все же в древнегрузинском переводе, с целью сближения его с греческой редакцией, вместе с послелогом -მდე употребляется и наречие ვიდრე с функцией предлога, в результате чего получается своеобразный морфологический плеоназм. Существовала попытка перенести эту смешанную конструкцию из древнегрузинских переводов библейских книг в язык оригинальных памятников, но в среднегрузинском ვიდრე постепенно освобождается от выражения функций предлога достигаемости и союза сравнения.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრა
წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. შანიძემ

ს ო რ ა კ ო მ ი ნ ო ვ ი

-მცა ნაწილაკიანი სინტაქსური კონსტრუქციის ევოლუციისათვის
ქართულში

-მცა ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული მოდალური ნაწილაკია ძველსა და საშუალ ქართულში. ძველ ქართულში იგი გამოიყენება თხრობითი კალოს ზმნის ფორმასთან ერთად და ქმნის გარკვეულ სინტაქსურ კონსტრუქციას. რომელიც კავშირებითი კალოს ფორმის ეკვივალენტურია.

-მცა ნაწილაკს მაკავშირებთებელ ანუ მაკონიუნქტივებელ ფუნქციაზე მიუთითა და ამ საკითხს სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა ა. შანიძემ. იგი წერდა: „რთული -მცა სუფიქსი ძველ ქართულში მნიშვნელობას უძლიერებს იმ სიტყვას, რომელსაც ის დაერთვის ხოლმე. დართვით კი შეიძლება დაერთოს სახელსაც, სახელის ნაცვალსაც, ზმნასაც, ზმნისზედასაც, კავშირსაც, მაგრამ რაგინდ სიტყვის ნაწილსაც უნდა დაერთოს, სულ ერთია, იმავე წინადადებაში ნატვრით კალოს (resp. კავშირებით კალოს. — ნ. კ.) ვერ იქნა, არამედ ყოველთვის მოთხრობითი (=თხრობითი კალო. — ნ. კ.) უნდა იყოს“ ([1], 79) ავტორი აქვე აღნიშნავს, რომ „საშუალო საუკუნეებში იწყება რყევა -მცა ნაწილაკის ხმარებაში. იგი შეიძლება დაერთოს აგრეთვე ნატვრითი კალოს ზმნასაც“ ([1], 80).

-მცა ნაწილაკის საკითხს სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა პ. ვაჩეჩილაძემ. ნაშრომში წარმოჩენილია აღნიშნული ნაწილაკის შესწავლის ისტორია ქართული გრამატიკული ლიტერატურის მიხედვით. ავტორის დასკვნით, ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში -მცა ნაწილაკის სინტაქსური ფუნქცია არაა გაგებულნი სწორად და იგი ჩვეულებრივ მნიშვნელობის გამაძლიერებელ ნაწილაკადაა მიჩნეულნი ([2], 242—244). ნაშრომში დაძებნილია -მცა ნაწილაკის ეკვივალენტები ბერძნულ-სომხურში და დადგენილია, რომ -მცა ნაწილაკიანი ფორმების შესატყვისად ამ ენებში ძირითადად კავშირებითი კალოს ფორმები გამოიყენება. საშუალ ქართულში -მცა ნაწილაკის დაკარგვის მიზეზებად პ. ვაჩეჩილაძე ასახელებს სამ ძირითად გარემოებას: 1. თხრობითი კალოს მყოფადის ჩამოყალიბების პროცესს, 2. II თურმეობითის ფორმათა ხმარების განსივრებასა და 3. -მცა ნაწილაკის ფუნქციურ აღრევას — თუმცა, ეითომ, განალაცხადანაც, ნუცა, ოდესაც კავშირებთან, შემდგომ -მცა ნაწილაკი უმეტესად წყველის, დალოცვისა და ნატვრის ფორმულებში გამოიყენება. თუმცა აქაც გვხვდება არასწორი ფორმები ([2], 251—252).

წინამდებარე ნაშრომში, ერთი მხრივ, მოცემულია -მცა ნაწილაკიანი სინტაქსური კონსტრუქციის ფუნქციონალური ანალიზი ისტორიულ-შედარებით ასპექტში, მეორე მხრივ, განხილულია თვით კონსტრუქციის შიგნით არსებული გრამატიკული მიმართება და, შესაბამე მხრივ, მოცემულია ცდა -მცა ნაწილაკის გენეზისის გარკვევისა.

ძველ ქართულში -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქცია გამოყენებულია შემდეგი ფუნქციებით: ა) მოდალური -მცა ნაწილაკი + თხრობითი კალოს ზმნა გადმოსცემს კავშირებით კალოს, რაზედაც თვალნათლავ მიუთითებს

ქართული ოთხთავის რედაქციითა ურთიერთმიმართება. ერთი რედაქციის კავშირებითი კილოს ზმნას მეორე რედაქციაში შეესატყვისება -მცა ნაწილაკი + თხრობითი კილოს ფორმა, მაგალითად:

ღა ზრახვა ყვეს მისთვის, რაათაჲ წარწყმიდეს იგი: მკ. 3, 6 C. შტრ.: ღა ზრახვა ყვეს მისთვის, რაათაჲ წარწყმიდონ იგი: მკვ 3,12DE.

ღა ღრიად შეპრისხნა მათ, რაათა არა გამოაცხადონ იგი:
ღა ზრახვა ყვეს მისთვის, რაათა სიტყუთა საფრეჲ უგონ მას: მ 22,15DE. შტრ.: ღა ზრახვა ყვეს, რაათამცა დაუღვეს მას მაჲე სიტყუთა: C.

მართალია, -მცა ნაწილაკიანი თხრობითისა და კავშირებითის ფორმათა მონაცვლეობა ოთხთავის რედაქციებში ბოლომდე თანმიმდევრულად არაა გატარებული, კერძოდ, DE რედაქციაშიც გვეხვდება -მცა ნაწილაკიანი ფორმები. მაგრამ შემთხვევათა უმრავლესობა აღნიშნულ მონაცვლეობას ადასტურებს. -მცა ნაწილაკიანი სინტაქსური კონსტრუქციისა და კავშირებითის ფორმათა პარალელური ხმარება ქართული ოთხთავის C და DE რედაქციებში გეავრთულებინებს მათს დიალექტურს ურთიერთმიმართებას. შესაძლებელია დავუშვათ, რომ -მცა ნაწილაკის გამოყენება თავდაპირველად ერთ რომელსაჲმე დიალექტს ახასიათებდა და შემდგომ გავრცელდა მთელ ქართულში.

ბ) -მცა ნაწილაკიანი თხრობითი გამოყენებულია მეორე და მესამე პართა ბრძანებითის გადმოსაცემად. ხშირად წინადადებაში ერთმანეთის გვერდით გვხვდება ბრძანებითის ფორმა და -მცა ნაწილაკიანი თხრობითი:

უკუეთუ სულთა ცხოველ არს იგი, ცოცხალ მცა ხართ იგიცა და შენცა. უკუეთუ სულთა მომყუდარ ხართ, მოკითხვაჲ ეგე შენი შენადგე მოიქციენ: შუშ, II, 9.
ლხანებამ ცა არს შენდა, უფალო, და ნუშეა იყოფინ: მ 16, 22.

გ) -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქცია გადმოსცემს თხრობითი კილოს მეორედს. ამ შემთხვევაში აღნიშნული კონსტრუქცია ძველი ქართულის კონსტრუქციის მეორადი ფუნქციის გამომხატველ ეკვივალენტურ კონსტრუქციად გვევლინება. -მცა ნაწილაკი მასში მოკლებულია მოდალური ნიუანსის გაგებას:

რომლისა თანაცა იპოს მონათა შენთავანისა ბარძიმი იგი, მოკუედინ და ჩუენ მცა უკართ უფლისა შენისა მონა: დაბაღ., 44,9.
შტრ. რუს: *У кого из насш найдется чаша, тому смертъ: и мы будем рабами господиу нашему.*

ღა რომელი მცა რჩული უწმინდე იყო, იგიცა შევიყოუარე: ევსტ. 85.

დ) -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქცია გამოიყენება პირობით-დამოკიდებულნიან ქვეწყობილ წინადადებაში, სადაც დამოკიდებულში აღნიშნავს პირობითს მოდალობას, ხოლო მთავარში — შედეგობითს მოდალობას:

უკუეთუ მცა ღმრთებამ: ჯორკითა არა დაეფარა, კაციმცა ვერ მიეახლა ღმერთსა: ევსტ., 97.

უკუეთუმცა უმეტრებასა და უკუნრებასა შინა ვიყავე, არამცა ღმრს ვიქმენ შედგომად ქრისტესა: ამო 13, 13.

უკუეთუმცა სიტყუთა რაიმე ჰეშმარიტყოფილ იყო თქუმულთა შინა შენთა, არამცა რაჲ ბორბტი შეე მთხუეულ იყო შენდა: იობ., 4, 12.

ამრიგად, როგორც პირობითი, ისე შედეგობითი მოდალობის გამოსატყუა -მცა ნაწილაკს ეკისრება. აღნიშნული ფუნქცია უახლოეს კავშირშია კონსტრუქტურ მოდალობასთან, რამდენადაც ორსავე შემთხვევაში განუხორციელებელი, შესაძლებელ-სავარაუდო მოჭმედებაა აღნიშნული. ამასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ ერთი გაჩემობაც. ირკვევა, რომ ძველ ქართულში წარსული ღრბის პირობით და შედეგობით მოდალობათა გამოსატყუავლ ოდენ -მცა

ნაწილაკიანი კონსტრუქციაა გამოყენებული და ამ ფუნქციებით საკუთრივ კავშირებითის მწკრივები არ გვხვდება. რით უნდა აიხსნას ეს გარემოება? ჩვენი აზრით, კავშირებითის მწკრივები აღნიშნული ფუნქციით არ გამოყენებულა ამის გამო, რომ ისინი ვერ იგუებდნენ წარსული დროის გაგებას. -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციაში კი მოდალური ნიუანსის გადმოცემა ნაწილაკს ეკისრებოდა, ხოლო წარსულ დროს გადმოსცემდა თხრობითი კილოს ფორმა.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა რუსული ოთხთავის ჩვენება, სადაც -მცა ნაწილაკიანი თხრობითის კონსტრუქცია, ძველი ქართულის -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციის მსგავსად, გამოიყენება წარსული დროის პირობით და შედეგობით მოდლობათა აღსანიშნავად. შეადარე:

უკუეთუმ ცა გ რ წ მ ე ნ ა მოსმსი, გ რ წ მ ე ნ ა მ ც ა ჩემიცა: ი 5,46.
Ибо еси бы верилн Моисею, то поверилн бы и мне.
უკუეთუმ ცა მე მი ცო დ ე თ, მამაც ა მ ც ა ჩემი ა ცო დ ე თ: ი 8, 19.
Иди бы зналаи мсря, то зналаи бы и отца моего.

ე) სპორადულად გვხვდება -მცა ნაწილაკის ხმარება კავშირებითი კილოს კომპოსთან, რაც შესაძლებელია -მცა ნაწილაკის ფუნქციური მოშლის დასაწყისად მივიჩნიოთ:

ღ რ უ ს ცეხლი აღაგზნია მას ზედა, რ ა მ ც ა გ ა ნ ტ ვ ე ს ა დგილი იგი, ქვე დაქლის: იოხ., 26,15.

ს ა შ უ ა ლ ქ ა რ თ უ ლ შ ი -მცა ნაწილაკის გამოყენების არც ფართოვდება, თუმცა ამავე პერიოდში იწყება რღვევაც შესაბამისი სინტაქსური კონსტრუქციის გამოყენებაში, რაც ფაქტობრივად ამ კონსტრუქციის მოშლის მანიჭებელია.

-მცა ნაწილაკიანი თხრობითი შემდეგი ფუნქციებით გვხვდება:

ა) საშუალი ქართულის განვითარების პირველ საფეხურზე, კერძოდ, მე-12 საუკუნის სალიტერატურო ძეგლებში, -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციის შერჩენილი აქვს თავისი ძირითადი ფუნქცია — კონსტრუქციური მოდლობის გადმოცემა, რის გამოც საკმაოდ მდგრადია თვით კონსტრუქციაც:

ვლა ნეთუმ ცა სრულად დამწვა ცეხლთა ცხელთა ანაგზითა: ეფხ., 310.
კამიყირა, მიქნურისა თაყანება ექნა ეისმცა? ეფხ., 378.
წავე, მონა წაეიტანე, რამცა ვე თ ხ ა რ ამისთანა! ეფხ., 398.
კითა მმართებდა, ეგზომი რამცა ვით გა ე ი ხ ა რ ე თ: ეფხ., 412.
ართან მეტად მუხთალნი.—ჩვენ ერთხელ კვლაც ენახენით, — არამცა მოგკლეს ღალათით, არამცა ვიკავლახენით: ეფხ., 430.
აღარ იცოდეს. რამცა ქმნეს: ვისრ., 148.
ჩვენგან ესე არ ეგების, რომელმცა არ უშველეთ: ამირან., 172.

ბ) -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქცია გადმოსცემს ბრძანებით კილოს, რომელსაც ამავე დროს წყველის, ლოცვისა და ნატერის მოდალური ნიუანსები მოკლებება:

ღმრთისგანცა ნებასა ზედა თქვენსა სუფვეთ უკუნისამდე! ამირან., 21.
ერთხელმცა არს ღვთისაგან პეტრეს კელმწიუის ქსენება: დავით., 54, 194.
აღრემდის მიწუნ. პოყვასო, ნუშცა მაქვეს დღეთ სივრძენია: ქილ. და დამ., 117.

გ) -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქცია გვხვდება პირობით დამოკიდებულ წინადადებაში, ხოლო მთავარში არ დასტურდება, როგორც ეს ძველ ქართულში ეკონსტრუქციის შემთხვევაში ხდება. ამასთან უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თუ ძველ ქართულში სათანადო აღვივლებს -მცა ნაწილაკიანი ერთად ნამყო დროის გამოთხატველი რამდენ-

ნიმე მწკრივი გამოიყენებოდა (უწყვეტელი, წყვეტილი, 11 თურმეობითი). საშუალო ქართულში მათგან მხოლოდ მეორე თურმეობითი გვხვდება:

თუ მცა ვინ ამას ღამე აქა ყოფილი იყო, არა დაგუფარვოდა: ვისრ., 165.

თუ მცა გენახა, იტყვი ამას, თუ ამისებრი კაცი არა ნახულ არსო: ამირან., 31.
თუ მცა არ მოსრული იყო კარსა ზედა ჩემსა და მუნითა ებრძანა, ამას ექვეყნა: ამირან., 39.

მე თუ მცა ერთსა წაშა შენგან ესეთი შეგეილი მენახა, სიხარულით ცამღს ფრინდებოდი: ვისრ., 191.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თუ მცა საშუალო ქართულში III კავშირებითს მწკრივი ნამყოფი კავშირებითს გამოხატავს, მაგრამ იგი მაინც არ გვხვდება პირობით დამოკიდებულ წინადადებაში ნამყოფი დროის პირობითი მოდალობის გადმოსაცემად. ეს ფუნქცია წინანდებურად - მცა ნაწილაკიან მეორე თურმეობითს ეკისრება.

-მცა ნაწილაკიანი მეორე თურმეობითს ამგვარმა რეგულარულმა გამოყენებამ ნამყოფი დროის პირობითი მოდალობის გადმოსაცემად, ჩვენი აზრით, განაპირობა ის გარემოება, რომ უფრო მოგვიანებით, -მცა ნაწილაკის გაქრობის შემდგომ. ამავე საშუალო ქართულში მეორე თურმეობითს მწკრივს დაეკისრა ნამყოფი კავშირებითს გადმოცემის ფუნქცია. ამავე გზით უნდა შეეძინა მყოფადის ხოლმეობითს მწკრივისაც შედეგობითი მოდალობის გადმოცემის ფუნქცია თანამედროვე ქართულში, რამდენადაც შედეგობითი მოდალობის გამოხატველ მყოფადის ხოლმეობითს ძველ ქართულში ოდენ -მცა ნაწილაკიანი თხრობითის კონსტრუქცია შეეძაბა (იხ. ზემოთ). ამგვარად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული ორი მწკრივის (მეორე თურმეობითისა და მყოფადის ხოლმეობითის) გამოყენება პირობით-შედეგობით მოდალობათა გამოსახატვად თანამედროვე ქართულში უშუალოდ -მცა ნაწილაკიან სინტაქსურ კონსტრუქციასთანაა დაკავშირებული.

დ) საშუალო ქართულში -მცა ნაწილაკი გვხვდება მასდარებთან და მიწლებობებთან, რაც უდავოდ მისი ფუნქციური გადაგვარების მაჩვენებელია:

ღმერთმცა ჩემი ანუ მისი მწე, თუ შენ არა დია გიუყარ: ვისრ., 276.

ნულარამცა ნაყოფთა მისთა ზრდა, რომელმანცა მიწამან მას დაფარეა ჰადარა: ვისრ., 152.

ე) ხშირია -მცა ნაწილაკის ხმარება კავშირებითი კილოს ფორმებთან. რაც ავრეთვე აღნიშნული კონსტრუქციის მოშლასე მიუთითებს:

თუმცა წელიწადისა საელსა იყოს, ეგრეცა ნახე მინდა: ამირან., 108.

ვერ მოვიტყენ ამას, თუმცა ჩემი ვისი მიწათა შიგან

მეგონებოდეს და შაჰინმა წალოტსა შიგან სუმაღ ჯდეს: ვისრ., 154.

თქვეს: -რამცა ეუყოთ მას-. სიბრძ. სიცრ., 15.

ვ) ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როცა -მცა ნაწილაკს არავითარი ხოლმეობითი ნიუანსის გადმოცემა არ ეკისრება წინადადებაში.

სწორად მიუთითებს ასეთ შემთხვევაში პ. გაჩეჩილაძე -მცა ნაწილაკი -მცა ნაწილაკთან აღრევის შესაძლებლობაზე ([2], 249—250):

მივსწერე: მეფე ინდოთა არიანა ღმრთულეებრ ძლიერი: ვეფხ., 393.

შორს უკე ვეფე და მემცა შევეკაზმე: ამირან., 103.

კუთხე კაცსა: რამცა უკობს, ანუ რამცა ეკარება: ქილ. და დამ., 134.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში -მცა ნაწილაკი მხოლოდ გადმონაშთის სახითაა დადასტურებული. თავდაპირველ ფუნქციათაგან მას მხოლოდ ნატურის, ლოცვისა და წყევლის ნიუანსების გა-

ქობაძეადა შენორჩია. ამასთან იგი გვევლება როგორც თხრობითი, ისე კავშირებითი კილოს ფორმებთან და უმთავრესად დიალექტიზმებს წარმოადგენს:

- უი, უწინამც დღე გაუჭრება: ილია, 145.
- აი, აგრამც მღერით მაგაზედ უფრო მეტს ღიღებას და პატივს მოგვეცემს: ილია, 145.
- იზიხარ სახელო, ვის სწირავ.
- იმასამც შეაწირება: ვაჟა, 209.
- შენი ჭირიშც დამიღვეია, შენი: ყაზბ., 83.
- ვემსახურებით ჩვენთა მოძმეთა და აგრამც უნდა იყოსო: ყაზბ., 344.

ქართული დიალექტებიდან — მც(ა) II-მ ნაწილაკი უმეტესად აღმოსავლური ზონის დიალექტებისთვისაა დამახასიათებელი, თუმცა გვევლება ანგილოურ-ფერეიჯულშიც და დასავლურ დიალექტებშიც, სადაც ჩვეულებრივ გამოიყენება ნატერის, წყველისა და დალოცვის გამომხატველ ფრაზებში:

- უნეროს იმე ხარავ ჩემის ძმისაივ, წყალსამც უზიდავავ, ტაბლასამც უშზადიბავ. ქლანთამც უბლანდავავ, ლოგინსამც უგებავ. ხევს., 16,5.
- შენამ შეერკვებ დედასა, თლომივ ბადენაურო: თუშ., 182, 16.
- შენთანამც ყოფნით გამაძლო, შეიდი დღე-ღამე ძილითა: ქიზ., 165.
- რამ დავეყველო, დედამაას ერთუნაი ხარ, შენამ ანდრესმანდრეს ქალი ახარში იაკალ: ინგ., 288.

- ღმერთმა შენამ შენ ზმევთან წვაიყონასავ: ინგ., 190.
- შეშინდა, არამც მინმე მაქადარიყოსო: ფერეიდ., 243.
- წეიძლოლეს წინ, ვითამც ანგელოსი უმანყო, პატარა ეშმაკი შემოსილმა ბერებმა: ზელომერ., 12.

თუმცა დიალექტებში, ნიშნად ამისა იმწამსვე მეიპარკონ წყერები და თმებიო: ზემოიმერ.,

- თქვე რამ წასსურსი მნახოთ./ თქვენ გამაძრეთ ზრუვზე ტყავი: გურ. ფოლკ., 116.
- შენი ხახვა პატკოფს, მარხენს./ გინდამც მქონდეს მე აღდგომა: გურ. ფოლკ., 32.

-მცა ნაწილაკის შესატყვისი ქართველურ ენათაგან ზანღრში არ დასტურდება. სვანურში კი მის ეკვივალენტად მიჩნეულია ნაწილაკი -უ||-უთ, -ოლც. -ოლ (პ.). სვანური ოთხი დიალექტიკური ვარიანტიდან, რომელთაც აკად. ვ. თოფურია იმთქმებს (-უ -უთ-ოლუ-ოლ). შედარებით სრულსახოვანი -ოლუ ვარიანტი, რომელიც რომელიმე სიტყვის ნაშთს უნდა წარმოადგენდეს. შეიძლება იმავარ სიტყვად მიგვეჩნია იმავე სვანურში დადასტურებული შორისდებული ააღო (=აბა), ან რომელიმე სრულმნიშვნელოვანი. მასთან გენეტურად დაკავშირებული სიტყვა, რომელიც ამჟამად აღარ იხმარება, -ოლუ ვარიანტის განარტიკლებით უნდა იყოს მიღებული სხვა დანარჩენი ვარიანტები ამ ნაწილაკის ერთი მხრივ. უს-დაკარგვის გზით (-ოლუ, -ოლ) ჩანს მიღებული -ოლ ვარიანტი. სოლო მეორე მხრივ, -ოლ ელემენტის ჩამოცილების გზით უნდა იყოს მიღებული -უ (-ა) ვარიანტი, რომელიც დადასტურებულია ბალხ-შენიღრში (-ოლუ, -უ). იმავე -ოლუ-საგან დ თანხმოვნის დაკარგვისა და ოს-ასიმილაციის გზით ჩანს მიღებული -უთ ვარიანტი (-ოლუ, -ოთ, -უთ).

საკარგვია, რომ ქართულშიც უნდა გვექონოდა სვანური -ოლუ ნაწილაკის გენეტური და ფონეტიკური ეკვივალენტი, რომელიც, როგორც ნაშთი, შემოღვრისა -მცა ნაწილაკში მ ელემენტის სახით.

ესევე შემთხვევაში ერთი რამ ცხადია, ძველქართული მოდალური ნაწილაკი -მცა უთვლია თავისი შედგენილობით. მასში გამოიყოფა მოდალური მ ელემენტი, რომელიც გენეტურად და ფონეტიკურადც უკავშირდება სვანურ -უ (-ა) [-ოლუ-ოლ, -უთ] ნაწილაკს, და მნიშვნელობის გამაძლიერებელი -ცა ნაწილაკი.

მავალითები სვანური ენის ბალზხემოური დიალექტიდან:

მაზემ ხანი ლირდე ნაზუ ესერ ლახევემხ ალ ბეფუმს: სვან. პროზ., 333,15. (რამდენი ხნის სიციხის ნება [მცა] მიუყუთ ამ ბავშვსო).

იაღუთხესერ მამუ ოხგონეხ სერ? სვან. პროზ., 251,1 (აბა, ახლა რა [მცა] მოვეგონოთ)

უ (—) ნაწილაკიანი თხრობითი კილოს ფორმა ბალზხემოურ სვანურში გამოყენებულია მესამე პირის ბრძანებით ფუნქციითაც.

შოშმა ესერ ხადღენდეს, ეჩა აშხე. ჩუე იზობდა: სვან. პროზ. 287,5 (როდესაც მოხილვბაო, მაშინ [მცა] ერთი შექამოსო)

ქაე ესერ აღდე აღაბა: სვან. პროზ. 249,8 (ესენი [მცა] წაიღოსო).

სვანურში, ისევე როგორც საშუალო ქართულში, —უ (—) მოდალური ნაწილაკი ზოგჯერ კავშირებითი კილოს ზმნის ფორმასთან გვხვდება, რაც ფაქტობრივად მისი ფუნქციური მოშლის მაჩვენებელია:

ქა იტეხე აღას, მამუ ესერ ლესე: სვან. პროზ., 281,33. (დაიბრუნებს ამას, რა [მცა] იყოსო).

მა ესერ-ი გეე ესერ ლახევემ მინდერისგა, მამუ ესერ არღეღს. (რაო და ლუკვირდი. მინდორში რა [მცა] იყოსო).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სვანურში ნამყო დროის კავშირებითის გადმოსაცემად პარალელურად გამოიყენება: ერთი მხრივ, კავშირებითი მესამე და მეორე მხრივ, —უ (—) ნაწილაკიანი მეორე თურმეობითის მწკრივი. ეს ფაქტი უდავოდ საინტერესოა როგორც თვით ამ ორი მწკრივის ფუნქციონალური ურთიერთმიმართების მხრივ, ისე ქართულთან მიმართების თვალსაზრისითაც.

—უ (—) ნაწილაკიანი მეორე თურმეობითის გამოყენება სვანურში მესამე კავშირებითის, და საზოგადოდ კონიუნქტიური მოდალობის, ფუნქციით იმაზე პოლითებს, რომ თანამედროვე ქართულშიც თურმეობითი მეორისთვის კონიუნქტიური მოდალობის გადმოცემა მეორეული ფუნქციაა, რომელიც უფროდ —ქა ნაწილაკის გაქრობასთანაა დაკავშირებული. ამ შემთხვევაში სვანური საშუალო ქართულის ვითარებას წარმოაჩენს. მაგ., —უ ნაწილაკი თურმეობითი მეორის მწკრივთან:

სერ მამუ ხოჩე მინწანი სგა ლაყენე: სვან. პროზ., 236,31. (მეტა რა [მცა] ექნა და შეაწვიანა).

ღახჯრანხ ლერბათე. ერე იმავა ღენ ესერ მინ ამე ქოხილა ი მხუშეამ ამე ხოზი, ეზუმი ნაწილობი ღახკოღან: სვან. პროზ., 328,31. (შეხვეწნენ ღმერთს, რომ რამაც ჩვენ აქამდე მოგვიყვანა და რა მანძილც აქამდე პრის, იმდენი სიმაღლე [მცა] მოგვემოღა).

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც უდავოდ წამოიჭრება ძველქართულ —მცა ნაწილაკიან კონსტრუქციასთან დაკავშირებით, ეს არის საკითხი თვით ამ კონსტრუქციაში არსებული სინტაქსური ურთიერთმიმართებისა. მოდალური ნაწილაკი —მცა, როგორც უფორმო სიტყვა, მოცემულ შემთხვევაში ზმნისაგან მოთხოვს კილოს გარკვეულ სახეობას—თხრობითს: მასთან არ შეიძლება კილოს ახლა სახეობათა—ბრძანებითისა და კავშირებითის—გამოყენება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ —მცა ნაწილაკი ძველ ქართულში ზმნას მართავს კილოს კავშირების მხრივ და ანიჭებს მას კონიუნქტიური მოდალობის ფუნქციას. ამგვარი ნართვა თავისი ხასიათით შესაძლებელია გავუთანაბროთ თანდებულსა და სახელს.

შენიშნულიდან შეგვიძლია დავასკვნათ:

ძველ ქართულში კავშირებითი კილოს ფორმათა გვერდით აღიარება თხრობითი კილოს ფორმა —მცა ნაწილაკთან ერთად. აღნიშნული კონსტრუქცია გამოიყენება რამდენიმე ფუნქციით. იგი გადმოსცემს: ა) კონიუნქტიურ მოდა-

ლობას, ბ) მეორე და მესამე პირებთანავე ბრძანებას, ე) თბრობითი კილოს მყოფადს, დ) რთულ ქვეწყობილ წინადადებაში -- პირობით და შედეგობით მოვალეობებს.

სასწავლ ქართულში -მცა ნაწილაკს ნაწილობრივ დაცული აქვს ძველ-ქართული ფუნქციები, თუმცა დამატებით გამოხატავს სხვა მოდალურ ნიუანსებსაც, კერძოდ, ნატვრას, წყევლასა და დალოცვას. მოგვიანო ხანის ძველებში დადასტურებულია -მცა ნაწილაკის უმარათებლოდ გამოყენების შემთხვევები: ერთი მხრივ, იგი ვეხვდება კავშირებითი კილოს ზმნებთან და, მეორე მხრივ, მასდარებთან და მიმღეობებთან. აღნიშნული დარღვევები ფაქტობრივად -მცა ნაწილაკიანი სინტაქსური კონსტრუქციის მოშლანზე მიუთითებს.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში -მც(ა) ნაწილაკი შემოგვრჩა მხოლოდ ცალკეულ ფრაზეოლოგიზმებში, კერძოდ, წყველს, დალოცვისა და ნატვრის გამოხატველ ფორმულებში.

სხვა ქართველურ ენათაგან -მცა, ეკვივალენტური ნაწილაკი დადასტურებულია სვანურში უ [||-ოლუ, -ოლ, -უუ]-ს სახით, რომელიც, ძველქართული -მცას მსგავსად, გამოიყენება თბრობითი კილოს ფორმებთან ერთად და გადმოსცემს კონიუნქტიურ მოდალობას.

-მცა ნაწილაკის შემადგენელ ელემენტებად შეიძლება გამოიყოს:

ა) მოდალური ელემენტი მ, რომელიც გენეტური, ფონეტიკური და ფუნქციონალური თვალსაზრისით სვანურ უ (—გ) ნაწილაკს უკავშირდება, და ბ) მნიშვნელობის გამაძლიერებელი -ცა ნაწილაკი. თავისი განსაკუთრებული მოდალური ფუნქციებისა და ზმნა-შემასმენელთან აქტიური ურთიერთობის გამო -მცა ნაწილაკი არ შეიძლება გაეთანაბროთ სხვა ნაწილაკებთან, რომლებიც ჩვეულებრივ მიერთიან სრულმნიშვნელოვან სიტყვებს. -მცა ნაწილაკი თბრობითი კილოს ზმნის ფორმასთან ერთად ძველ ქართულში ქმნის გარკვეულ სინტაქსურ კონსტრუქციას, რომლის შიგნით დადასტურებულია შართვის კერძო შემთხვევა — უფორმო სიტყვის (ნაწილაკის) მიერ ფორმაცვალებადი სიტყვის (ზმნის) შართვა გარკვეული გრამატიკული კატეგორიის (კილოს) მიტღევით.

ლიტერატურა

1. ა. ს ა ნ ი ძ ე, -მცა ნაწილაკი ძველ ქართულში. ჟურნ. „პრობეთ“, 1. 1916.
2. პ. გ ა ნ ე ჩ ი ლ ა ძ ე, კვლავ -მცა ნაწილაკ-სათვის, იყ. ტ. 12, 1960.
3. ე. თ ო ფ უ რ ი ა, სვანური ენა, ზმნა, ტფილისი, 1926.

შ ე მ ო კ ლ ე ბ ა ნ ი

- ა ბ ზ — იოვანე საბანისძე. მარტვლობა აბო ტფულელისა, კ. კეკელიძის რედ. აღრიხედლი ფეოდალური ლიტერატურა, ნაკვ. 1. თბ., 1935.
- ა მ ი რ ა ნ — მოსე ხო ნ ე ლ ი, ამირანდარეჯანიანი, ს. კავბაძის რედ., თბ., 1939.
- გ ე რ. ფ ო ლ ე. — აღ. ლ ლ ო შ ტ ი, გურული ფოლკლორი, ტექსტები, ნაწ. 1, თბ., 1957.
- დ ა ე ლ ო — დავით გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი. დავითიანი, თბ., 1955.
- ე ნ ს ტ. — მარტვლობა და მომინება ზმონისა ევსტათი მცხეთელისა, გამოსცა მ. საბინინმა, „საქართველოს სამოთხე“, 1802.
- გ ა ვ ა — ვ ა ვ ა — ფ შ ა ვ ე ლ ა, პოეზიები, ტ. 3, ტფ., 1920.
- ე ე ე ხ. — შოთა რ უ ს თ ვ ე ლ ი, ვეფხისტყაოსანი, თბილისი, 1967 წ.
- ე ლ ს რ. — ვისრამიანი, აღ. ზარამიძის, პ. ინგოროყვას და კეკელიძის რედ., ტფ., 1958.
- წ ე მ ო ი ძ ე რ. — ზემოიძერელი ტექსტები, „ძველი საქართველო“, საქ. საისტ. და საეონ. საზ. კრებული, ტ. 4, თბ., 1914—1915.
- ო ე ე. — ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, თუშური ლექსება, ტფ., 1937.

- ილია — ილია კავკასიელი, თხზ.-თა სრული კრებული ათ ტომად. ტ. II, პ. ინგოროვას რედ., თბ., 1920.
- ინგილ. — რ. ლაშბაშიძე, ინგილოური ელო. თხზ შრომები, XXX—XXXI, 1950.
- იოზ. — იობოსი, წიგნი ძეულისა აღთქმისანი, ტ. I, ნ. ე. II, გამოსცა ა. შანიძემ, 1945.
- ი — იოვანეს სახარება, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, გამოსცა ა. შანიძემ, თბ., 1945.
- მ — მათეს სახარება, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედ., გამოსცა ა. შანიძემ, თბ., 1945.
- მკეხ — მარკონის სახარება, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედ., გამ. ა. შანიძემ, თბ., 1945.
- მოხეურო — მოხეური ტექსტები, ჩაწერილა დოც., ი. ვიგინიშვილის მიერ.
- სევა. პროზ. — ა. შანიძე, ვ. თოფური, სვანური პროზაული ტექსტები, თბ., 1939.
- სიბრძ. სიციტ. — სულხან-საბა ორბელიანი, სიბრძნე სიციტისა, გ. ლეონიძის რედაქციით, ტფ., 1948.
- ფიხ. — ფიზიოლოგია, ნ. მარის გამ., Т. Р. VI, СПб., 1904.
- ქილ. დადაშ. — ქილილა დადაშა, იგუარაყები, ქართულად გადმოკეთებული ვახტანგ VI და სულხან-საბა ორბელიანის მიერ, პ. ინგოროვას რედ., თბ., 1949.
- ხევს. — ბესარიონ ვახუშტი, ხევსურული მასალები, გამოსცა ა. შანიძემ, საენათმეცნიერო საზოგადოების წევრთა მიერ, I—II, ტფ., 1923—24.

Н. И. КОТИНОВА

ОБ ЭВОЛЮЦИИ СИНТАКСИЧЕСКОЙ КОНСТРУКЦИИ С ЧАСТИЦЕЙ -შკა -тса В ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

Резюме

В древнегрузинском языке наряду с формами составительного склонения в предложении употребляется форма изъявительного склонения с модальной частицей -შკა -тса, которая присоединяется к другому слову, обычно подчинительному союзу. Данная конструкция употребляется в следующих функциях: а) выражает конъюнктивную модальность; б) повелительное склонение второго и третьего лиц; в) будущее время изъявительного склонения; г) в сложно-подчиненном предложении выражает условное и результативное склонения.

В среднегрузинском частично сохраняется модальное значение частицы -შკა -тса, однако приобретает новые модальные нюансы, а также употребляется с масдарами и причастиями, что фактически указывает на дефункционализацию данной конструкции.

В современном грузинском литературном языке и диалектах частица -შკა -тса сохранилась лишь в определенных фразеологизмах, выражавших вышперечисленные нюансы.

Из других картвельских языков эквивалентная конструкция имеется лишь в сванском в виде частиц -ჟ -ი[-ოლე -ოჟი, -ოლ -ოჟ, -ჟე -იჟ], которая, так же, как и в древнегрузинском, употребляется с формой изъявительного склонения и выражает конъюнктивную модальность.

Конструкция с модальной частицей -შკა -ტსა в древнегрузинском является синтаксической, т. к. в ней заведительствован определенный случай управления. В данном случае неизменяемое слово-частица -შკა -ტსა управляет глаголом в грамматической категории склонения, в частности, требует формы изъявительного склонения.

თელავს გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრა
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა

ლ ე ბ ა კ ა ლ მ ა ი ბ ი

„ემფატიკური“-ა სახელთა მორფოლოგიის ძირითად
საკითხებთან დაკავშირებით*

1. 0. ამ სტატიაში ვცდილობთ „ემფატიკური“ ა-ს პრობლემის ახლებურ გააზრებას. სახელდობრ, გვგონია, რომ ეს მოვლენა შეიძლება ჩაითვალოს რელიქტად პირვანდელი -Cა||-C მონაცვლეობისა თანხმონიანი მორფემის ბოლოში. სტატიის ნეორე ამოცანაა — ამ ახალი გააზრების ევრისტიკულ შედეგთა ჩვენება.

1. 1. „ემფატიკური“ ა-ს შესახებ ფაქტობრივ მხოლოდ ორი პრინციპულად განსხვავებული მოსაზრება არსებობს. ერთის მიხედვით, „ემფატიკური“ ა მადეტერმინებული ბუნებისაა. ასე, ნ. მარი მას ჩვენებით ნაცვალსახელს ზა-ს უკავშირებს¹. კ. დონდუა² და არნ. ჩიქობავა თვლიან მას მადეტერმინებელ ნაცვალსახელურ ნაწილაკად. არნ. ჩიქობავა მას მიიჩნევს ნანათესაობითარი ბრუნვის მაწარმოებლად და ფუნქციონალურად აიგივებს სახ. -ი და მოთხრ. -შ ა ნ ფლექსიებთან³. ა. ლომთაძე თვლის, რომ ეს ნაწილაკი არნ. ჩიქობავასა და კ. დონდუას თანახმად ამ ას, ამ ის, ამ ი თ ნაცვალსახელური ნაწევრის პირველ ელემენტს უნდა დაუკავშირდეს⁴.

მეორე მოსაზრების მიხედვით, „ემფატიკური“ ა-ს ბუნება არის არა მორფოლოგიური, არამედ ფონეტიკური. ასე, გ. დეტერსი მიუთითებს „ემფატიკური“ ა-ს რიტმულ-ფონეტიკურ არსზე⁵, ხოლო ალ. ფოცხიშვილი მის მარცვალთლიაობაზე. უკანასკნელმა პირველმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ემფატიკური“ ა ჩნდება მხოლოდ თანხმონიანი ამოსავალის შემდეგ⁶. „ემფატიკური“

* მუშაობის დროს დიდი დახმარება გაგიწია პროფ. ელენე ბაბუნაშვილმა, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვახსენებთ.

¹ Н. М а р р, Грамматика древнелитературного грузинского языка. Ленинград, 1925. (შმღ. — М а р р), § 34.

² К. Д. Д о н д у а, К вопросу о родительском эмфатическом в древнелитературном грузинском языке (შმღ. — Д о н д у а), Известия АН СССР, Отделение гуманитарных наук, 1930, გვ. 209.

³ არნ. ჩ ი ქ о б а в а, რტორიკულად განსხვავებულ ორა მორფოლოგიური ტიპისათვის ქართულ ბრუნვითა შორის (შმღ. — ჩ ი ქ о б а в а, ორი ტიპისათვის). საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოამბე, ტ. III, № 6, 1942, გვ. 620—621.

⁴ ა. ლ ო მ თ ა ძ ე, ემფატიკური ხმონები, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1976, № 3, გვ. 131—141.

⁵ G. Deeters. Armenisch und Südkaukasisch. — Caucasicca, 3, 1926, გვ. 53.

⁶ ალ. ფ ო ც ხ ი შ ვ ი ლ ი, მარცვალთლიაობის ა ხალ ქართულში, საოუბილო კრებულა, მიწოდნილი კ. აყელიძის 80 წლისთავისადმი, თბილისი, 1959, გვ. 337. მართლაც, ხმონიანი ამოსავალის შემდეგ არც „დეტერმინანტი“ და არც დეტერმინანტის საჭიროება არ იგრძნობა! ამას უნდა დაემატოს, რომ თანხმონიანი ამოსავალის შემდეგაც — ა ელემენტი მაინც არ გვხვდება თუ წინამთავალ თანხმონიანს სხვა -ა- უსწრებს, მაგ., ა დ გ ი ლ ა ს, ქ ა ლ ა ქ ა ლ. ც ა ც ა ლ ა ტ ი პ ის ფორმები ახალი და ხელუწერილი).

რი" -ა-ს დისტრაბიუციის სურათი ახალ ქართულში შეისწავლა თ. სურაბიშვილმა, რომელიც მას მაგრტობის ა-ს ემახის⁷.

1. 2. „უმფატიკური“ ა-ს არსის დასადგენად უმედეგო იქნებოდა, მოგვეტებნა განსხვავებანი ამ ა-თი ან ა-ს გარეშე ნაწარმოებ ფორმათა ხმარებაში (შდრ. მაგ., -ა, რომელიც გვხვდება და კავშირის წინ ჩამოთვლილ დასასრულს და სხვ.). ძველ ქართულში კი ეს განსხვავებანი შეიძლება იყოს ან რიტმიკულ-ფონეტიკური წარმოშობისა (მაგ., ა-ს არარსებობა, როდესაც ნათესაობითი უსწრებს საზღვრულს კომპოზიტებში), ან მორფოლოგიზაციის შედეგი (იხ. ქვემოთ 2. 3,5). თუ არ მივიღებთ მხედველობაში ამ გვიანდელ გამოჩენას, ძველ ქართულში ა-ს ხმარება თანამედროვე ქართულთან შედარებით მხოლოდ უფრო რეგულარულია, სისტემის თვალსაზრისით კი ასევე განუპირობებელი ჩანს. ერთი ცხადია, რომ ახალ ქართულში — „უმფატიკური“ ა ყოველთვის შეიძლება გამოჩნდეს იქ, სადაც ის ძველ ქართულში დადასტურებულია.

2.0. ნ. მარსა და შემდეგ ა.ნ. ჩიქობავას, ე. თოფურისა და მათ მოწაფეებს ყურადღება გაუმახვილებიათ მიცემითისა და ვითარებითის. ნათესაობითისა და მოქმედებითის ფუნქციათა თანადადამხვევაზე და მათ მატერიალურ მსგავსებაზე⁸. ამ ბრუნვათა სტრუქტურებში არსებული მსგავსება შეიძლება გამოისახოს შემდეგი ფორმულებით:

მიც./მოქ. ST + C

ნათ./მით. ST + ი + C.

სადაც ST ფუძეა.

2. 1. პირველ ფორმულას თითქოს ეწინააღმდეგება ის შემთხვევა, როდესაც თანხმოვნიან ფუძესა და თანხმოვნიან დაბოლოებას შორის ქართულში გვაქვს ფორმანტი ა (მეგრული -ო). ეს შემთხვევა შეიძლება თანხმოვნიანი ფუძეებისათვის დამახასიათებელ გამოჩენასად მივიჩნიოთ. ა. შანიძის აზრით, ეს -ა- -დ-ს წინ მეორეულია. მაგრამ მკვლევარს არა აქვს ახსნილი ამ მოვლენის განვითარება⁹. გ. კლიმოვი კი აღნიშნავს: „... გაუგებარია, როგორ მოხდა -დ-სა და ხმოვნით ელემენტ -ა-ს კომბინაცია“¹⁰. მაგრამ თავის ფუნდამენტალურ ნაშრომში გ. კლიმოვი არაფერს ამბობს იმ ფაქტზე, რომ ქართულში -ა-დ-თან

⁷ თ. სურაბიშვილი. მაგრტობის ა თანამედროვე ალტერატიური ქართულში. ქართულ სიტყვის კულტურის საკითხები, ნაშ. 1. თბილისი, 1972.

⁸ იხ. M a p p. § 32. 41; ჩიქობავა, ორტიკოსათა ე. თოფური. ბრუნვების სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურ ენათა ბრუნვებთან შედარებით (შდრ. — თოფური), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. V. № 3. 1944. ე. თოფური არამხოლოდ განხილავს მიცემითისა და ვითარებითის. ნათესაობისა და მოქმედებითის სტრუქტურულ და ფუნქციონალურ მსგავსებას. არამედ ვარაუდობს მიცემითისა და ნათესაობითის (სქართ.-ს), ვითარებითისა და მოქმედებითის (ქართ.-დ, თ), თანხმოვნური ელემენტების მატერიალურ მსგავსებას. ასეთი ვარაუდი მოძველებულია. რადგან განსხვავება ქართველური მიცემითის -ხ (ა) და ნათესაობითის -ხ (ა) შორის არ შეიძლება არსნას ამ ბრუნვის ნიშნების დამოუკლებელი განვითარებით ცალკე ქართველურ ენებში. ე. ი. პოზიტიურად. რადგან ყველა სხვა პოზიტივი ს და ხქცევა როგორც ვარიანტი განსხვავებული ფონემა. (იხ. Г. И. М а ч а в а р и ა ნ ი. О трех рядах сибирских спирантов и аффрикат в картвельских языках. М., 1960. XXV Международный конгрессе востоковедов); ე. ბაბუნაშვილი. მიცემითი და ვითარებითი ბრუნვების უტოვრობისათვის ძველ ქართულში. სახელის ბრუნვების ისტორიისათვის ქართველურ ენებში. წ. 1, თბილისი, 1956.

⁹ ა. შანიძე. ქართული გრამატიკა. I, მორფოლოგია. თბილისი, 1920. გვ. 23.

¹⁰ Г. А. К л и м о в. Склонение в картвельских языках в сравнительно-историческом аспекте, М., 1962. (შდრ. — К л и м о в, Склонение). გვ. 85.

ერთად -ას ტ-ის წარმონაქმნებიც გვხვდება: ადგილას, ძირას. მეორე მხრივ ამ ანიან წარმონაქმნებს უანოც შეესაბამება: ადგილს(ა), ძირს(ა). ეჭრუსალშიმდ. ჩემდა. რომ ჩემდა-ში -და იგივეა. რაც -დ იერუსალშიმდ-ში. ან ფორმებში ქალაქად. კაცად და რომ ეა არ არის ის თანდებელი, რომელიც გვაქვს ფორმებში: მისდა, მხატვრისადა. ამას გვაჩვენებს შესატყვისი მეგრული ფორმა ჩქიმოთ. რასაც ქართულში შესატყვისად უნდა ჰქონოდა ჩემად ფორმა. გარდა ამისა მხატვრისადა ტიპი, როგორც ჩანს, არის მიმართულებითის ფორმათა (-ისა და -დ(ა)ა, გვიანდელი ჰიბრიდი¹¹.

საერთო ქართველურისათვის გ. კლიმოვი აღადგენს ბრუნვის ნიშანს -დი||-ად წყვილის სახით¹², მიუხედავად იმისა, რომ მისი აზრით, ეს -ა- მეორადია და -დ-ს შეეზარდა ა-ფუძეთა დაბოლოება ამის გამო, რომ ა-ზე დაბოლოებული მასდარები ვითარებითში ხშირად იხმარებოდა¹³. ეტყობა, გ. კლიმოვისათვის თავისივე ახსნა სადავო ჩანს. გ. კლიმოვი არაფერს ამბობს -ას-ზე დაბოლოებულ ფორმათა შესახებ, სვანურ ტუბას და ჯანას-ს კი იგი აკავშირებს ა-ზე დაბოლოებულ ფუძეებთან. თუმცაღა უკანასკნელ მოსაზრებასაც ვერ ასაბუთებს¹⁴. ისევე, როგორც -ას:-ად, -ს(ა):-დ(ა)-ზე, გ. კლიმოვი დუშს ნათესაობითისა და მოქმედებითის -ის:-ით ფუნქციონალურ და სტრუქტურულ პარალელოზმზე და არგუმენტაციის გარეშე ამტკიცებს, რომ „საერთო-ქართველურ ნათესაობითის მორფემის ის, რეკონსტრუქტია დასაწყისის ი-სთან (მოქმ. -ით-ის ჩათვლით. — ლ. პ.) არ იძლევა საშუალებას ორივე დაბოლოებაში საერთო ფიქსის -ის გამოყოფისათვის“¹⁵. მკვლევარი ივიწყებს, რომ თანიან მოქმედებითთან ერთად ვინაინიც არსებობს (შდრ. ძვ. ქართ. ფრჯიკ, მარჯენიკ, მჯრიკ). რაც ხსენებულ რეკონსტრუქციას კიდევ უფრო შესაძლებელს ხდის¹⁶. ერთი მხრივ *ის(ა) და -ით(ა)-თი, ხოლო მეორე მხრივ -ს(ა), -ას და -დ(ა), -ად-ით ნაწარმოები ფორმების აზადიფერენცირებული აღწერა ვერ დაგვეხმარება შედარებით მარტივი ქართველური ბრუნების ისტორიის გახსნაში, რადგან ის არ ითვალისწინებს ნ. მარის, არნ. ჩიქობავას, ე. თოფურასა და სხვა ქართველოლოგთა მოსაზრებებს¹⁷.

შესაძლებელია, მთავარი დაბრკოლება გ. კლიმოვისათვის -სა და -ას, -და და -ად მონაცვლეობაში მდგომარეობს, რადგან მან ბრუნვათა ნიშნებს „ემფატური“ ა არ დაუკავშირა.

2. 2. ყველა დაბრკოლება მოიხსნება. თუ მორფემის ბოლოში დავუშვებთ -ცა||-ც ტიპის მონაცვლეობას. ეს კი საშუალებას გვაძლევს -ა ელემენტი -ად და -ას დაბოლოებაში წინამავალ თანხმოვინან ფუძეს მივაკუთვნოთ. ამგვარად, ცხადი ხდება ადგილას და ადგილსა ტიპის მონაცვლეობა. თუ თავდაპირველად ეს ბრუნვა წმინდაფუძიანი იყო, -ს(ა) კი შემდგომ ეპოქაში შეუერთდა, მაშინ აქ საქმე გვაქვს ორი მორფემის -ც₁ა+ -ც₂ = -ც₁ + -ც₂

¹¹ მაშინ განსაკუთრებული -და თანდებელი საერთოდ არ გვექნებოდა. პართლავ. აღბრუნ. ეგლეტში არა მისდა. არამედ მისა არს დადასტურებული.

¹² К л и м о в. Склонение. გვ. 146.

¹³ იქვე. გვ. 85.

¹⁴ იქვე. გვ. 76.

¹⁵ იქვე. გვ. 102.

¹⁶ აქ ვლადიმარკობთ ამ ფორმათა სტრუქტურაზე და არა სემანტიკურ ნიშანზე, რაც ისტორიული განვითარებას შედეგია.

¹⁷ შდრ. М а р и, § 32.

წონასწორობასთან მათ სინტაგმატურ თანმიმდევრობაში. ე. ი. ორი ბოლო-თანხმოვნის მორფემის თანმიმდევრობაში ერთი მათგანი ამოსავლის უბმო-ვნო ვარიანტით, მეორე კი ა-ვარიანტით ჩნდებოდა.

2. 3. ცნობილია, რომ ძველ ქართულში საკუთარ სახელთა მიცემითსა. ნათესაობისა და მოქმედებითში „ემფატიკური“ ა არ გვხვდება. ა. დონდუ-სა¹⁸ და აჩნ. ჩიქობაძეს¹⁹ აზრით, ამის მიზეზია ამ სახელების სემანტიკური განსაზღვრულობა. მაგრამ შესაძლებელია სხვა ახსნაც. სახელდობრ, ის, რომ ამ შემთხვევაში ნათესაობითის -ის და მიმართულებითის²⁰ -ისა-ს დიფერენ-ციაცია გვაქვს. ე. ი. 1. ძველად მიმართულებას ნათესაობითის ერთ-ერთი ჯორმა აღნიშნავდა უთანდებულოდ, რაც საკუთარ სახელებში შეინახა: 2. შემ-დგომში საზოგადო სახელთა მიმართულებითად თანდებულისა ნათესაობითი იხმარებოდა, რომელიც ყოველთვის ა-ამოსავლიანია; 3. ასეთი მიმართულე-ბითი ნათესაობითის ფორმა ა ამოსავალით საკუთარ სახელთა უთანდებულო მიმართულებითში გადავიდა და იქ მორფოლოგიზაცია განიცადა—ნულოვანი ამოსავლის ფორმებს მარტო ნათესაობითის ფუნქცია დაეკისრა. ოპოზიციის ნათ.-ის: მიმ.-ისა აღმოჩენის შემდეგ საკუთარ სახელებში, ნულოვანი ამოსა-ვალი დამკვიდრდა მიცემითსა და მოქმედებითში ნათესაობით-მიცემით-მოქ-მედებითის ძირითად რიგში ნათესაობითთან ანალოგიის გზით.

ამგვარად ეხებავთ, რომ თვით ამ შემთხვევაშიც შეიძლება იოლად წასე-ლა „ემფატიკური“ ა-ს მადეტერმინებელ ფუნქციათა შესახებ ვარაუდის გა-რეშე. როდესაც ასეთ ფუნქციებზე ლაპარაკობენ, მხედველობაში აქვთ საზო-გადო სახელების მიცემითი, ნათესაობითი და მოქმედებითი, სადაც „ემფატი-კური“ ა-ს არსებობა წინარეენის მორფემათა ფონეტიკურ სტრუქტურას შეი-ძლება დაუკავშირდეს. სახელდობრ: $-C_1 + -C_2 = -C_1 + -C_2$ წესის თანახმად შესაძლებელია ორი შემთხვევა, მაგ., ან ა დ გ ი ლ ა + ს = ა დ გ ი ლ ა ს ან ა დ გ ი ლ + ს ა = ა დ გ ი ლ ს ა. მაშინ ფორმა ა დ გ ი ლ ა ს ა საერთოდ შეუძლებე-ლი აღმოჩნდებოდა. რაც შეეხება ფორმა ა დ გ ი ლ ს-ს, ასეთი ფორმა შესაძლე-ბელი ხდება მხოლოდ იმ დროიდან, როდესაც დართული ელემენტის საკუთარ სემანტიკური მნიშვნელობა დაიკარგა და დიფუზო შედგენილი კომპლექსის ბო-ლოთანხმოვიან ერთიან ერთეულად აღქმა. შესაძლებელია, რომ „ემფატიკური“ ა ნათესაობითის -ისა-ში და მოქმედებითის -ითა-ში (თუ ორთავე ბრუნვას თავ-დაპირველად საერთო დაბოლოებიანი ფორმა ჰქონდა, -ს(ა), -თ(ა) კი დარ-თული იყო იხ. ქვემოთ 3. 1) თავდაპირველად მხოლოდ იმ შემთხვევებში ჩნდებოდა, როდესაც სონანტური -ი- ელემენტი თანხმოვნის ფუნქციას ასრუ-ლებდა, ხოლო როდესაც ის ხმოვნიანი იყო, არაერთაბრი „ემფატიკური“ ა არ გვექონდა, მაგ..

*წყაროსა : *კაცის

*წყაროთა : *კაცით

გამოსვლითის -თი და მოქმედებითის -თა დიფერენციაცია, როგორც ჩანს, გვი-ანდელი მორფოლოგიზაციის შედეგია.

ა-ხ ჩვეულებრივი არარსებობა ძველ ქართულში ვითარებითის -(ა)-დ-ს შემდეგ უნდა აიხსნას იმ ფორმათა გავრცელებულობით, რომლებშიც -(დ)ა

¹⁸ Д о н д у а. ჩქვე.

¹⁹ ჩ ი ქ ო ბ ა ძ ე ა, ორი ტომისათვის, გვ. 620.

²⁰ ტერმინის შესახებ იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე, ძველი ქართული ენის გრამატიკა. თბილისი, 1976, § 40, 365. 2.

დაერთოდა ან თანხმოვნთან ფუძეს ამოსავალი -ა-ვარიანტით (ქ ა ლ ა ქ ა დ), ან ხმოვნთან ფუძეს, სადაც თანხმოვნთან ამოსავლის ა-ვარიანტის ეკვივალენტებად -ა, -ე, -უ, -ო სუფიქსები გვქონდა (დე დ ა დ, მე ფ ე დ, ყ რ უ დ, წ ყ ა რ ო დ). რამდენადაც უცხო (ბიბლიური) ტოპონიმების ვითარებითში -დ(ა) დაერთოდა თანხმოვნთან ფუძის უხმოვნო ვარიანტს (ამ მოვლენის მოხუხზე ქვემოთ იქნება საუბარი, იხ. 3. 1), ამდენად ამ შემთხვევაში ბოლოში -და უნდა გვქონდეს, ე. ი. არა ი ე რ უ ს ა ლ მ ე დ, არამედ *ი ე რ უ ს ა ლ მ ე დ ა. როგორც ჩანს, -ად-იანი შემთხვევების მრავალირიცხოვნება ახდენდა ამ ტიპზე ზეგავლენას. ამიტომ წ ყ ა რ ო დ, ყ რ უ დ მე ფ ე დ, დ ე დ ა დ, ქ ა ც ა დ, ქ ა ლ ა ქ ა დ ტიპთან ანალოგიის გზით ფორმაში ი ე რ უ ს ა ლ მ ე დ ა ბოლოკიდური -ა დაიკარგა. სრული დაბოლოება -და შენახულია ნაცვალ-სახელებში (ჩ ე მ დ ა, შ ე ნ დ ა, თ ქ ე ე ნ დ ა...), შეიძლება ვიფიქროთ, რომ განსხვავება -ად-იან სახელთა (ქ ა ც ა დ) და -და-ნიან ნაცვალსახელთა (ჩ ე მ დ ა) შორის გვიანდელი მორფოლოგიური დიფერენციაციის შედეგია. თავდაპირველად ორივე ფორმა იყო შესაძლებელი (შდრ. მეგრ. ჩ ქ ი მ ო თ = *ჩ ე მ ა დ), მაგრამ შემდგომ -ა დ-იან სახელთა განკერძოებას სუფიქსიანი ფორმების უმრავლესობა (დე დ ა დ, მე ფ ე დ წ ყ ა რ ო დ) უწყობდა ხელს.

რადგან ბოლოთანხმოვნთან სახელთა სახელებში -ად-იანი ვითარებითი დამკვიდრდა და -და-ნიანი ვითარებითი კი ამ ფორმებში საერთოდ არ არსებობდა, ამიტომ -და-ნიანი ფორმა ბოლოხმოვნთან სახელებზე გავლენას არც ახდენდა. სულ სხვაგვარი მდგომარეობა გვაქვს მიცემითში, სადაც ბოლოთანხმოვნთან სახელის შემთხვევაში -სა-ნიანი ფორმა განზოგადებულა (-ახ-იანი ხომ ზმნიზღებში გადმონაშთად ამჟამადაც გვჩნება). ამის გავლენით ბოლო-ხმოვნთან სახელთა მიცემითშიც -სა-ნიანი ფორმა გაჩნდა, რაც წინარეენაში არ შეიძლება ყოფილიყო. როგორც ჩანს, წინარექართველურისათვის აღსადაგენია შემდეგი ფორმები:

- *წყაროს : *ადგილას : *ადგილსა
- *წყაროდ : *ჩემად : *ჩემდა

წ ყ ა რ ო ს ა, წ ყ ა რ ო დ ა ტიპის ფორმები შეუძლებელი იყო.

2. 4. სენაურში „ემფატიკური“ ა ცხადად ჭერჭერობით არ არის დადასტურებული. რაც შეეხება „ემფატიკურ“-უ და -გ-ის მეგრულში, ისინი ასევე დაიყვანებიან ბოლოკიდურ -ა-მდე. შდრ. ქართ. დ ა წ ე რ ა-სენაკ. დ ო ჭ ა რ უ-ხუჯდ. დ ო ჭ ა რ ე. ამის გარდა, ქართულში არსებობს ე. წ. „ემფატიკური“-ი-ც, მაგ., უ- და -ო ფუძეთა ნათესაობითსა და მოქმედებითში (წ ყ ა რ ო თ(ი). რ უ თ(ი)), მაგრამ ეს ფაქტი შეიძლება აიხსნას, როგორც თანხმოვნთან ფორმანტის წინ დაკარგული ი ნიშნის (შდრ. ძვ. ქართ. წ ყ ა რ ო მ-თ(ა). რ უ მ-თ(ა)) გვიანდელი კომპენსაცია. არნ. ჩიქობავა ამ ფაქტს ცოტა სხვანაირად ხსნის²¹. მაგრამ ცხადია, რომ ის გვიანდელია. ამგვარივე წარმოშობისა უნდა იყოს „ემფატიკური“ ი ზანურში, სადაც ის უკვეცელ ფუძეთა ფორმებიდანაა გავრცელებული. ასეთია გ. კლიმოვის აზრი²².

2. 5. მაშასადამე, ხელს არაფერი ვეიშლის დაეასკვნათ. რომ საერთო-ქართველურში ყოველგვარ უხმოვნო ამოსავალს თავის ვარიანტად ანიანი

²¹ იხ. არნ. ჩიქობავა. სახელთა ბრუნვის ისტორია და ქართულში, ფუნქციური სახელთა ნათესაობისა და მოქმედების ფორმანტთა ევოლუციისათვის. სახელთა ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში. წ. I, თბილისი, 1956, გვ. 237-264.

²² იხ. К л и м о в. Склонение. 33. 25

ამოსავალი ჰქონდა. შდრ. რელიქტები ქართულში: შე ნ: შე ნ ა, ჩ ე ე ნ: ჩ ე ე ნ ა, ვ ი ნ: ვ ი ნ ა, რ ო მ: რ ო მ ა, ძ ი რ ა ს: ძ ი რ ს ა და ა. შ. ეს ასეა იმ შემთხვევების გარდა, სადაც სიტყვის ბოლოში ასეთი მონაცვლეობა ორ ბოლოთანხმოენიან მორფემათა შეერთების წესით ($ძ ო რ ა ს < *ძ ი რ ა + ს$). ან ზოგიერთ წყვილში მომხდარ მორფოლოგიზაციით (ქ ა ლ ა ქ ი თ (მ-სგან): ქ ა ლ ა ქ ი თ ა) იყო შემოფარგლული.

3. 0. ზემონათქვამს სხვადასხვა მნიშვნელოვანი შედეგი შეიძლება მოხვედეს.

3. 1. რადგანაც განსხვავება ნათესაობითა და მოქმედებით, რავეც რიგორც მიცემითა და ვითრებითს შორის მხოლოდ თანხმოენიან ელემენტშია, ფუნქციონალურად კი ორივე წყვილი ერთიანობით ხას-ათდება. შესაძლებელია ეიფიკროთ. რომ თავდაპირველად საერთოქართულურში ან ყოველ შემთხვევაში ქართულ-ზანურში ამ ბრუნვების ნაცვლად ორი არსებობდა, მატერ-ალურად:

I : ST (წმინდაფ-ძიანი);

II : ST + ი (ოსონანტიანი)

I ბრუნვას. ზემონათქვამის თანხმად, თანხმოენიანი ფუძის შემთხვევაში თავისი ამოსავალის ვარიანტად -/C/ა ჰქონდა. მართლაც. საერთო ფუნქციების მქონე მიცემით და ვითარებით ბრუნვებს: 1. ფუძეზე დართული აქვს -ხ(ა), -დ(ა) პირდაპირ ან წინამავალი ა-თი, 2. საფიქრებელია აგრეთვე, რომ ისინი ხასიათდებიან -ა ამოსავალით და არავითარი დამატებითი ელემენტები არ ჰქონდათ. პირველ შემთხვევაში გვაქვს ძვ. ქართ. ა დ გ ი ლ -ს ა, ჩ ე მ -დ ა. წ ყ ა რ -დ. ს ე ა ნ. ბ. ქ ვ. ქ ა მ -დ „ლორად“: ქართ. ა დ გ ი ლ -ა ს, მეგრ. ხ შ ი რ -ა ს, ს ე ა ნ. ტ უ ბ ა -ს „ნიალვარში“, ქ ა ნ ა -ს „ხარს“, ქართ. კ ა ც ა -დ, მეგრ. ჩ ქ ი მ -ო -ს ე ა ნ. *ყ ა დ „ზევით“. მეორე შემთხვევაში გვაქვს ძვ. ქართ. წ ო გ ო ხ ე თ ა (=ჭ ო ჯ ო ხ ე თ ა -დ), ს ა ბ ე რ ძ მ ე თ ა. თ ო შ ე თ ა, მეგრ. კ ო ჩ ო „კაცად“. სადაც ბოლოკიდური -ა (მეგრ. -ო), არნ. ჩიქობავას აზრით. ვითარებითის ნიშანია. სწორედ ასე ხსნის არნ. ჩიქობავა ვითარებითის ბოლოკიდური -ა-ს მქონე უფრო სადავო ფორმებსაც ინგლოურ და იმერულ კოლოებში²³ (სადაც მაინც სავარაუდოა ბოლოკიდური -დ-ს დაქარგვა), მაგ. შ უ ლ ე ბ ი ა ნ ა. ც ო ლ შ ე ი ლ ი ა ნ ა. ყოველ შემთხვევაში უკვე ნ. მარი უაზლოვებდა ამ ფორმებს მიცემითისას, როცა ის მათ ა-ზე დაბოლოებულ მიცემითს უწოდებდა²⁴. საჭიროა ყურადღება მივაქციოთ იმასაც, რომ ორმაგი ბრუნვების ვითარებითში -ა დაბოლოება გვაქვს, და არა -ად.

როგორც ზემოთ ითქვა (იხ. 2. 3), ლეხო (ბიბლიური) ტოპონიმების ვითარებითში -დ(ა) დაერთვოდა თანხმოენიანი ფუძის უხმოენო ვარიანტს (ი ე რ უ -ს ა ლ შ მ -დ), რაც სახელთა სისტემაში გამონაკლისი იყო (შდრ. ქ ა ლ ა ქ ა -დ, ზოლო ნაკვალასხელთა სისტემაში ჩ ე მ -დ ა გვაქვს). მიზეზი, ალბათ, ის არის, რომ იმ დროს, როდესაც ასეთი ტოპონიმები ისესხებოდა, ჭერ ცოცხალი იყო დართული ელემენტის სემანტიკური მნიშვნელობა და წმინდა ფუძის, როგორც I ბრუნვის გადმონაშთის, შეგრძნება. ხსენებული ტოპონიმები კი ხშირად

²³ А. С. Чикобава. Сравнительно-исторические очерки картийских языков. I: об образовании значения и истории направительного (трансформативного) падежа в грузинском языке. Издания ИЯИМК. I. 1936. გვ. 17. -19.

²⁴ М а р р. § 40.

უკვე ბერძნულ ორიგინალში დეფექტური იყო, არ იბრუნებოდა და თანხმოვნანი ფუძის შემთხვევაში ბოლოუხმოვნო იყო. შდრ. Καὶ πάλιν αὐτὸς εἰς Βῆθλἐξ μ εἶπε და წარაკლინნა ბეთლემდ და პრქა მ. 2:8. ბერძნული უხმოვნო ფორმა ქართულად სათანადო ბრუნვის ფორმით უხმოვნო ფუძით და მას დართული ელემენტით ითარგმნებოდა. რაც შეეხება თვით იერუსალიმდ ფორმას, ის უნდა შეესაბამებოდეს არა ბერძნულ Ἱερουσόλυμα-ს (ეს ფორმა შეიძლება ვაბრუნოთ), არამედ Ἱερουζαλή-ს, რაც იმავე რეგიონსა, როგორც τὸν Ἱερουζ μ. 2:6, τὴν Ναζαρέτ, εἰς Καπερναούμ μ. 4:13 და ა. შ.).

ამგვარად, შესაძლებელია ვ. თოფურიას მიერ აღდგენილი „მიცემითი-ვათარებითი“ ბრუნვის მომარჩვევა საერთოქართველურის ზრანომინატიური სტრუქტურის რეკონსტრუქციისათვის, რომელშიც ის წმინდაფუძიან თანხმოვნანი ფორმანტების გარეშე I ბრუნვად უნდა მივიჩნიოთ. რაც შეეხება მ-სონანტიან II ბრუნვას, ის ვ. თოფურიას „ნათესაობით-მოქმედებით“ შეესაბამება. აგრეთვე თანხმოვნანი ფორმანტების გარეშე. ამ პირველად ფორმებზე შემდგომ დართული -ად, -ას, -დ(ა), -ს(ა), -თ(ა), -ვ ფორმანტების არაერთგვაროვნება ენებას და კილოებში ცხადყოფს, რომ ასეთი წარმონაქმნების პარადიგმატიზაცია მოხდა უკვე საერთოქართველურის დაყოფის შემდეგ. ერთიანობის ეპოქაში პარადიგმატული იყო ორი პირველადი ბრუნვა, დასახლებული ფორმანტები კი თანდებულთა ფუნქციას ასრულებდნენ თავიანთი მნიშვნელობების შესაბამისად. მსგავსად ქართ. წყაროსათანა > წყაროსათან(ა). ამ საფუძველზე გამოიყოფა ტიპები:

I ბრუნვა -Ca, -C, -V (შემდგომ საერთოქართველურში + -ს(ა); -დ(ა) = -Cას, -Cსა, -Vს: —Cად, —Cდა, —Vდ)

II ბრუნვა -C-ი, -V-ი (შემდგომ საერთოქართველურში + -ს(ა); -თ(ა) = -Cის, Vს(ა); -Cით, Vათა)

-Cs, -Cd, -Vსა, -Cისა, Cთა ტიპები გვიანდელი ეპოქების შედეგია (იხ. ზემოთ 2. 3.).

ისტორიულ ბრუნვათა ჩამოყალიბების პროცესში, რომელსაც თან ახლდა მონაცვლე ფუძეების წარმოება, პირვანდელი თანდებულშერწყმული ფორმების საილუსტრაციოდ შეგვიძლია დავიმოწმოთ კაცისთვის — კაცისათვის თანდებულიანი წარმონაქმნები, რაც თავის მხრივ თვალსაჩინოს ხდის ა-ს „არააუცილებლობას“ თანხმოვნიან ფუძეთა ნათესაობითის დაბოლოებაში (შდრ. ზემოთ 2. 3.).

-(ა)ს||-სა: -(ა)დ||-და: -(C)||-(C)ა მონაცვლეობის საფუძველზე აღდგენილი წმინდათანხმოვნანი I ბრუნვის ვარიანტი უხმოვნო ამოსავლით უნდა მონაცვლეობდეს ა-ამოსავლიან ვარიანტთან. ამ ტიპებიდან ზოგიერთნი ერთ ბრუნვას შეერწყნენ. სხვანი კი მეორეს. ხოლო მათი კონვარიანტები ზმნიშვნელებში შემორჩნენ.

განაგებია, რატომ არა გვაქვს II ბრუნვაში -Cად||-Cდა ტიპის მონაცვლეობა. ისევე როგორც ის I ბრუნვაში დასტურდება. -Cით||Cითა-ს მონაცვლეობა შეუძლებელია. რადგან -თ(ა) დაერთვოდა მხოლოდ ი-სონანტიან ბრუნვა-ფუძეს, ხოლო ა, როდესაც ის თანხმოვნანი I ბრუნვის ფორმანტის წინ არის, მიეკუთვნება წინამავალ ფუძეს. სადაც იგი თანხმოვნანი ფუძის ამოსავლის ვარიანტად გვევლინება და არა -დ(ა) ელემენტისას. -ი- ხომ -Cით-ში თანხმოვანი არ არის და ამიტომ მის -ია ვარიანტი მორფემის ბო-

ლოში არ შეიძლება გვეონდეს. -**Сით||-Сით** მონაცვლეობა შეუძლებელია, რადგან თანხმონიან ამოსავალ მორფემებში -**С||-Сი-ს** მონაცვლეობა არ დასტურდება, ე. ი. მაგ., -**თ||-თი** არ გვექნებოდა.

მაშასადამე, მომდევნო ქართველურისათვის ვითარებითს ნიშნად აღმოჩნდება არა -**ღ||-აღ** წყველი, არამედ მხოლოდ -**ღ(ა)**, რომელიც წმინდაფუძიან პირვანდელ I ბრუნვას დართვია. ზუსტად ამის მსგავსად მასზე დართული მხოლოდ -**ს(ა)** მიცემითის ნიშნად გვევლინება. მომდევნო ქართველურში ნათესაობითისა და მოქმედებითის ნიშნებად შესაბამისად აღმოჩნდება, -**ხ(ა)** და -**თ(ა)**, რომელიც პირვანდელ **ი-სონანტიან** II ბრუნვას დართვია.

ამგვარად, გ. კლიმოვის შენიშვნა -**აღ-ის** არაპროდუქტიულობის შესახებ წინარეენაში²⁵ (სვანურისათვის დამახასიათებელია „ათემატური“ -**ღ**) უნდა შემდეგნაირად დაზუსტდეს! -**აღ**, -**აღს** ტიპები -**ს(ა)** ტიპთან შედარებით არ იყო პროდუქტიული მომდევნო ქართველურის ზოგიერთ კილოში. შესაბამისად ხელახლა უნდა განიმარტოს გ. კლიმოვის მოსაზრება იმის შესახებ, რომ -**ის(ა)** წინარეენაში სიტყვაწარმოებითი ფუნქცია ჰქონდა²⁶. საუბარია ამ შემთხვევაში უნდა ეხებოდეს -**ხ(ა)**-ს და არა -**ის(ა)**-ს.

3. 2. მაშინ რა უნდა ყოფილიყო ამ ორი პირვანდელი ბრუნვის ფუნქცია? რადგან I ბრუნვისაგან ყველა ქართველურ ენაში სახელობითი, მიცემითი და მოთხრობითია წარმოქმნილი, ე. ი. აბსოლუტური და ერგატიული ბრუნვები, რომელთა ფუნქციაა ზმნური ტიპის ერგატიულ კონსტრუქციაში ერთმა ფორმამ შეიძლება შეასრულოს²⁷, ხოლო II პირვანდელი ბრუნვისაგან წარმოიქმნა მხოლოდ ირიბი ბრუნვები, უნდა ვივარაუდოთ, რომ I ბრუნვა პირდაპირი იყო, II ბრუნვა კი — ირიბი.

ამგვარად, ცხადი ხდება, თუ რატომ არის სვანურში მოთხრობითის ნიშანი -**ღ** პირვანდელ წმინდაფუძიან I ბრუნვასთან, ხოლო ქართულში იმავე ფორმას ერთვის -**მან**, რაც უფრო გვიანდელია (როგორც ცნობილია, ეს არას ნაცვალსახელის ფორმა, რომლის შესაბამისი ნიშანი საკუთარ სახელებში არ დასტურდება). ზმნური ტიპის ერგატიულ კონსტრუქციაში მოთხრობითი მორფოლოგიურად გაუფორმებელია ისევე, როგორც პირდაპირი აბსოლუტური (მდგომარეობის სუბიექტის ბრუნვა. მაშასადამე, საერთოქართველურის წმინდაფუძიანი I ბრუნვის ფორმა ატარებდა როგორც აბსოლუტივის, ისე ერგატივის ფუნქციას. საერთოქართველურის დაყოფის შემდეგ, როდესაც ჩამოყალიბდა გაფორმებული ერგატივი, სვანურის ნიშანი -**ღ** (და შესაძლებელია, გვიანდელი ქართული ნიშანიც, ე. ი. ნაცვალსახელი -**მან**) დაერთვოდა იმავე ფორმას, რომელიც უფრო ადრე ერგატიული ბრუნვის ფუნქციას გამოხატავდა, ე. ი. ადრინდელი I ბრუნვას წმინდა ფუძის ფორმასაც.

იმაზე, რომ პირვანდელი ქართველური ერგატივი გაუფორმებელი იყო. მეტყველება ამ გაუფორმებლობის შენახვა საკუთარ სახელებთან ძველ ქართულში. ამაზევე მიუთითებს ერგატივის ნიშანთა არაერთგვარობა ქართველურ ენებში. ამასთან გ. კლიმოვის აზრი, რომ **ღ-ზე** დაბოლოებული მოქმედებ-

²⁵ Климов, Склонение, გვ. 136.

²⁶ იქვე, გვ. 99.

²⁷ ეს კონსტრუქცია წინ უძღვის სახელური ტიპის ერგატიულ კონსტრუქციას. იხ. Г. А. Климовი. Очерк общей теории спряжения, М., 1973, გვ. 165-166. ძველქართულ ქართულში კი შორისული, ე. ი. შერეული ტიპის ერგატიული კონსტრუქცია გვექმნება. სადაც სუბიექტობიექტის ურთიერთობა გამოხატულია არა მარტო ზმნის ფორმით, არამედ სახელის ფორმებშიცაა მარკირებული. უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთი კონსტრუქცია პოზიციურად უფრო ტიპისაა.

თის ხმარება ერგატივის ფუნქციით შეიძლება არა მხოლოდ სვანურში, ე. ი. უნდა აჩვენდეს საერთოქართულური ერგატივის ნიშანი²³, საეჭვო ხდება.

ა. ჩიქობავა თვლის, რომ ერგატივის ძველი ნიშანი უნდა ყოფილიყო *ნ. რადგან ნაცვალსახელური ფორმა მ-ნ (შდრ. მიც. მ-ს, ნათ. მ-ის) ერგატიულია²⁴. მაგრამ ერგატიული შეიძლება იყოს აგრეთვე შენ ფორმა, რომელიც საერთოა რამდენიმე ბრუნვისთვის და რომელშიც ბოლოკიდური -ნ იმავე წარმოშობისა უნდა ყოფილიყო, როგორცაა შე(-ნ ა), ვი(-ნ ა), ჩ ვ ე-ნ(ა) (შეგრ. ჩ ქ ი), თ ქ ვ ე-ნ(ა) (შეგრ. თ ქ ვ ა)-ში. ამიტომ მან არანაკლებ დამაჯერებლად შეიძლება აიხსნას ასე: ეს ფორმა (ისევე, როგორც ვინ) ძველად არა მარტო ერგატიული, არამედ აბსოლუტურიც იყო (რადგანაც ერგატივს თავისი ნიშანი მარტო ზმნაში ჰქონდა. — იხ. ზემოთ) ისევე, როგორც აგრეთვე წმინდაფუძიანი *მა ფორმა; იმ *მა ნ(ა): *მა წყვილში კი -ნ(ა) ელემენტს თავისი ფუნქცია ჰქონდა. ეს უნდა ნიშნავდეს, რომ მ ა ნ(ა), ვ ი ნ(ა), მ ე ნ(ა), შე ნ(ა), ჩ ვ ე ნ(ა), თ ქ ვ ე ნ(ა) ერთნაირი უფლებებით ერთ რაგში აღმოჩნდება. რაც შეეხება -ნ(ა)-ს, საყურადღებოა, რომ შესავსი ელემენტი იმ აჩაქართულურ ენებში გვხვდება, რომელშიც ნაცვალსახელთა მატერიალური შედგენილობა ქართულს ახლობელია — შდრ. თურქ. მ-ან, უნგურ-ფინ. *მ ა ნ ა, სამოდ. მ-ან, ინდოევრ. ბალტ. მ-ან ე, სლავ. მ ე-ნ ე „მე“ ან არაბ.-პარს. მ-ან „ვინ“ (დ ა მ ა „რა“ — შდრ. ქართული). ყველა იმ ენაში -ნ(ა) ფორმანტის წარმოშობა მისი პირვანდელი სადეტერმინანტო ფუნქციით შეიძლება აიხსნას. შესაძლებელია, რომ ასეთმა დეტერმინანტმა ინდოევროპულ ენებში მოგვცა სულიერობიექტის ფორმანტი (რომელიც შემდგომ საერთო სქესის აკუსატივის ნახაღურ ფორმანტად გადაიქცა), სემიტურ ენებში კი — მიმაცია — უნდაცაა²⁵. შესაძლებელია, რომ, როცა ქართულურში -ნ(ა) ელემენტის სადეტერმინანტი მნიშვნელობა სუსტდება, ერგატიული-აბსოლუტური *მ ა ნ(ა): *მა წყვილისაგან ერთი წევრი ქართულში დაიკარგა (სვანურში ხომ დარჩა), დარჩენილი მ ა ნ ფორმამ კი ერგატივის ფუნქცია მიიღო, რადგან ზმნური ტიპის კონსტრუქციის დაშლისას აბსოლუტივის ფუნქცია სხვა ნაცვალსახელურ ფუძეს დაეკისრა — შდრ. მ ა ნ: ის.

ბ-სონანტიანი II ბრუნვა თავიდანვე ირიბი იყო. რაც შეეხება I ბრუნვას ერგატივის ნიშანთა გაჩენის შემდეგ, როცა I ბრუნვას გამოეყო ფორმები თანდართული ერგატივის ნიშნით, I ბრუნვის ძველი წმინდაფუძიანი ფორმა პირდაპირი ბრუნვის წინანდელ ფუნქციაში დარჩა. ამის ნაშთად უნდა მივიჩნიოთ ძველი ქართულის წრფელობითი, რომელზე დაყრდნობითაც შემდეგ იწარმოება სახელობითი ბრუნვა ნაცვალსახელური წარმოშობის ნიშნით. წმინდაფუძიანი ბრუნვის გეოგე ნაშთი იქნებოდა ა-ზე დაბოლოებული ეთაბრებოთის საუარაუ-

²³ К л и м о в, Склонение, გვ. 64-65.

²⁴ არხ. ჩ ი ქ о б а ვ ა, მოთხრობითის გენეზისათვის ქართველურ ენებში. თსუ შრომები. X (1939) გვ. 172. ამ აზრს იმეორებს: G. I. Machavariani. The system of the ancient Kartvelian nominal flexion. — Theoretical problems of typology and the Northern Eurasian languages, Budapest, 1970, გვ. 165, 166.

²⁵ ამის შესახებ იხ. ავტორის სტატია Lingua Posnaniensis-ში XXI (1973): იქვე ნახალკო ფორმანტის ფუნქციული და დამალური ფორმანტი დაყენილია ერთ ნახალკო -N ატივიუს-მამდე პიპოტისტიკ ანისუდელ *მ-ნ-20- -N- -0- -ნ- ანისუდელურებზე დაკრძობილი. საყურადღებოა, რომ სვანურს აქვს ბრუნვების ერთ-ერთი ტიპი. იგიველი მაქარნობელი მ-ანდისტი, გ. მაცვარიანის აზრით, თავდაპირველად ნაწევარი უნდა ყოფილიყო ის. გ. მ ა ქ ა ქ ა რ ი ა ს ი, პრუს. ის ერთი ტიპის გენეზისათვის სვანურში. — თსუ შრომები, XXI (1970) გვ. 93-104.

დო ფორმა (იხ. ზემოთ 3. 1). ამ უკანასკნელის დიფერენციაციის მიზნად უნდა მიგვეჩინა ყოფილი „მიცემითი-ვითარების“ თანხმობის ანუ ანალოგიის ა-ვარიანტის მორფოლოგიზაცია.

3. 3. ქართულის პირვანდელი ორბრუნვიანობის ანარეკლი შეიძლება იყოს ქართული ნარ-თანინი მრავლობის პრაქტიკული ორბრუნვიანობა. სადაც ფიენტურ (გ. კლიპოვის ტერმინოლოგიით — „აქტიური“) სახელთა პირდაპირი ბრუნვის ფუნქციას, როგორც ჩანს, ასრულებდა წმინდა ფუძე მრავლობითობის სტატიკური („ინაქტიური“) -ნ(ა) ნიშნით (მაშინ სახელობის ი-ს დართვა მასზე გვიანდელი იქნებოდა და, შესაძლებელია, იმედროულად დამთხვევად ი-ზე დაბოლოებული სახელობითის წარმოებას მხოლოდობითში), ხოლო ამ ფიენტურ სახელთა ირიბ-ერგატიული (ე. ი. ფიენტური ანუ „აქტიური“) ბრუნვის ფუნქციას ფიენტური („აქტიური“) ფუძე ასრულებდა მრავლობითობის -თ(ა) ნიშნით. ინერტული (სტატიკური) სახელები კი, რომლებიც არასოდეს არ გვხვდებოდა მოთხრობითში, მრავლობის აწარმოებდნენ სტატიკური (ინერტული, „ინაქტიური“) -ე ბ ნიშნით³¹ (შდრ. ძველ ქართულში სახელთან ზმნის რიცხვში სრული შეუთანხმებლობა, რომელიც თანამედროვე ქართულში შემონახულია სწორედ უსულო სახელებში). ე. ი. მათ მხოლოდ ერთი ბრუნვიანი ფორმა ჰქონდა. ამ უკანასკნელზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ, როდესაც ქართულში -ებ კუმშავდა ფუძეებს, ბრუნვითა დაბოლოებანი -ებ-ს ვერ კუმშავდნენ, მაშასადამე, მათი დართვა ფუძეებზე, რომელიც -ებ-ით უკვე იყვნენ გავრცელებულნი, შედარებით გვიანდელ ეპოქას მიეკუთვნება. რამდენადაც მრავლობითი ტიპოლოგიურად საერთოდ ვითარდება მხოლოდობითზე გვიან³², ამდენად მრავლობითმა ვერ მოასწრო ჩამოყალიბება „ნათესაობით-მოქმედებთურ“ ურთიერთობად გადმოსაცემად საკუთარი ფორმისა, მხოლოდობითში ი-ზე დაბოლოებული II ბრუნვის ფორმის მსგავსად.

3. 4. ზემოთქმულზე დაყრდნობით ნათელი ხდება, რატომ კვეცს ქართულის -ებ (ზან. -ებ) ფორმანტი მრავლობის წარმოებისას ა-ზე დაბოლოებულ ფუძეებს (დ ე დ ე ბ ი) და არა კვეცს სხვახმონიან ფუძეებს (დ ლ ე ე ბ ი, წ ყ ა რ ო ე ბ ი, ყ რ უ ე ბ ი). ა-სუფიქსით წარმოქმნილი ფუძეები (შდრ. ძვ. ქართ. მ ე ლ-ი||მ ე ლ-ა-მ) აუცილებლად შეიცნობოდნენ თანხმობიან ფუძეთა უხმონო ამოსავლის ვარიანტებად (ე. ი. დ ე ლ-ა- გაიგებოდა, როგორც დ ე ლ-ა||დ ე ლ-), რითაც შეიძლება აიხსნას ა-ს შეკვეცაც ი-სონანტიან ბრუნვაში: დ ე ლ-ა-+ -ი გაიგებოდა, როგორც დ ე ლ-ა||დ ე ლ-+ -ი (+ -ს₁(ა), -თ(ა) -- ხოლო ა-ფუძიანებს მართლა შეიძლებოდა ეწარმოებინათ II ტიპის კანონზომიერი ბრუნვაც *დ ე ლ ა მ, რასაც გვიჩვენებს ტომონიმები მეგრ. ჭ ი ხ ა ი შ ი-ს, ც ა ი შ ი-ს ტიპისა.) უკანასკნელი შემთხვევა გავრცელებულია ანალოგიით ე-ფუძეებში (მ ე ფ ი ს ა). მაგრამ არ ვრცელდება -ო და უ-ფუძიანებში (წ ყ ა რ ო მ ს ა, ყ რ უ მ ს ა). რაც, შესაძლებელია, ორივე მათგანის უფრო მეტი სიძველით იყოს გამოწვეული (ფაქტიურად კი ისინი უ-სო-

³¹ შდრ. К. Д. Дондуа О двух суффиксах множественности в грузинском -- Статьи по общему и кавказскому языкознанию. Ленинград, 1975, стр. 41, 52.

³² შდრ. В. В. Павлов, Хетгский язык. Москва, 1963, стр. 131.

ნანტიანი ფუძეებია³³). რაც შეეხება ა-ფუძიან სრულ ფორმათა შემთხვევებს პრავლობითში—შდრ. ძვ. ქართ. პეპე ლაე ბ ი, ქართ. კუთხ. პატარა ე-ბ ი, ჭან. ბ ი ვ ა პ ე³⁴. — ასეთი წარმონაქმნები ან იმავე ბუნებისაა, როგორც ჰეგრ. ა ი ხ ა ი შ ი. ც ა ი შ ი, ან პიპერ-ნიორმალისაციის შედეგად უნდა მივიჩნიოთ.

3. 5. გამონათქვამიდან ცხადი ხდება ქართველურში ი-ზე დაბოლოებულ ვეძეთა არასებობაც. როგორც ჩანს, ამ ფორმანტს ვერ ექნებოდა ერთდროულად სიტყვათა მაწარმოებლისა და ბრუნვის ფუნქციები. რადგანაც უკვე საერთოქართველურში ირიბი II ბრუნვა იწარმოებოდა სონანტიანი ამოსავალით. ე. ი. უკვე ი-ფუძის ყალიბში, სიტყვათა მაწარმოებლის ი ფორმანტი. თუკი ასეთი რამ არსებობდა, ირიბი ბრუნვის ფორმანტად უნდა გავგებულყო. შეიძლება დავუშვათ პირიქითაც: თვით II ბრუნვის ფორმებს ირიბობის ი ნიშნით რაც კალოებში ი-ფუძიანობის გაცემა მიეცა, რამაც შემდგომში თანდებულთა მორფოლოგიზაციასთან ერთად ი-ფორმანტის გავრცელება გამოიწვია მეგრულის მთელ პარადიგმაში (შდრ. ქალაქი, -ქ, -ხ, -შ, -შა, -შე, -შოთ, -თ) და-სხვადასხვა ვარიაციით — სვანურში (ბ. ზ. [$*\xi$ ა ნ ი > $*\xi$ ა ნ ი >] ξ ა ნ + ი > -ი, -ღ, -ხ -ი³⁵, -შე, პოეტური [$*\xi$ ა ნ ი >] ξ ა ნ ი + -ი > -ი (sic!), -ს, -ღ, შე). მაშინ საჭირო იქნებოდა გველაპარაკა არა სუბიექტურ-ობიექტური ბრუნვის ი ნიშნის გავრცელებაზე მთელ პარადიგმაში (ეს ხომ გვიანდელი ნიშანია). არამედ განზოგადებაზე პირვანდელი ირიბი ბრუნვის ინიანი ფუძისა (რამდენადაც უკანასკნელი მრავლობითში არ არსებობდა, მეგრულში არც არის და-დატურებული ასეთი განზოგადება მრავლობითში; რაც შეეხება სუბიექტურ-ობიექტური ე ნიშნის განზოგადებას სვანურ პოეზიაში მრავლობითის მთელ პარადიგმაში, ეს შეიძლება იყოს შედეგი შემდგომი გათანაბრების მხოლოდობითი რიცხვის მსგავსად, სადაც ბრუნვის დაბოლოებას ი უსწრებდა. რომელიც ასოციაციით უკავშირდებოდა მრავლობითში არსებულ ამ სუბიექტურ-ობიექტურ * -ი > -ე-ს). ასეთი განზოგადება შემოიფარგლებოდა შემთხვევებით, როდესაც I ბრუნვის წმინდაფუძიანი ფუძე შემონახული იყო, მაგ. აზრთა მნიშვნელობის განსხვავებისათვის. ამგვარად, შესაძლებელია, რომ მეგრ. ქალაქო (<-თ?) ფორმა მოსალოდნელი ქალაქი-თ-ის ნაცვლად შემონახულია ვითარებითი ბრუნვის მოქმედებითი ქალაქი-თ-ისაგან განსასხვავებულად.

4. 0. შეუძლებელი არა ჩანს, -Cა||C მონაცვლეობა მორფემის ბოლოს სხვა ენათა ოჯახებშიც მოიძებნოს და ამიტომ ტიპოლოგიურ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს³⁶. მაშინ ამ ქართული ფაქტის აქ წამოყენებული ახსნა შე-

³³ უ-ს როგორც [$*\xi$] ფონემის ფონემატიზებული მარცელიანი ალოფონის შესახებ იხ. თ. ა. მ. ყ რ ე ლ ი ძ ე. გ. შ ა ქ ა ვ ა რ ი ა ნ ი, სონანტთა სისტემა და აბლატი ქართველურ ენეში. ბოლისი, 1965 (შმდგ. — გა მ ყ რ ე ლ ი ძ ე- შ ა ქ ა ვ ა რ ი ა ნ ი), გვ. 62—64, 145; ი-ს, როგორც [$*\xi$] ან [$*\xi$]-ს ექმუის შესახებ — იქვე, გვ. 367.

³⁴ ბ ი გ ა ე პ ე-საგან.
³⁵ ქ ა ნ ი შ ფორმაში. ი, რა თქმა უნდა, ფუძისეულია. მისი შენახვა იმით უნდა აიხსნას, რომ ქ ა ნ ი შ-ს შეზარდა ყველა სხვა ფორმანტზე აღრე მოხდა, ისინი ხომ უკვე ისეთ ფუძეს ერთოდა, რომელიც ბოლოფორმი ი-მ-მდე რევეტირებული იყო.

³⁶ ხელს არაფერი გვიშლის რეუქათ, რომ მსგავსი კანონზომიერება ახსიათებს. მაგ., სემიტურ ენებსაც, სადაც აბსოლუტური ბრუნვა აღდგება წმინდაფუძიან ფორმაში ნულოვანი ან ა-ამოსავალით, წმინდაფუძიანი სახელი status indeterminatus (praedicativus)-ში შეიილება ბოლოფორმის -ა-ზე (შდრ. ძვ. აქადურში ან რეგულარული -ა დაბოლოება ამორიტულ status praedicativus-

იძლება დაგვემარებოდა ინდოევროპული თემატიზაციის გაჩენის ახსნაში. -C||-C კანონზომიერება რომ არსებობდეს ინდოევროპულში, ანაინი ვარიანტის მორფოლოგიზაციის საფუძველზე -ა-ს თემატიზაცია (ვ. ივანოვისა და ე. პალიბლენკის თანახმად³⁷, ტრადიციულად კი—ო-ს თემატიზაცია) შეიძლება განვითარებულყო. ასე რომ, საილუსტრაციოდ, ქართ. ა დ გ ი ლ ა ს ტ ი მ ა შესაბამისი ფორმები თემატიურია, ა დ გ ი ლ ს ა ტ ი მ ის კ ი შესაბამისი ფორმები ათემატიური გახდა³⁸.

შსავსადვე. ალბათ, შეიძლება აიხსნას მდებარეობითი სქესის წარმოშობაც აფრაზიულში. თუ შესაძლებელი იქნებოდა, დაგვემტკიცებინა, რომ -ა საერთოდ ყოველგვარი ნულოვანი მორფემის ალომორფს წარმოადგენდა აფრაზიულში, და გავიზიარებდით ი. გელბის იმ თვალსაზრისს, რომლის თანახმად, მდებარეობითი სქესის მაჩვენებელია -ა, ხოლო -თ—მხოლოდ glide ბრუნვათა დაბოლოების დართვისას³⁹, მაშინ ნათელი გახდებოდა, რომ ე. წ. „მდებარეობითი“ სქესი — ინერტული კლასის სახელთა გაქვევებული წარმონაქმნებია. ამ ფორმებში აბსოლუტურმა ბრუნვამ, რომელიც ემთხვევოდა -O||ა წმინდა ფუძეს, ნომინატივად გადაქცევა დაიწყო. ამგვარად, თუ აქადურ O-ზე დაბოლოებულ status praedicatorius-ს საკუთარ სახელებში შეესაბამება უფრო ძველ ა-ზე დაბოლოებულოც, მაგ. Šū-bel: tū-bela „ის-მეფე“, მაშინ, ვთქვათ, „ის-მეფე ქალი“, ე. ი. *šī-ba'la ფორმა, ნომინატიური სისტემის წარმოშობისას, სადაც ნომ. -უ : აკუზ. -ა ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, შესაძლოა, მისდევდა კანონზომიერებას ინერტული კლასის სახელებისას, რომლებიც ერგატიული და ნომინატიური კონსტრუქციების აღრევისას გარდამავალ ზმნასთან სუბიექტად ჯერ არ გამოიყენებოდნენ და ამიტომ შემოინახეს აბსოლუტური ბრუნვის ფორმა ახალი ა-ფუძიანი კლასის სახით. შემდგომში ბრუნვათა დაბოლოებებმა დაიწყეს შეერთება ამ ა-სთან -თ- glide-ის მეოხებით.

ЛЭТАС ПАЛМАИТИС

«ЭМФАТИЧЕСКИЙ -а» В СВЯЗИ С ОСНОВНЫМИ ВОПРОСАМИ МОРФОЛОГИИ ИМЕНИ

Резюме

Посредством анализа пар типа *adgilsa: adgilas, ħkimda: ħkimol* делается вывод о чередовании -C||-Ca в исходе консонантной морфемы и соответственно об отражении в этих парах форм падежа чистой основы + носитель, поскольку в синтагматической последовательности

ში საზღვრული ეთიპურ status constructus-ში ყოველთვის -ა-ზე მთავრდება, აქადურში კი—o-ზე შდრ. I. J. Gelb, La lingua degli Amoriti, — Rendiconti della Accademia Nazionale dei Lincei, VIII, 13 (1958), გვ. 143-164

³⁷ იხ. В. В. Иванов. Общенидоевропейская, праславянская и анатолийская языковые системы, Москва, 1965, გვ. 20.

³⁸ ამ განვითარების შესაძლებელ ვხაზა შესახებ იხ. L. Palmitis, Dar d. l. id. f. l. k. s. m. e. s. i. s. t. e. m. o. s. a. l. s. i. r. a. d. i. m. o., — Ballistica, ტ. XI, № 1, 1975, გვ. 31—33. (ინგლისურ რეზიუმე: More on the origin of Indo-European inflected system, იხ. გვ. 36).

³⁹ იხ. I. J. Gelb, Sequential reconstruction of Proto-Akkadian, Chicago, 1962, გვ. 34.

